

ააიპ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“

GSPSA

შენიშვნები და წინადადებები

საქართველოს კანონის პროექტზე (სამუშაო ვერსია)

„შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“

საქართველო, 2022 წელი

შენიშვნების ავტორები:

1. თეიმურაზ წიქორიძე
2. ნათია თავართქილაძე

+995 593 322 159 [info@gspssa.org.ge](mailto:info@gspssa.org.ge)

საქართველოს კანონი

შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ

პროექტი (სამუშაო ვერსია )

თავი I

ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო**

1. ეს კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და საქართველოს კანონმდებლობას.
2. ეს კანონი განსაზღვრავს შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და კეთილდღეობის სამართლებრივ საფუძვლებს და ძირითად პრინციპებს, ადგენს მათი გამრავლების კონტროლის მექანიზმებს და განსაზღვრავს შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობისათვის დადგენილი წესების დარღვევისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლებს.
3. ამ კანონის მიზანია ადამიანებისათვის და შინაური ბინადარი ცხოველებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მათი დაცვა სხვა შინაური ბინადარი ცხოველებისგან მომდინარე

საფრთხეებისგან, ასევე, შინაური ბინადარი ცხოველების დაცვა არასათანადო და სასტიკი მოპყრობისაგან და მათი მოვლა-პატრონობისა და პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვა.

4. ეს კანონი არ ვრცელდება შინაურ ფერმერულ და გარეულ ცხოველებზე.

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს, თუ კანონში განსაკუთრებული მითითება არ არის, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **შინაური ბინადარი ცხოველი** - ძაღლი, კატა და ასევე სხვა ცხოველი, რომელიც ადამიანს ჰყავს ესთეტიკური, თუ სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ფუნქციური დანიშნულებით, ექვემდებარება ადამიანის მიერ მოვლას და რომელსაც არ იყენებენ სურსათის (მათ შორის, ხორცის, რძისა და კვერცხის), ბეწვის, ბუმბულის, ტყავის და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად;

## **შენიშვნა N1**

*შენიშვნა კანონპროექტის სახელწოდებასთან: „საქართველოს კანონი შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“.*

*კანონის განმარტებით ნაწილში დაწერილია: “შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელიც ადამიანს ჰყავს ესთეტიკური, თუ სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ფუნქციური დანიშნულებით, ექვემდებარება ადამიანის მიერ მოვლას და რომელსაც არ იყენებენ სურსათის (მათ შორის, ხორცის, რძისა და კვერცხის), ბეწვის, ბუმბულის, ტყავის და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად”*

*ამ განმარტებას არ ვეთანხმებით, ვინაიდან:*

ა) *არ წერია რომელ ქვეყანაში არ იყენებენ სურსათის (მათ შორის, ხორცის, რძისა და კვერცხის), ბეწვის, ბუმბულის, ტყავის და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად;*

ბ) *ვინ არ იყენებს და ვინ იყენებს? ანუ ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ძაღლისა და კატის გამოყენება ხდება სურსათის (მათ შორის, ხორცის), ბეწვის, ტყავის და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად;*

*გ) არიან ადამიანები (ვეფანები, ვეგეტარიანელები), რომლებიც არც ერთ ცხოველს არ იყენებენ სურსათის (მათ შორის, ხორცის, რძისა და კვერცხის), ბეწვის, ბუმბულის, ტყავის და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად. კანონპროექტში ამ ჩანაწერით კი ირღვევა საქართველოს კონსტიტუცია, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი ს ( თანასწორობის უფლება ) 1-ლი პუნქტის თანახმად, სადაც სწერია: . ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის,*

წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“ ირღვევა სხვა შეხედულებები, კონკრეტულად კი იმ პირების (ადამიანების) შეხედულება/დამოკიდებულება ცხოველურ საკვებზე, რომელიც მათთვის მიუღებელია. შესაბამისად ეს ჩანაწერი არის სხვა შეხედულების ადამიანების დისკრიმინაცია!

დ) გარდა ამისა, არის შინაური ცხოველების სახეობა (ცხენი, ძროხა, ხარი, ვირი, ჯორი, თხა და ა.შ), რომელიც დაცულია ზოგიერთი ადამიანის მიერ მეგობრული ურთიერთობისა და პირადი სიამოვნების მიზნით და არა საკვებად ან სხვა მიზნით. გამოდის, რომ თუ კონკრეტული ადამიანისთვის, რომელსაც მაგალითად ცხენი (ან თხა, ან სხვა ცხოველი) ჰყავს სამეგობროდ, ის არ შეიძლება ჩაითვალოს შინაურ ბინადარ ცხოველად, ვინაიდან ცხენს იყენებენ და არ არის აკრძალული ხორცის, ტყავის პროდუქტის საწარმოებლად. აღნიშნული კი არალოგიკურია!

ე) და ყველაზე მთავარი: საიდან გაჩნდა ეს სახელწოდება „შინაური ბინადარი ცხოველი“? რას ნიშნავს „ბინადარი“? სად ბინადრობს? რომელია მაშინ „შინაური არაბინადარი“? რად გვინდა ეს ორი სათაური?!

**ამიტომ შეიძლება განმარტება იყოს შემდეგნაირი:**

- **შინაური ცხოველი** (ანუ კომპანიონი ცხოველი -pet animal) - გულისხმობს ნებისმიერ ცხოველს (შინაურს ან გარეულს/მოშინაურებულს), რომელიც დაცულია ადამიანის მიერ მეგობრული ურთიერთობისა და პირადი სიამოვნების მიზნით.

(ENCYCLOPEDIA BGITANNICA-ს განმარტებით. იგივე განსაზღვრებით სარგებლობს შინაური ცხოველების დაცვის ევროპის კონვენცია (European Convention for the Protection of Pet Animals.)

**კანონპროექტში ჩაწერილი განმარტება მიუღებელია, ვინაიდან:**

- შეიძლება ადამიანს არ ჰყავდეს კონკრეტული ინდივიდი საკუთრებაში (ანუ იყოს უპატრონო), მაგრამ ცხოველის ეს სახეობა ითვლება შინაურ ცხოველად (ძაღვი, კატა, ცხენი, ვირი და ა.შ)
- შინაურ ცხოველებში შესაძლებელია შედიოდეს გარეული ცხოველის კონკრეტული ინდივიდი, თუ ის არის მოშინაურებული და ადამიანს ჰყავს სამეგობროდ და სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (მაგალითები: მელა, მგელი, კურდღელი, ვირთხა, სპილო, მაიმუნი, ზებრა, პინგვინი, ჟირაფი, აქლემი, მტრედი, თუთიყუში, ზღარბი, გველი, ღორი, თხა, ჟირაფი, დათვი და ა.შ)

- სრულიად მიუღებელია ჩანაწერი განმარტებაში: „და რომელსაც არ იყენებენ სურსათის (მათ შორის, ხორცის, რძისა და კვერცხის), ბეწვის, ბუმბულის, ტყავის და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად“, ვინაიდან ამ მიზნით ცხოველების გამოყენება არ ნიშნავს, რომ ამ სახეობის ცხოველები არ შეიძლება იყვნენ შინაური ცხოველები. მაგალითად: ცხენის ხორცი, ტყავი გამოიყენება პროდუქციის საწარმოებლად, მაგრამ ეს ცხოველი ისტორიულად არის ადამიანის მიერ მოშინაურებული ფუნქციონალური და მეგობრული მიზნით. ამავე დროს ადამიანების გარკვეული რაოდენობა არის ვეგანი (ვეგეტარიანელი ან სხვა) და თუ მისთვის მიუღებელია და არ იყენებს ცხოველს საკვებად ან პროდუქციის დასამზადებლად, ამ ჩანაწერის მიხედვით ხდება ვეგეტარიანიზმის (ან სხვა) მიმდევარი ადამიანების დისკრიმინაცია, შესაბამისად ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის მე-11 მუხლი - თანასწორობის უფლება.

**ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტში „შინაური ბინადარი ცხოველის“ განმარტება მიუღებელია. ასევე მიუღებელია კანონის სახელწოდება.**

- თუ აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს მხოლოდ რეგულაციებს ძაღლებთან და კატებთან მიმართებაში, მაშინ უმჯობესია კანონის სათაური იყოს: „**საქართველოს კანონი შინაურ ცხოველთა (ძაღლი და კატა) შესახებ**“. განმარტებაში უნდა ჩაიწეროს, რომ აღნიშნული კანონით რეგულირდება მხოლოდ ძაღლისა და კატის კეთილდღეობის საკითხები. თუ ეს კანონი ეხება ყველა შინაურ ცხოველს, მაშინ კანონის სახელწოდება უნდა იყოს „**საქართველოს კანონი შინაური ცხოველთა შესახებ**“, ხოლო საკუთრივ კანონი შეიძლება დაიყოს თავებად, რომელებიც არეგულირებს კონკრეტული სახეობის შინაურ ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებს.
- ამავე დროს სახელწოდების განმარტებაში წერია: „**სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ფუნქციური დანიშნულებით, ექვემდებარება ადამიანის მიერ მოვლას**“. აღნიშნული განმარტება არასრულია, ვინაიდან ადამიანს შინაური ცხოველი შეიძლება ჰყავდეს სამეგობროდ, სიბრალურის გამო, გადარჩენის მიზნით და ა.შ.

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში ჰყავს შინაური ბინადარი ცხოველი და უზრუნველყოფს მის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, მოვლა-პატრონობას, ვეტერინარულ მომსახურებას და სოციალური ქცევის კორექციას, ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში და პირობებით;

**შენიშვნა N2**

- შეიცვალოს „პატრონი“-თ. მეპატრონე უძრავი ქონების მფლობელს ნიშნავს.

ხოლო პატრონი -სულიერისა. ამ ტერმინებს შორის დიდი სხვაობაა. მეპატრონე, ასევე, შეიძლება იყოს აბსტრაქტული სახელების მფლობელი, როგორცაა - მაღალი სულიერების მეპატრონე, დიდი ადამიანობის, ღირსების და ა.შ.

**მიუღებელია „მეპატრონე“. „ მე ვარ ამ ძაღლის პატრონი (და არა მეპატრონე)“!**

- ასევე უნდა ჩამოვყალიბდეთ, ეს არის საკუთრებაში ვისაც ჰყავს ცხოველი თუ მფლობელობაში? მფლობელობის შემთხვევაში აუცილებელია სხვა ტერმინის შემოღება, ვინაიდან პატრონი თავისთავად მოიაზრებს პირს, ვისაც საკუთრებაში ჰყავს ცხოველი.
- აუცილებელია, ჯერ განიმარტოს, რა არის სოციალურად მისაღები ქცევა და მერე ვისაუბროთ მის კორექციაზე.

გ) პატრონიანი შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც ჰყავს მეპატრონე (ფიზიკური ან იურიდიული პირი) და კონკრეტული მომენტისთვის ეს პირი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი ფლობს მას როგორც საკუთარს, ან რეგისტრირებულია როგორც საკუთრება;

### **შენიშვნა N3**

ალბათ, აქ უმჯობესია მარტივად მიეთითოს, რომ ეს არის ცხოველი, ვისაც ჰყავს შესაბამისი წესით რეგისტრირებული პატრონი.

დ) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელიც იმყოფება მეპატრონის მეთვალყურეობის გარეშე და ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ არ დაუდგინდება მეპატრონე, ასევე ცხოველი, რომელიც რეგისტრირებულია, როგორც პატრონიანი ცხოველი, თუმცა მეპატრონის გარდაცვალების ან მეპატრონის ნების საფუძველზე მასზე აღარ ხორციელდება მეთვალყურეობა და მოვლა-პატრონობა;

### **შენიშვნა N4**

მეთვალყურეობის გარეშე არსებული ცხოველი ვერ ჩაითვლება უპატრონოდ. საჭიროა ბევრი საკითხის გამიჯნვა აქ.

ე) მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველი (მაღლი, კატა) – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ცხოველი, რომლის მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მიმკედლებელი;

### **შენიშვნა N 5**

წინააღმდეგობაშია მიმკედლების განმარტებასთან, მეთვალყურეობას მიმკედლებელი ვერ უზრუნველყოფს სრულად, მხოლოდ გარკვეულ მოვლა-პატრონობას. საჭიროა ვეტერინარული მომსახურების დაზუსტებაც - შეუძლია მიმკედლებელს უზრუნველყოს

*ვეტერინალური მომსახურება ბიუჯეტის დაფინანსებით შესაბამის მუნიციპალურ ორგანოში (თავშესაფარში)?*

ვ) უმეტვალყურეო შინაური ბინადარი ცხოველი (მალი, კატა) - ცხოველი, რომელსაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ უდგინდება მეპატრონე ან მიმკვდლებელი, ასევე, გადაადგილდება მეპატრონის უძრავი ქონების საზღვრებს მიღმა და ცხოველის მეპატრონის ან მიმკვდლებლის დადგენის მიზნით ხორციელდება ცხოველის თავშესაფარში გადაყვანა;

ზ) შინაური ბინადარი ცხოველის (მალი, კატა) მიმკვდლებელი – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი შინაური ბინადარი ცხოველის მეთვალყურე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც უფლებამოსილ ორგანოში შინაური ბინადარი ცხოველის რეგისტრაციის მომენტიდან აქვს აღებული ვალდებულება მისი კვება-დაწყურვების შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფაზე, მიკვდლებულ შინაურ ბინადარ ცხოველთან დაკავშირებით დაინტერესებული პირისათვის საჭირო ინფორმაციის გაცემაზე, ვეტერინარულ დაწესებულებაში შინაური ბინადარი ცხოველის ვეტერინარული მომსახურების განხორციელებაზე;

თ) შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობა - ცხოველის მოვლა-პატრონობისა და ბუნებრივი ქცევისათვის საჭირო პირობების შექმნა, რომელიც მოიცავს ცხოველის საკვებისა და წყლის ხელმისაწვდომობას, დაავადებისაგან, ტკივილისაგან, შიშისა და სხვა სტრესისაგან მის დაცვას;

ი) შინაური ბინადარი ცხოველის მოვლა-პატრონობა – შინაური ბინადარი ცხოველისთვის აუცილებელი საარსებო პირობების შექმნა: ვეტერინარისა და კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ დადგენილი რაციონით მისი კვება-დაწყურვება, საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით, რეგულარული გასეირნება, ვეტერინარული ზედამხედველობის უზრუნველყოფა და მომსახურება – დაავადებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, ცოფის და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაცია, ვეტერინარული მკურნალობა, ლაბორატორიული გამოკვლევა და შინაური ბინადარი ცხოველის გაწვრთნა სოციალიზაციის ვალდებულებით, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობების უზრუნველყოფა;

## **შენიშვნა N 6**

*რას ნიშნავს „ვეტერინარისა და კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ დადგენილი“? ორივემ უნდა დაადგინოს თუ ერთ-ერთმა? ასევე ყველა საკვებს აქვს თავისი დოზირება ინსტრუქციაში. ჩამოვყალიბდეთ, კანონი ზოგად ჩარჩოს ადგენს თუ ყველაფერს? თუ ყველაფერს, მაშინ დანართად საჭიროა ჯიშების მიხედვით რაციონის, საცხოვრებელი ფართობის, გასეირნების ხანგრძლივობისა და მანძილის დართვა, რაც არარეალურია. მაშინ მივიღებთ კოდექსს.*

- *ვეტერინარისა და კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ დადგენილი რაციონით ამოსაღებია. ამის ნაცვლად უნდა დაიწეროს: კვება ამ სახეობისთვის და ჯიშისთვის აუცილებელი საკვებით და რაციონით.*

- ვეტერინარული მკურნალობა, ლაბორატორიული გამოკვლევა ამოსაღებია ვეტერინარული მკურნალობა და ლაბორატორიული გამოკვლევა, რომელიც ისედაც მოიაზარება ვეტერინარული მომსახურების უზრუნველყოფასა და მომსახურებაში.
- შინაური ბინადარი ცხოველის გაწვრთნა სოციალიზაციის ვალდებულებით, სამოსამსახურო ძაღლებზე თუ იქნება გაწვრთნა, ეს სხვა საკითხია და ზოგადად ყველას დავალდებულება გაწვრთნას ცხოველი, რომელსაც ეს არ ესაჭიროება, არასწორია. გაწვრთნის მაგივრად უნდა ჩაიწეროს: სოციალიზაცია.—ან როგორ უნდა გაწვრთნათ კატა, ან ზაზუნა? ამავე დროს არ იწვრთნება კავკასიური ნაგაზი!

კ) შინაური ბინადარი ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობები - შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღება, საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, ხანგრძლივი პერიოდით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება, შინაური ბინადარი ცხოველისგან მეპატრონის ხანგრძლივი პერიოდით იძულებითი მოცილება, შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის ან მისი ოჯახის წევრის დაავადება, რომლის გამოც შეუთავსებელია შინაურ ბინადარ ცხოველთან თანაარსებობა და სხვა ობიექტური წინაპირობები;

### შენიშვნა N 7

ჩამონათვალის შემდეგ უნდა ეწეროს: „რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის პატრონის მიერ ცხოველის მოვლა-პატრონობის ვალდებულების შესრულებას და არა მარტო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას. შესაძლებელია, რომ ცხოველს ჰქონდეს სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით გამოყოფილი ფართი, მაგრამ პატრონი ვერ ახერხებდეს სხვა ვალდებულების შესრულებას.

ლ) შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის დადგენის ან ახალი მეპატრონის მოძიების ქმედითი ღონისძიებები - იდენტიფიკაციის საშუალების არსებობის შემთხვევაში - ცხოველის იდენტიფიცირება, ოპტიმალურ ვადებში შინაური ბინადარი ცხოველის ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში, გაწეული ვეტერინარული მომსახურება, მონაცემები მეპატრონისა და შინაური ბინადარი ცხოველის მოვლა-პატრონობის პირობების შესახებ და სხვა) განთავსების უზრუნველყოფა უფლებამოსილი ორგანოს ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელებსა და მედია საშუალებებში;

მ) კინოლოგიური დაწესებულება - ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ძაღლების ჯიშების, მათი მოვლა-პატრონობის,

კვების, გამრავლების და სელექციის, ფიზიოლოგიური თავისებურებებისა და ქცევის შესწავლასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას, ასევე ჯგუფურ, ინდივიდუალურ და სპორტულ წვრთნას, ქცევის კორექციას (ინტეგრირება-სოციალიზაციას), ფიზიკურ მომზადებას, მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას;

ნ) ფელინოლოგიური დაწესებულება - ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს კატების ჯიშების, მათი მოვლა-პატრონობის, კვების, გამრავლების და სელექციის, ფიზიოლოგიური თავისებურებებისა და ქცევის შესწავლასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას;

ო) ვეტერინარული დაწესებულება - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ვეტერინარულ მომსახურებას;

პ) შინაური ბინადარი ცხოველის ევთანაზია - უფლებამოსილი პირის (ვეტერინარის) მიერ შინაური ბინადარი ცხოველისათვის სიცოცხლის შეწყვეტა, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს შინაური ბინადარი ცხოველების ჰუმანურად, მყისიერად და უმტკივნეულოდ მოკვდინებას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებით, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებითა და ისეთი პრეპარატების გამოყენებით, რაც შინაურ ბინადარ ცხოველს მიაყენებს მცირე ფიზიკურ ტკივილს, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;

### **შენიშვნა N 8**

*საჭიროებს ძალიან ზუსტ და კორექტულ განმარტებას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, ამიტომ დეტალიზაცია აუცილებელია. აბსოლუტურად ყველა ბიჯზე აუცილებელია შესაბამისი წერილობითი საბუთებისა და პასუხისმგებელი პირების გაწერა.*

*ჰუმანურად ამოღებულ იქნას. ჩაიწეროს მოკვდინება, ანუ სიცოცხლის შეწყვეტა არ არის ჰუმანური აქტი, ამ შემთხვევაში ეს არის უმტკივნეულოდ მოკვდინება.*

ჟ) შინაური ბინადარი ცხოველის რეგისტრაცია – უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი თავმესაფრის, ვეტერინარული დაწესებულების, საშენის მიერ იდენტიფიცირებული შინაური ბინადარი ცხოველის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში შეტანა, ასევე, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა;

### **შენიშვნა N 9**

*თუკი ვსაუბრობთ კანონზე, რომელიც ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაშინ ისმის კითხვა: რეგიონებში ვინ და სად უნდა დაარეგისტრიროს ცხოველი? სანამ არ შეიქმნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა, გარდამავალ პერიოდში რა ხდება? ვინ განახორციელებს მოსახლეობაში ამის შესახებ საინფორმაციო კამპანიას?*

რ) შინაური ბინადარი ცხოველის (ძალი, კატა) იდენტიფიკაცია - შინაური ბინადარი ცხოველების ნიშანდება უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი ვეტერინარული

დაწესებულების, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრის ან საშენის მიერ იდენტიფიკაცია მიკროჩიპით;

### **შენიშვნა N 10**

*ჩიპირებას სავალდებულოს ვხდით? ვინ დაჩიპავს ცხოველს რეგიონში? რას ნიშნავს ნიშანდება? სადაა ცხოველთა ერთიანი ბაზა? ვინ შექმნის მას?*

ს) უფლებამოსილი ორგანო - მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან შესაბამისი მიზნით შექმნილი იურიდიული პირი, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება შინაურ ბინადარ ცხოველთა მონიტორინგი და მათი მოვლა-პატრონობის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელება, პოპულაციების მართვა-კონტროლის ორგანიზება, აღრიცხვა, ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო და მეგობრული გარემოს შექმნის ხელშეწყობა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

### **შენიშვნა N 11**

*მოვლა-პატრონობის წესების დაცვაზე სულ მცირე სხვა ორგანოა საჭირო ისევე, როგორც ცხოველთა მიმართ სისასტიკეზე რეაგირება. არ შეიძლება მუნიციპალური ორგანოების ხელში ყველა ამ ფუნქციის გაერთიანება. საჭიროა დამოუკიდებელი ორგანოების, ცხოველთა დამცველი ორგანიზაციების ჩართვა.*

*სადაც არაა ტერიტორიულად მარეგისტრირებელი ორგანო, რა ხდება?*

ტ) მარეგისტრირებელი ორგანო - უფლებამოსილი ორგანო, ვეტერინარული დაწესებულება, საშენი, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ახორციელებს ცხოველის იდენტიფიკაციას ან/და რეგისტრაციას;

### **შენიშვნა N 12**

*დაემატოს ცხოველთა დაცვის ორგანიზაციები.*

უ) საბელი - ცხოველის გადაადგილების კონტროლის საშუალება, რომელიც ზღუდავს მეპატრონისგან შინაური ბინადარი ცხოველის დაცილების შესაძლებლობას;

ფ) მოკლე საბელი - ცხოველის გადაადგილების კონტროლის საშუალება, რომელიც ზღუდავს მეპატრონისგან შინაური ბინადარი ცხოველის დაცილების შესაძლებლობას 1-1,5 მეტრის მანძილზე;

ქ) ალიკაპი - მოწყობილობა, რომელიც ცხოველს უმაგრდება დრუნჩზე, ან თავზე და განკუთვნილია სხვა ცხოველებისა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ღ) გადამეტებული აგრესია - შინაური ბინადარი ცხოველის იმგვარი ფსიქიური დისბალანსი, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა ცხოველის ან/და ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და შეუძლებელს ხდის მის შემდგომ ინტეგრაციას;

### **შენიშვნა N 13**

აუცილებელია, დაზუსტდეს, რომ ეს უნდა იყოს ობიექტური პირობებისგან დამოუკიდებელი დისბალანსი (ობიექტური პირობაა ცხოველის გაღიზიანება, ტკივილის მიყენება ან ის შემთხვევა თუნდაც, როცა ცხოველი განიცდის ძლიერ ტკივილს), ასევე გადამეტებული აგრესიის დადგენა აუცილებელია შესაბამისი ექსპერტიზით, სადაც ჩართული იქნებიან დამოუკიდებელი ორგანოები/პირები. ასევე ქვემოთ ტექსტში ხშირად ნახსენებია მხოლოდ „აგრესია“, რაც არასწორია.

ასევე არასწორია ჩანაწერი: „შეუძლებელს ხდის მის შემდგომ ინტეგრაციას“. ვინ ადგენს აღნიშნულს? ხდება თუ არა შინაურ ცხოველზე დაკვირვება, ტრენინგი, სპეციალისტის (ზოოფსიქოლოგის) მიერ მუშაობა და ა.შ. რა პერიოდს მოიცავს აღნიშნული და ვის აქვს უფლება, რომ შეაფასოს ცხოველის აგრესიულობის სტადია.

ყ) შინაური ბინადარი ცხოველის მოკვლა - ამ კანონით დადგენილი ჰუმანური მეთოდების გამოყენების გარეშე ან შესაბამისი საფუძვლის გარეშე შინაური ბინადარი ცხოველის მოკვდინება;

#### **შენიშვნა N 14**

რას ნიშნავს შესაბამისი საფუძვლის გარეშე მოკვდინება? პირდაპირ უნდა ჩაიწეროს, რომ ეს არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რაც მოიცავს შინაური ცხოველის მოკვდინებას. აქვე დასაზუსტებელია, რას ვმვრებით რეგიონებში, მაგალითად, სადაც ტერიტორიულად არ არიან ვეტერინარები?

შ) შინაურ ბინადარ ცხოველთა გასეირნება - შინაური ბინადარი ცხოველისათვის აუცილებელი ფიზიკური დატვირთვის მიზნით, შინაური ბინადარი ცხოველის ყოფნა არასაცხოვრებელ ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში მეპატრონის ან თანმხლები პირის მეთვალყურეობით;

#### **შენიშვნა N 15**

განმარტება საერთოდ არ არის სწორი.

ჩ) შინაურ ბინადარ ცხოველთა გამრავლება - ამ კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით, შინაური ბინადარი ცხოველების რეპროდუქცია;

ც) ფუნქციური დანიშნულების ძაღლი - სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი, რომლის უნარ-ჩვევებიც გამოიყენება დაცვის, მოძიების, სანიტარული და დივერსიული ფაქტების აღმოსაფხვრელად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ასევე სამწყემსო დანიშნულების ძაღლი;

ძ) შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი - ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული არაკომერციული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციის მართვას და სადაც ხორციელდება უპატრონოდ/უმეთვალყურეოდ დარჩენილი შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობა ან/და მეპატრონის მოძიება

წ) შინაურ ბინადარ ცხოველთა საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი - სპეციალიზირებული დაწესებულება, სადაც გამოჯანმრთელებამდე ან ახალი მეპატრონის მოძიებამდე დროებით არის განთავსებული არა უმეტეს 15 უმეტვალყურეო, ტრავმირებული, ან დაკარგული შინაური ბინადარი ცხოველი;

#### **შენიშვნა N 16**

*განმარტებები საჭიროებს დახვეწას. რაოდენობრივი შეზღუდვის შემოღება დაზუსტებების გარეშე (ცხოველი ზომა, მდგომარეობა, ფართი, სადაც იმყოფებიან ცხოველები) ყოველგვარ აზრს მოკლებულია და პირიქით გააუარესებს ცხოველებისა და მათი მომვლელი ადამიანების მდგომარეობას.*

ჭ) შინაურ ბინადარ ცხოველთა სასტუმრო - კომერციული მიზნით შექმნილი სპეციალიზირებული დაწესებულება, რომელიც განკუთვნილია შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის მიერ მიბარებული შინაური ბინადარი ცხოველის დროებით განთავსებისთვის.

#### **შენიშვნა N 17**

*რატომ მართო კომერციული მიზნით შექმნილი დაწესებულება? არაკომერციულ ორგანიზაციას აქვს უფლება შექმნას ცხოველების სასტუმრო დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის მიზნით, რომლის შემოსავლები არაკომერციულია და მიმართულია ორგანიზაციის მთავარი საქმიანობის ხელშეწყობისთვის.*

ხ) უმეტვალყურეო შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა - კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უფლებამოსილი ორგანოს მიერ უმეტვალყურეო შინაური ბინადარი ცხოველების ჰუმანური მეთოდით აყვანა და შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში მოთავსება ამ კანონით დადგენილი წესით;

ჯ) დეჰელმინთიზაცია - ცხოველის ორგანიზმიდან ჭიების, პარაზიტების გამოდევნა;

ჰ) ვაქცინაცია - დაავადებების საწინააღმდეგო ანტიგენის/ანტიგენების ცხოველის ორგანიზმში შეყვანა რიგი დაავადებების მიმართ იმუნიტეტის (ორგანიზმის დამცველობითი უნარის) შესამუშავებლად;

3<sup>1</sup>) კასტრაცია - ხვადი შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) გამრავლების უნარის შეწყვეტა;

3<sup>2</sup>) სტერილიზაცია - ძუ შინაური ბინადარი ცხოველისათვის (ძაღლი, კატა) გამრავლების უნარის შეწყვეტა;

3<sup>3</sup>) შინაური ბინადარი ცხოველის გასხვისება - შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრის, სხვა ორგანიზაციის ან პირის მიერ შინაური ბინადარი ცხოველის კანონით დადგენილი წესით გადაცემა პასუხისმგებელი პირისათვის;

34) შინაურ ბინადარ ცხოველთა ორთაბრძოლა - ცხოველის შებრძოლება თავისივე ან სხვა სახეობის ცხოველთან, ან ადამიანთან, შეჯიბრების ან დაკბენის მიზნით;

35) შინაური ფერმერული ცხოველი - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველი, რომელსაც უვლიან ან/და მოაშენებენ სურსათის, ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის, წამლებისა და სხვა პროდუქტების დამზადების, სამუშაოს შესრულებისა და სხვა სახის სამეურნეო გამოყენებისათვის;

36) შინაური ბინადარი ცხოველის პასპორტი - დოკუმენტი, რომელშიც ვეტერინარის მიერ კეთდება ჩანაწერები ყოველწლიური ვაქცინაციის, სტერილიზაცია/კასტრაციის, ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურების შესახებ (ალერგიული რეაქცია, ქრონიკული ჯანმრთელობის კონდიცია, წონა და ა.შ.) და ასევე ჩანაწერები ანტიპარაზიტული საშუალებების გამოყენების შესახებ, რომელსაც ავსებს ვეტერინარი ან/და მეპატრონე.

37) მიკროჩიპი - მხოლოდ წაკითხვადი პასიური რადიოსიხშირული იდენტიფიკაციის საშუალება, სპეციალური ინფორმაციის მატარებელი იმპლანტი, რომლის საშუალებით მონაცემთა ერთიან ბაზაში ასახულ იქნება ინფორმაცია შინაური ბინადარი ცხოველისა და მისი მეპატრონის შესახებ;

38) სურსათის ეროვნული სააგენტო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სურსათის ეროვნული სააგენტო“

39) საშენი - ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ტერიტორია (შენობა-ნაგებობა/შემოსაზღვრული სივრცე), სადაც ხორციელდება შინაური ბინადარი ცხოველების კომერციული მიზნით გამრავლება.

## **შენიშვნა N 18**

**ზოგადი შენიშვნა** - თუ განმვარტავთ კომპანიონ ცხოველს, შეიძლება იქვე შემოსაზღვრა, რომ საუბარია ძაღლსა და კატაზე, ყველაფერ ფრჩხილებში რომ არ ეწეროს.

შინაურ ცხოველთა კეთილდღეობა საერთოდ სხვაა და საჭიროა კანონის მოქმედების სფეროს შემოსაზღვრა. საქართველო ძალიან შორსაა ცხოველთა კეთილდღეობის კოცენფციისგან და ჯერ მინიმალური სტანდარტები უნდა დაფუძნდეს. ყველაფრის ერთი კანონით რეგულირება შეუძლებელია.

**ტერმინთა განმარტებაში არ არის და აუცილებლად უნდა იყოს:**

- ცხოველთა პოპულაციის მართვა (? - რატომ არ არის განმარტება? ადამიანთა დიდმა ნაწილმა საერთოდ არ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა!)
- შინაური ცხოველის პატრონი (ყველაზე მნიშვნელოვანი და განმარტება არ არსებობს!)
- ცხოველის კონფისკაცია
- ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობა
- ცხოველის მიმართ არასათანადო მოპყრობა

### **მუხლი 3. უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენციები**

1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ფუნქციებია:

- ა) მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის წესების დაცვის კონტროლი და კანონმდებლობით დადგენილი სანქციების გამოყენება;
- ბ) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა;
- გ) შინაური ბინადარი ცხოველების ვაქცინაცია;
- დ) აგრესიულ შინაურ ბინადარ ცხოველებზე დაკვირვება;

#### **შენიშვნა N 19**

*როგორ უნდა დააკვირდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო აგრესიულ ძაღლს? ეს ფუნქცია არ შეიძლება და ვერც მოხდება, რომ შევიდეს ამ ორგანოს კომპეტენციაში.*

- ე) შინაური ბინადარი ცხოველების რეგისტრაცია;
- ვ) საშენის, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრის, საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფრის, სასტუმროს, სარეალიზაციო ობიექტის, კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულების ავტორიზაცია;

#### **შენიშვნა N 20**

*თავშესაფრებისა და საოჯახო თავშესაფრებისთვის ნებართვის ინსტიტუტის შემოღება გააუარესებს ისედაც ცუდ ვითარებას ქვეყანაში უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებით. თავშესაფრების საკითხი ცალკე რეგულაციის თემაა, აუცილებელია, არსებობდეს მინიმალური სტანდარტები, თავშესაფრის დებულებები და მოქმედების წესები, განისაზღვროს გარდამავალი პერიოდი, ასევე უკიდურესი აუცილებლობის პირობები, როდესაც ქვეყანაში არის მწვავე ნაკლებობა ცხოველთა თავშესაფრების, მათთვის ნორმალური პირობების უზრუნველყოფის.*

- ზ) საშენის, ვეტერინარული დაწესებულების, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრის, საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფრის, შინაურ ბინადარ ცხოველთა სასტუმროს, კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულების მიერ კანონმდებლობით და ნებართვით გათვალისწინებული პირობების დაცვის ყოველწლიური მონიტორინგი და კანონმდებლობით დადგენილი სანქციების დაკისრება;

- თ) ცხოველის გამრავლებაზე ნებართვის გაცემა.

#### **შენიშვნა N 21**

*უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენციაში არ შეიძლება შედიოდეს ცხოველის (თან გაურკვეველია, თუ რომელი სახეობის ცხოველზეა საუბარი) გამრავლებაზე ნებართვის გაცემა. ეს არის პროფესიული ნიშნით მიუღებელი.*

ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაწესებულებები ვალდებული არიან აიღონ ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გაცემის საფასურის ოდენობა შეადგენს 20 ლარს.

ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაწესებულებები ვალდებული არიან ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი განათავსონ მომხმარებელთათვის თვალსაჩინო ადგილზე.

### **შენიშვნა N 22**

*შინაურ ცხოველთა თავშესაფარს და საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარს არ შეიძლება ჰყავდეს მომხმარებელი.*

### **შენიშვნა N 23 - ზოგადი შენიშვნები:**

*მოვლა-პატრონობის დაცვის წესების კონტროლი, ცხოველთა სისასტიკეზე რეაგირება არის ცალკე ორგანოს უფლებამოსილება. მსგავსი ორგანო ცხოველთა პოლიციის მსგავსი ქვედანაყოფია და საჭიროებს ცალკე მოწყობას, უნდა არსებობდეს მათი საქმიანობის რეგლამენტი, შესაბამისი ცხელი ხაზი (თუნდაც 112 გამოყენება შესაძლებელია), უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სადაც სისასტიკის მსხვერპლ ცხოველს წაიყვანენ ან თუნდაც მომემტებული აგრესიის ცხოველს/დაზიანებულ ცხოველს განათავსებენ. სასურველია ეს ინფრასტრუქტურა არ იყოს სახელმწიფო და ცენტრალიზებული, არამედ შეიქმნას დამოუკიდებელი მათ შორის კომერციული დაწესებულებები. მთელი ეს ინფრასტრუქტურა ისევე, როგორც მუნიციპალიტეტის თავშესაფერი უნდა გაკონტროლდეს საზოგადოებისა და ცხოველთა დამცველი ორგანიზაციების მიერ.*

*ასევე უნდა არსებობდეს ცხოველის ჩამორთმევის, სხვადასხვა ტიპის რეაგირების რეგლამენტი და წესები.*

*მომეტებული აგრესიულ ცხოველებზე დაკვირვება აუცილებლად საჭიროებს მონიტორინგს დამოუკიდებელი ექსპერტების/ცხოველთა დამცველი ორგანიზაციების მხრიდან. საჭიროა პროცედურის გაწერა შესაბამისი დოკუმენტების (ოქმების) შედგენით.*

*ვაქცინაციას, რეგისტრაციას ახორციელებენ ვეტერინარებიც. ალბათ, საუბარია წესების განსაზღვრაზე, საერთოდ მონაცემთა ბაზის წარმოებაზე და სხვა მსგავსზე - ასევე უპატრონო და მიკედლებული ცხოველების ვაქცინაცია-რეგისტრაციაზე.*

*დასაზუსტებელია, რა მოიაზრება პოპულაციების მართვაში. აუცილებელია აპრობირებულ საერთაშორისო მეთოდებზე აპელირება, თანამშრომლობის გაღრმავება უცხოურ ორგანიზაციებთან, ვისაც შესაბამისი გამოცდილება და მართვის ტექნიკის დიდი პრაქტიკა აქვთ.*

## **თავი II**

**შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის ხელშეწყობა და მოვლა-პატრონობის მოთხოვნები**

**მუხლი 4. შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის ძირითადი პრინციპები**

1. ყველა შინაური ბინადარი ცხოველი უნდა ცხოვრობდეს ცხოველის მახასიათებლებიდან გამომდინარე, მისთვის ბუნებრივ გარემოში.
2. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის მიტოვება ან ევთანაზია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**შენიშვნა N 24**

სად არის კანონი ცხოველის მიტოვებაზე?

ცხოველის მიტოვება უნდა ითვლებოდეს ცხოველისადმი არასათანადო ან სასტიკ მოპყრობად და უნდა იყოს დასჯადი. ხოლო ცხოველის განსაცდელში მიტოვების შემთხვევაში პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით:

პროექტი: სისხლის სამართლის კოდექსში: დაემატოს მუხლი: „ცხოველის განსაცდელში მიტოვება“

1. დაუხმარებლად იმ ცხოველის მიტოვება, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვერ შეძლო თავის დაღწევა საშიში მდგომარეობიდან, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ორას ორმოც საათამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. საკუთრებაში მყოფი კომპანიონი (ან ფერმერული) ცხოველის უკაცრიელ, ან უცხო ადგილზე მიტოვება, მისი გაგდების ან თავიდან მოშორების მიზნით, ან კომპანიონი ცხოველის შთამომავლობის (ლეკვები, კნუტები და ა.შ)

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი წლიდან ორ წლამდე.

3. საკუთრებაში არსებულ კომპანიონ ცხოველზე უარის თქმა და თავშესაფარში ჩაბარება, როდესაც არ არსებობს ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობა და ცხოველის ჩაბარება ხდება მისი თავიდან მოშორების, დაბერების, მობეზრების ან სხვა არაობიექტური მიზეზის გამო, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორი წლიდან სამ წლამდე ცხოველის ყოლის უფლებების შეზღუდვით..

**შენიშვნა:** ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობებია შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული ცხოველის პატრონის ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღება, ცხოველის

*პატრონის საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, ხანგრძლივი პერიოდით ქვეყნის ფარგლებს გარეთ იძულებითი გამგზავრება, ცხოველისგან ცხოველის პატრონის ხანგრძლივი პერიოდით იძულებითი მოცილება, ცხოველის ფსიქიკური მოშლილობა, როდესაც სპეციალისტის ჩარევა უკვე შეუძლებელია.*

3. შინაური ბინადარი ცხოველის გამოყენება ნებისმიერი ფორმით და გამრავლების ნებისმიერი სახე უნდა პასუხობდეს სახეობისთვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ და ქცევით ნორმებს.

4. შინაური ბინადარი ცხოველების კეთილდღეობასა და დაცვას არ ეწინააღმდეგება:

ა) შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) დაჭერა, სტერილიზაცია, კასტრაცია, ანტირაბიული ვაქცინაციისა და დაბრუნების პროცედურა;

ბ) შინაურ ბინადარ ცხოველთა ევთანაზია, როდესაც კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურით და წესით დადგინდება შინაური ბინადარი ცხოველის უკურნებელი დაავადება ან/და ცხოველთა თუ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებულად საშიში დაავადებების აღკვეთის საჭიროება, მათ შორის, ცოფით დაინფიცირების შემთხვევა, ან გადამეტებული აგრესიული ქცევა, რომელიც არ იძლევა სხვა ცხოველთან ან ადამიანთან თანაარსებობის საშუალებას;

#### **შენიშვნა N 25**

*... ან აგრესიული ქცევა*

*წინ დაემატოს: კინოლოგის (ან ზოოფსიქოლოგის) მიერ სათანადო წესით დადასტურებული ცხოველის აგრესიული ქცევა, როდესაც შესაბამის გარემოში კინოლოგ-ზოოფსიქოლოგის მიერ შესაბამისი ტრენინგის მცდელობის მიუხედავად, ვერ ხერხდება ცხოველთან კონტაქტი.*

გ) შინაური ბინადარი ცხოველის ევთანაზია საგანგებო შემთხვევებში, როცა მიზანშეწონილია მძიმედ დაჭრილი, ტრამვირებული ან დაავადებული შინაური ბინადარი ცხოველის ტანჯვის დასრულება.

#### **შენიშვნა N 26**

*დაემატოს: ევთანაზია უნდა ჩატარდეს მხოლოდ ვეტერინარის მიერ შესაბამისი წესით.*

5. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის გადაცემა ჯილდოს, პრიზის ან პრემიის სახით.

6. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის საკვებად გამოყენება ან/და მისგან პრეპარატებისა და ქიმიური საშუალებების დამზადება.

#### **შენიშვნა N 27**

*როგორ მოხდება ამ მუხლის გამოყენება მაგალითად კურდღლის შემთხვევაში?*

კურდღელი არის:

გარეული, ფერმერული, შინაური, ანუ შესაძლებელია იყოს კომპანიონი ცხოველი. კურდღელი ჰყავს სამეგობროდ გარკვეულ პირებს. ამ კანონის თანახმად არ იკრძალება ამ სახეობის ცხოველის ყოლა საკუთრებაში და ის ჩაითვლება შინაურ ცხოველად. მაგრამ ამავე დროს ის არის ასევე გარეული ცხოველიც და ფერმერულიც. მას იყენებენ საკვებად, მისგან ამზადებენ პრეპარატებს და ქიმიურ საშუალებებს (პარფიუმერული წარმოება). ასევე იყენებენ კურდღლის ბეწვს.

სხვა ცხოველებზეც შეიძლება ანალოგიური კითხვა (ღორი, ცხენი, და ა.შ).

7. ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, შინაური ბინადარი ცხოველის დაზიანების/სიკვდილის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე შეატყობინოს უფლებამოსილ ორგანოს.

### **შენიშვნა N 28**

და ასევე დაემატოს: სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე შეატყობინოს უფლებამოსილ და სამართალდამცავ (პოლიციას) ორგანოს.

უნდა იყოს გაწერილი: თუ არ იქნება შეტყობინება სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ, მაშინ რა ხდება?

8. შინაური ბინადარი ცხოველის ლეშის განკარგვა უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 5. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის ვალდებულებები**

### **შენიშვნა N 29**

**შენიშვნები ცხოველის პატრონის ვალდებულებებზე:**

აღნიშნულ კანონპროექტში საერთოდ არ არის აღნიშნული, თუ ვინ შეიძლება გახდეს ცხოველის პატრონი და ვის ეკრძალება კომპანიონი ცხოველის ყოლა, ანუ პირისთვის ცხოველის ყოლის ნებართვის გაცემა – აღნიშნულ მუხლში უნდა განიმარტოს:

- ვინ შეიძლება გახდეს ცხოველის პატრონი (ასევე მიმკვდლებელი, მზრუნველი, შემფარებელი) და რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი ცხოველის სახეობიდან გამომდინარე;
- ვისთვის იკრძალება შინაური ცხოველის ყოლა (მაგალითისთვის: პირი, რომელსაც:
  1. ჩამოერთვა ცხოველი;
  2. თავისი ცხოველი ჩააბარა თავშესაფარში;
  3. დაეკარგა და არ მოიძია;
  4. მოუკვდა დაუდევრობით;
  5. შემჩნეულია ცხოველებისადმი სისასტიკეში, წვალებაში, არასათანადო მოპყრობაში და ა.შ)
- რა შემთხვევებში ხდება პატრონისთვის ცხოველის ჩამორთმევა (ცხოველის კონფისკაცია);

- რა რეგულაციები უნდა დაწესდეს, რომ პირს მიეცეს უფლება კომპანიონი ცხოველის ყოლის.

აღნიშნული კანონი აუცილებელია და ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ასეთი პირების მიერ ხდება საკუთარ ცხოველზე არასათანადო მოპყრობა და სისასტიკე.

**განსაკუთრებით მკაცრი რეგულაციები უნდა დაწესდეს პირებზე, ვისაც სურს აიყვანოს მონადირე ჯიშის, ან აგრესიული ჯიშის ძაღლი, ვინაიდან ყველაზე ცუდად ამ ჯიშის ძაღლებს ეპყრობა პატრონების დიდი უმრავლესობა. მათი უმეტესობა დაავადებულია, არასათანადო პირობებში მოვლა-პატრონობის შედეგად, არ უტარდებათ საჭირო ვეტერინარული მომსახურება და საბოლოოდ კლავენ, ან ტოვებენ ქუჩაში/ტყეში.**

ნებისმიერ განვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყანაში ხდება ასეთი ნებართვის გაცემა, ვინაიდან ცხოველი არის სულიერი. ასეთი კანონის არ არსებობის შემთხვევაში ქვეყანაში ვერ იარსებებს ცხოველთა კეთილდღეობის ელემენტარული საკითხიც.

**ამავე დროს აუცილებელია, რომ არსებობდეს „შავი სია“, სადაც იარსებებს მონაცემთა ბაზა იმ პირებზე, ვისთვისაც იკრძალება ცხოველის ყოლა.**

**კანონპროექტში საერთოდ არ არის სიტყვა „ცხოველის პატრონის“ განმარტება. ასევე არსად წერია, რომელი ასაკიდან არის შესაძლებელი, რომ პირი გახდეს ცხოველის პატრონი და რა პროცედურები უნდა გაიაროს. კანონის ეს მუხლი იწყება პირდაპირ რაღაც გაურკვეველი ვალდებულებებიდან, ხოლო ვინ უნდა იყოს ამ ვალდებულებების შემსრულებელი, ეს არ არის გაწერილი.**

1. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე პასუხისმგებელია მისი შინაური ბინადარი ცხოველის ჯანმრთელობაზე, მოვლა-პატრონობასა და კეთილდღეობაზე, ასევე, სხვა ცხოველის და ადამიანის მიმართ საკუთარი ცხოველისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებაზე.

2. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე პასუხისმგებელია მისი შინაური ბინადარი ცხოველის მიერ სხვა პირებისათვის მიყენებული ზიანისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველის მოვლა-პატრონობა კონკრეტული ჯიშის ბიოლოგიური და ეთიოლოგიური თავისებურებების შესაბამისად. კერძოდ, მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონით დადგენილი წესით, ცხოველის დაბადებიდან ან ფაქტობრივი პატრონობის დაწყებიდან 1 თვის ვადაში, ასევე, ყოველწლიური საკონტროლო რეგისტრაცია;

ა.ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მეპატრონე ფიზიკური პირის შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაციას უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანო.

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის სათანადო კვება-დაწყურვება;

გ) შინაური ბინადარი ცხოველისთვის საძილე ადგილის გამოყოფა-მოწყობა, დათბუნება და განათება;

### **შენიშვნა N 30**

#### **პუნქტი ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:**

*„შინაური ცხოველისთვის საბინადრო და საძილე ადგილის გამოყოფა-მოწყობა, ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფა (ზამთრის პერიოდში დათბუნება), და განათება“;*

დ) შინაური ბინადარი ცხოველის გასეირნება და სათანადო ფიზიკური აქტივობა;

ე) შინაური ბინადარი ცხოველისთვის სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნა;

ვ) ნარევი (მეტისი) ჯიშის შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი/კატა) გამრავლების შესაძლებლობის შეწყვეტა სტერილიზაცია/კასტრაციის გზით ხოლო სამედიცინო ჩვენების საფუძველზე, თუ სტერილიზაციის/კასტრაციის მეთოდის გამოყენება საფრთხის შემცველია შინაური ბინადარი ცხოველისთვის, სხვა უვნებელი, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მეთოდით;

ზ) ყოველწლიური ვეტერინარული შემოწმება, ვაქცინაცია (მათ შორის ანტირაბიული და კომპლექსური), ხოლო მონადირე ჯიშის ძაღლის შემთხვევაში, წელიწადში ორჯერ, ანტირაბიული ვაქცინაცია, დეჰელმეტიზაცია და სხვა საჭირო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება;

თ) საზოგადოებრივი სივრცის მყისიერი დასუფთავება შინაური ბინადარი ცხოველის მიერ ასეთი სივრცის დაზინძურების შემთხვევაში;

ი) შინაური ბინადარი ცხოველის დაკარგვის/სიკვდილის შემთხვევაში, დაკარგვის/სიკვდილის ფაქტის შესახებ უფლებამოსილი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ (დაკარგვიდან/სიკვდილიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა) შეტყობინება და დადგენილი წესით შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა (ცხოველის, მისი დაკარგვის დროის, ადგილის, გარემოებებისა და სხვათა შესახებ).

### **შენიშვნა N 31**

არ შეიძლება ცხოველის დაკარგვის შემთხვევაში კანონით მხოლოდ „შეტყობინება“ იყოს სავალდებულო. ცხოველის დაკარგვის ან პოვნის შემთხვევაში უნდა იყოს გაწერილი დეტალები და ცხოველის პატრონზე დაბრუნების პროცედურები:

გთავაზობთ შემდეგ ფორმულირებას:

**წესები პირად მფლობელობაში არსებული ცხოველის დაკარგვის ან პოვნის შესახებ** კანონპროექტში საერთოდ არ არის არანაირი წესი (რეგულაციები), რომელიც ეხება პირად მფლობელობაში მყოფი ცხოველის დაკარგვის შემთხვევაში პატრონის უფლება-ვალდებულებებს. ასევე არ არის წესი პირის მიერ ცხოველის (ამ შემთხვევაში სავარაუდოდ დაკარგულის) პოვნის შემთხვევაში, მპოვნელის ვალდებულებებზე. თუ აღნიშნული წესი - კანონი არ იქნება აღნიშნულ კანონპროექტში, ეს იქნება დიდი ხარვეზი, ვინაიდან საქართველოში ძალიან ხშირია ცხოველის დაკარგვის (ან გაგდება/მიტოვების) ფაქტები და მოქალაქეებმა არ იციან კონკრეტულ შემთხვევაში რა მოიმოქმედონ, ვის მიმართონ, ან რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ცალკეული ადამიანები პოულობენ სავარაუდოდ დაკარგულ (ან მიტოვებულ) ცხოველებს. ამ შემთხვევაშიც აღნიშნულზე უნდა არსებობდეს კანონით განსაზღვრული წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ კანონპროექტში დამატებულ იქნას მუხლი: „წესები პირად მფლობელობაში არსებული ცხოველის დაკარგვის ან პოვნის შესახებ“

ა) ცხოველის დაკარგვის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში ცხოველის პატრონი/მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამ ფაქტის შესახებ უფლებამოსილ ორგანოს (ან პოლიციას), მიაწოდოს ინფორმაცია დაკარგული ცხოველის შესახებ და შეძლებისდაგვარად გამოაქვეყნოს ინფორმაცია სოციალური ქსელის მეშვეობით. უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს დაკარგული და მოსაძიებელი ცხოველის შესახებ ინფორმაცია და ფოტო მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ პირს დაეკარგა ცხოველი, მაგრამ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა უფლებამოსილ ორგანოს აღნიშნულის შესახებ და ცხოველი „დაკარგულის სტატუსით“ მოხვდა მუნიციპალურ ან სხვა თავმესაფარში, ხოლო შემდეგ დადგინდა პატრონის ვინაობა, ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ პატრონმა არ განახორციელა კანონით გათვალისწინებული ვალდებულება ცხოველის მოსაძიებლად. ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ პატრონმა ცხოველი მიატოვა ზედამხედველობის გარეშე, რაც დასჯადი უნდა იყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად. ცხოველის მიტოვება უნდა ჩაითვალოს ცხოველისადმი სისასტიკის კატეგორიად.

ბ) თუ პირმა იპოვა სავარაუდოდ დაკარგული ცხოველი, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უმეტეს 24 საათის განმავლობაში არ შეატყობინა და არ მიაწოდა ინფორმაცია უფლებამოსილ ორგანოს (ან პოლიციას) და ნაპოვნი ცხოველი დააბინავა, ან დროებით იზოლაციაში მოათავსა თავის საკუთრებაში, ან მფლობელობაში ან სხვა მის მიერ კონტროლირებად სივრცეში, ან გააჩუქა, ან გაყიდა, ჩაითვლება რომ პირმა არ მიაწოდა

ინფორმაცია უფლებამოსილ ორგანოს ცხოველის მითვისების განზრახვით, ან მოიპარა ცხოველი სხვისი საკუთრებიდან (რაც დასჯადია...);

გ) ნებისმიერი თავშესაფარი სავარაუდოდ დაკარგული ცხოველის თავშესაფარში მიღებისთანავე ვალდებულია შეამოწმოს ცხოველი იდენტიფიცირებულია თუ არა და ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ ორგანოს. თუ იდენტიფიცირებულია და დადგინდა პატრონის ვინაობა, პატრონს ეგზავნება შეტყობინება აღნიშნულზე. თუ ცხოველი არ არის იდენტიფიცირებული და დასადგენია პატრონის ვინაობა, თავშესაფარი ვალდებულია ცხოველზე ინფორმაცია და ფოტო-მასალა განათავსოს საკუთარ ან/და სხვა შესაბამის ვებ-გვერდებზე 24 საათის განმავლობაში. თავშესაფარში ცხოველისთვის პატრონის გამოჩენის ვადა განისაზღვრება 10 დღით. თუ 10 დღის განმავლობაში არ დადგინდა ცხოველის პატრონის ვინაობა, ასეთ შემთხვევაში მინიმუმ 1 თვის განმავლობაში თავშესაფარში უნდა მოხდეს ცხოველისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და უნდა განხორციელდეს მაქსიმალური ღონისძიებები ცხოველის გაჩუქების მიზნით. თუ შესაბამის პერიოდში ვერც პატრონი გამოიძებნა, ვერც გაჩუქდა და ვერც თავშესაფარი ვერ ინახავს აღნიშნულ ცხოველს, ან ცხოველი ვერ შეეგუა თავშესაფარს ამ შემთხვევაში თავშესაფარი ცხოველთა დაცვის ორგანიზაციასთან შეთანხმებით ცხოველს უშვებს თავისუფლებაზე ბუნებრივ შესაფერის გარემოში, თუ ცხოველი ადაპტირებულია ამ გარემოში ბინადრობას, არ ქმნის საფრთხეს სხვა ცხოველებისთვის ან ადამიანისთვის და ჯანმრთელია. იმ შემთხვევაში, თუ ცხოველის გაშვება გარემოში დაუშვებელია, საკითხი წყდება ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის ჩართულობით.

დ) დაკარგული ან ნაპოვნი ცხოველის პატრონმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულება, რომ ცხოველი ნამდვილად მისი საკუთრებაა. მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს ვეტერინარული სერტიფიკატი, კინოლოგიური პასპორტი, საკუთრების დამადასტურებელი სხვა საბუთი, ან ფოტო/ვიდეო მასალის წარმოდგენა და ა.შ.

ე) თავშესაფარს უფლება აქვს ცხოველი არ დაუბრუნოს პატრონს თუ ჩათვლის, რომ პატრონი უღირსად მოექცა ან არასათანადო პირობებში ჰყავდა ცხოველი, ან ცხოველი დაავადებულია და არ არსებობს იმის გარანტია, რომ პატრონი უმკურნალებს ან მომავალშიც არ მოხდება ცხოველის დაკარგვა. ასეთ შემთხვევაში პატრონს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

დაკარგულ ან ნაპოვნ ცხოველზე რეესტრში უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი.

თუ პირმა თავისი დაკარგული ცხოველი ვინმე სხვა პირთან აღმოაჩინა, 6 თვემდე მას კანონიერი უფლება აქვს უკან დაიბრუნოს საკუთარი ცხოველი და მპოვნელს გადაუხადოს ცხოველის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თუ პირმა იპოვა ცხოველი, წესების დაცვით განაცხადა ნაპოვნ ცხოველზე, მაგრამ პატრონი არ გამოჩნდა, 6 თვის შემდეგ გამოჩენის შემთხვევაში მპოვნელს უფლება აქვს არ დაუბრუნოს ცხოველი, ან დაუბრუნოს თავისი ნებით და მოსთხოვოს ხარჯების ანაზღაურება.

4. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის ვეტერინარულ დაწესებულებას და უფლებამოსილ ორგანოს მისი ცხოველის მიერ ადამიანის ან/და ცხოველის დაკბენის/დაკაწვრის/დადორბვლის ფაქტის შესახებ, უზრუნველყოს ცხოველზე ვეტერინარული ზედამხედველობის დაწესება, შესაბამის ვეტერინარულ დაწესებულებაში ან უფლებამოსილ ორგანოში წარადგინოს ცხოველის ვეტერინარული პასპორტი და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აანაზრაუროს მიყენებული ზიანი. შინაური ბინადარი ცხოველის ვეტერინარული ზედამხედველობის ხარჯებს ანაზღაურებს მეპატრონე.

#### **შენიშვნა N 32**

*დაემატოს: იმ შემთხვევაში, თუ ცხოველის პატრონი თანახმაა, რომ ცხოველი ჰყავდეს თავისთან, მან უნდა უზრუნველყოს ცხოველის შენახვა საკუთარებაში (მფლობელობაში), არ დაუშვას ვეტერინარის მიერ დადგენილ პერიოდში ამ ცხოველის კონტაქტი სხვა ცხოველთან ან ადამიანთან და შესაბამისი პერიოდულობით ინფორმაცია მიაწოდოს ვეტერინარულ სამკურნალოს ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ვეტერინარული სამკურნალო ვალდებულია უზრუნველყოს ადგილზე ვეტერინარული ზედამხედველობა.*

5. მიწის ნაკვეთის მფლობელს შეუძლია თავისუფლად გაუშვას გასასეირნებლად ძალი თავის ნაკვეთში, თუ ტერიტორია უსაფრთხოდაა შემოსაზღვრული და ძალს არ აქვს ამ ტერიტორიის მიღმა მყოფი პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. გარდა ზემოაღნიშნულისა, თუ ძალი არ განეკუთვნება დეკორატიულ ჯიშს, დამატებით, ტერიტორიაზე უნდა იყოს გამაფრთხილებელი წარწერა.

#### **შენიშვნა N 33**

*ამოღებულ იქნას: „ტერიტორიაზე უნდა იყოს გამაფრთხილებელი წარწერა“ - ამოღებული იქნას. გაუგებარია, თუ რატომ უნდა იყოს ტერიტორიაზე გამაფრთხილებელი წარწერა. კანონის თანახმად კერძო საკუთარებაში უცხო პირის შესვლა დასაშვებია მესაკუთრის თანხმობით.*

**დაემატოს: მფლობელს, ან უფლებამოსილ პირს**

**შევიდეს შემდეგი რედაქციით:**

*მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს (მფლობელს, ან უფლებამოსილ პირს) შეუძლია თავისუფლად გაუშვას გასასეირნებლად შინაური ძალი ან ძაღლები ნაკვეთში, თუ ტერიტორია უსაფრთხოდ იქნება შემოსაზღვრული,*

6. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის უპატრონოდ ან მეთვალყურეობის გარეშე მიტოვება. შინაური ბინადარი ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომის შემთხვევაში, მეპატრონე ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია შინაური ბინადარი ცხოველი ჩააბაროს შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში, შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში ცხოველის ჩაბარებამდე, მეპატრონე ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ცხოველისთვის ახალი მეპატრონის მოძიების მიზნით.

### **შენიშვნა N 34**

*მე-6 მუხლი უნდა გაიყოს:*

*სხვა თემა ცხოველის უპატრონოდ მიტოვება და სხვა თემა მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომის შემთხვევაში ცხოველის ჩაბარება თავშესაფარში. ეს არის განსხვავებული თემები და არ შეიძლება იყოს კანონის ერთ პუნქტში.*

*ამავე დროს აბსოლუტურად გაუგებარია: „თავშესაფარში ცხოველის ჩაბარებამდე, მეპატრონე ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ცხოველისთვის ახალი მეპატრონის მოძიების მიზნით.“ დასაკონკრეტებელია თუ რა ღონისძიებები უნდა ჩატაროს პატრონმა და რა ვადაში. გარდა ამისა დაუშვებელია ცხოველის ჩაბარება ამ მიზნით მუნიციპალურ თავშესაფარში. აღნიშნულ ცხოველებზე უნდა იზრუნოს ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებმა (კერძო არაკომერციულმა თავშესაფარმა ან შემფარებელმა), ხოლო ცხოველის მოვლა-პატრონობა და შენახვა უნდა მოხდეს სახელმწიფო სუბსიდირებით.*

7. შინაური ბინადარი ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომისა და მეპატრონის მიმართვის შემთხვევაში, შინაური ბინადარი ცხოველის გადაყვანას შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში უზრუნველყოფს მეპატრონე ან უფლებამოსილი ორგანო.

### **შენიშვნა N 35**

*(გაეცანით მე-6 მუხლის შენიშვნას)*

***შენიშვნა: ჩაიწეროს შედეგი რედაქციით:***

*შინაური ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომისა და შინაური ცხოველის პატრონის მიმართვის შემთხვევაში, შინაური ცხოველის გადაყვანას შინაურ ცხოველთა თავშესაფარში უზრუნველყოფს შინაური ცხოველის პატრონი ან უფლებამოსილი ორგანო, ამასთან, შინაურ ცხოველთა თავშესაფარში ცხოველის ჩაბარებამდე, პატრონი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია მიმართვიდან ჩაბარებამდე - ერთი თვის განმავლობაში განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები შინაური ცხოველისთვის ახალი პატრონის მოძიების (საჭიროა დეტალიზაცია) მიზნით.*

8. შინაური ბინადარი ცხოველის დაავადების შემთხვევაში, მეპატრონე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ვეტერინარულ დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელებას. იმ შემთხვევაში, თუ შინაურ ბინადარ ცხოველს აღმოაჩნდება სხვა ცხოველისათვის ან/და ადამიანისთვის საშიში დაავადება, ვეტერინარული დაწესებულება ან/და შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს უფლებამოსილ ორგანოს.

### **შენიშვნა N 36**

გაუგებარია! პატრონი ხშირ შემთხვევაში ვერ ერკვევა დაავადებებზე და მის ხარისხზე. ან როგორ და რა ფორმით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია უფლებამოსილ ორგანოს? ამ შემთხვევაში ვეტერინარული დაწესებულება უნდა იყოს ვალდებული, რომ აღნიშნულ ცხოველზე მიაწოდოს ინფორმაცია უფლებამოსილ ორგანოს.

9. შინაური ბინადარი ცხოველის გამოკვლევის, მკურნალობის, ევთანაზიისა და ლემის განკარგვის ხარჯებს ანაზღაურებს შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე. იმ შემთხვევაში, თუ შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე სოციალურად დაუცველია, ევთანაზიის და ლემის განკარგვის ხარჯებს ანაზღაურებს უფლებამოსილი ორგანო.

10. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ეკრძალება კონკრეტულ მისამართზე ან/და ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე (გარდა სამწყემსო დანიშნულებისათვის განკუთვნილი სამეურნეო ტერიტორიისა) ერთდროულად X ზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველის (მალი, კატა) ყოლა, მათ შორის, ძაღლების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს Y (გარდა ამ ცხოველთა ნაშიერისა, რომელთა ასაკი არ აღემატება 6 თვეს), თუ ეს მისამართი ან/და ტერიტორია არ აკმაყოფილებს ამ წესით შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრისთვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს; ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში აკრძალულია Z-ზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველის (მალი, კატა) ყოლა.

### **შენიშვნა N.37**

**კანონპროექტის ტექსტში „Z“ სიმბოლოს ჩასმა მიუღებელია! რუსეთი არის ოკუპანტი! დიდება უკრაინას! დიდება მის გმირებს!**

**კანონპროექტიდან ამოსაღებია მე-5 მუხლის მე-10 პუნქტი ( მუხლი 5. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის ვალდებულებები)**

**ბუნებრივია, რომ პროექტის მიხედვით ამავე დროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დასჯადი ხდება ამ კანონის დამრღვევი.**

**მე-10 პუნქტი მთლიანად ამოსაღებია, შემდეგი გარემოებების გამო:**

აღნიშნული აკრძალვა კატეგორიულად ალოგიკური და მიუღებელია. ეწინააღმდეგება ადამიანისა და ცხოველის უფლებებს და აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ არსებული შეზღუდვა მიზანმიმართულად არის ჩაწერილი უსახლკარო ქუჩის ცხოველების რაოდენობრივი ზრდისკენ და ადამიანისა და ცხოველის მიმართ შესაძლო ნეგატიური ზემოქმედებისკენ.

აღნიშნულ კანონპროექტში ისიც კი არ არის განმარტებული, თუ რაში მდგომარეობს ამ რეგულაციის მიღების აუცილებლობა და რა მიზანს ისახავს. კანონპროექტით შემოთავაზებულია მეტად საეჭვო რეგულაცია, რომელიც მოიტანს არასასურველ შედეგებს, კონკრეტულად კი მოხდება საკუთრებიდან ცხოველების ქუჩაში გაგდება.

წლების განმავლობაში პრაქტიკამ აჩვენა, რომ ცხოველების გარკვეული რაოდენობა ჰყავთ ზუსტად იმ პირებს, ვისაც ებრალებათ ქუჩის უპატრონო (მიუსაფარი) ცხოველები. ისინი იყვანენ ამ ცხოველებს პირად საკუთრებაში და მაქსიმალურად ცდილობენ მათ გადარჩენას. ამავე დროს ზუსტად ასეთი პირების მიერ ხდება საკუთარი რესურსებით და ფინანსებით ამ

ცხოველებზე ზრუნვა და იმ შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა, რომ ცხოველს შეეძლოს უკეთესი გარემო და უპატრონობის გამო არ იყოს დაავადებული, აგრესიული და უმწეო მდგომარეობაში. უმეტეს შემთხვევაში ასეთი პირები საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფენ ცხოველების მკურნალობას, ვაქცინაციას და სტერილიზაციას. ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ასეთი ადამიანების წახალისება, დახმარება და მხარდაჭერა, ამ კანონის თანახმად ამ პირებს ემუქრებათ სადამსჯელო სანქციები და იმის იძულება, რომ აღარ შეასრულონ ეს ჰუმანური მისია. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ის პირები, ვისაც ჰყავს ქუჩიდან აყვანილი ცხოველები, გაცილებით უკეთესად ეპყრობიან, უკეთესად მზრუნველობენ და ასრულებენ ცხოველის მოვლა-პატრონობის ვალდებულებებს, ვიდრე პირები, ვისაც ერთი გიშიანი ცხოველი ჰყავს შეძენილი და ხშირ შემთხვევაში სათანადოდ ამ ერთი ცხოველის მოვლასაც ვერ ახერხებენ, ხშირ შემთხვევაში არიან დაავადებულები, რაც ხშირად ხდება მათი ქუჩაში გაგდების მიზეზი.

ბუნებრივია, რომ ამ ჩანაწერის არსებობის გამო „კანონის დამრღვევი“ პირის მიმართ გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები, ხოლო ამ სანქციების თავიდან არიდების მიზნით შესაძლებელია ბევრი ცხოველი აღმოჩნდეს მიტოვებული ქუჩაში, ან მის პატრონს ემუქრებოდეს ფინანსური საჯარიმო სანქციები. ასეთ შემთხვევაში მოხდება პატრონის ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის გაუარესება და ამის გამო სხვა დანარჩენი ცხოველების ბედიც პრობლემის წინაშე აღმოჩნდება.

მიუხედავად იმისა, რომ დასაშვებად მიიჩნევა Y-ზე და Z-ზე მეტი ცხოველის ყოლა, მაგრამ იკრძალება იმ შემთხვევაში, თუ ეს მისამართი ან/და ტერიტორია არ აკმაყოფილებს ამ წესით ცხოველთა თავშესაფრისთვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს, ეს ჩანაწერი სრულიად აბსურდულია, ვინაიდან კანონში გაწერილია „თავშესაფრის სტანდარტები“, მაგრამ რომელია მაქსიმალური და რომელია მინიმალური, ეს არ არის განზოგადებული. ასევე გაუაზრებელია, თუ რატომ უნდა აკმაყოფილებდეს ამ შემთხვევაში თავშესაფრის სტანდარტებს და რითი ხდება ამის ახსნა. წესში ისედაც არის ჩამოწერილი ცხოველების მოვლა-პატრონობის ვალდებულება და ის უნდა დაიცვას ცხოველის პატრონმა ცხოველთა რაოდენობის გათვალისწინების გარეშე. გასაკვირია თავშესაფრის სტანდარტების მოთხოვნა, იმ პირისათვის, ვისაც ჰყავს ცხოველები და ასრულებს ცხოველის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ყველა წესს.

კანონში ისიც კი არ არის გაცნობიერებული და აღნიშნული, იმ შემთხვევაში თუ ეს აბსოლუტურად მიუღებელი, ადამიანის უფლების დამრღვევი და ცხოველთა კეთილდღეობის საწინააღმდეგო ჩანაწერი დარჩება და შევა ძალაში, ამ შემთხვევაში რა რეგულაციები ეხება იმ პირებს და ცხოველებს, რომლებსაც ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის და შემდგომში ჰყავთ საკუთრებაში ცხოველების ის რაოდენობა, რაც იზღუდება ამ მუხლით.

**მე-10 პუნქტის** ძალაში შესვლის შემთხვევაში მკვეთრად შემცირდება იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ჰუმანური მისიით ფიქრობენ უპატრონო ცხოველების დახმარებას, მათ გადარჩენას და მათთვის პატრონის გამოძებნას. ბუნებრივია, რომ ამ პუნქტის ძალაში შესვლისთანავე გაიზრდება უკმაყოფილება და სახელმწიფო მიიღებს ადამიანების უნდობლობას ამ პროცესთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ჯიშიანი ძაღლებისა და კატების (რომლებიც არიან შეძენილები და რომლებიც არ არიან აყვანილნი თავშესაფრიდან ან ქუჩიდან) გარკვეულ რაოდენობრივ შეზღუდვებს, ესეც დაუშვებელია. ამ შემთხვევაში უნდა იყოს ჯიშიანი ძაღლების პატრონებისთვის რეგულაციები სახელმწიფო გადასახადის კუთხით. სასურველია, რომ კანონში იყოს რეგულაცია, რომლის მიხედვით ჯიშიანი ცხოველის (კატა, ძაღლი) პატრონმა ყოველთვიურად გადაიხადოს მოსაკრებელი (20-50 ლარის ოდენობით), რომელიც მიმართული იქნება საქართველოში ცხოველთა დაცვის პროგრამების განხორციელების ხელშეწყობისთვის. ეს რეგულაცია არ უნდა შეეხოს პირებს, ვისაც კანონის ძალაში შესვლის მომენტამდე ჰყავდათ ჯიშიანი ცხოველი.

თუ ცხოველების რაოდენობრივი შეზღუდვა მიმართულია მეზობლების ინტერესების დაცვისკენ, ეს ალოგიკურია, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია სამეზობლო ურთიერთობები. თუ შეზღუდვით ავტორებს უნდათ, რომ დაიცვან ცხოველის უფლებები და ინტერესები, ესეც ალოგიკურია და დაუსაბუთებელი, ვინაიდან ზემოთ აღნიშნული კანონი ითვალისწინებს ცხოველთა მოვლა-პატრონობის და მასთან ჰუმანური დამოკიდებულების გარანტიებს რაოდენობრივი მაჩვენებლის გარეშე.

ამავე კანონი ადგენს შინაური ცხოველების კეთილდღეობისთვის, მოვლა პატრონობისთვის და სხვა აუცილებელი ქმედებისთვის რეგულაციებს. ბუნებრივია, რომ ეს რეგულაციები დაწესებულია პატრონიანი ცხოველისთვის და ამ პირს 5 ან 10-ზე მეტი ცხოველი ეყოლება თუ სხვა რაოდენობა, არ არის არავითარი გამონაკლისი.

საერთოდ ალოგიკური და აბსურდულია ჩანაწერი „პირს ეკრძალება კონკრეტულ მისამართზე ან/და ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე“ (?). ერთ საკადასტრო კოდზე შეიძლება იყოს რამოდენიმე მესაკუთრე (ოჯახი), ასევე განუსაზღვრელი ფართი, ზოგჯერ კი ჰექტარობით. გაუგებარია ამ ჩანაწერის ლოგიკურობა და ცხოველების რაოდენობრივი მიზმა საკადასტრო კოდთან ან მისამართთან.

**დასკვნა:** ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისად ჩანაწერი პუნქტში ცხოველის რაოდენობის ბლანკეტურ აკრძალვაზე მიუღებელია, დაუსაბუთებელია, ბუნდოვანია, გაურკვეველია, აზრს მოკლებულია. ამავ დროს არაკონსტიტუციურია, რაც გამოიხატება ადამიანის უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვაზე. აღნიშნული აკრძალვის დაკანონების შემთხვევაში მივიღებთ:

- უპატრონო შინაური ცხოველების მკვეთრ მატებას;
- საკუთრებიდან ქუჩაში გამოგდებულ ცხოველებს, შესაბამისად ცხოველის მიმართ სისასტიკის ფაქტების მატებას;
- ცხოველებისადმი არაკეთილსაიმედო გარემოს შექმნას;
- ცხოველთა მოყვარული საზოგადოების უნდობლობას ხელისუფლების მიმართ.
- ადამიანის უფლების დარღვევას
- ცხოველის უფლებების დარღვევას

შესაბამისად ამ კანონპროექტიდან ამოსაღებია მე-5 მუხლის მე-10 პუნქტი (!)

11. ძუ შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი/კატა) სტერილიზაცია დასაშვებია დაბადებიდან 5 თვის შემდეგ, ხოლო ხვადი ცხოველის კასტრაცია დასაშვებია დაბადებიდან

1 წლის შემდეგ. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი/კატა) სტერილიზაცია/კასტრაცია 7 წლის ასაკიდან.

12. ნარევი (მეტისი) შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი/კატა) მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველის გამრავლების უნარის შეწყვეტა შინაური ბინადარი ცხოველის რეგისტრაციის (მათ შორის, ახალი მეპატრონის რეგისტრაციის) ვალდებულების წარმოშობიდან 2 თვის ვადაში, მაგრამ არაუადრეს ამავე მუხლის მე-11 პუნქტით ძუ და ხვადი შინაური ბინადარი ცხოველის კასტრაცია/სტერილიზაციისთვის დადგენილი ასაკისა.

### **მნიშვნელოვანი შენიშვნა N 38**

კანონპროექტში საერთოდ არ სწერია და მინიშნებაც არ არის, თუ რა შემთხვევაში ხდება და რა წესით ცხოველის ჩამორთმევა ან კონფისკაცია,

აღნიშნული კანონი აუცილებელია. ასევე უნდა განიმარტოს ჩამორთმევასთან დაკავშირებით:

- რა შემთხვევაში ხდება პატრონისთვის/ მფლობელისთვის ცხოველის ჩამორთმევა
- ცხოველის ჩამორთმევის წესი
- ვინ არის უფლებამოსილი ორგანო
- სად უნდა იყოს გადაყვანილი ცხოველი და ვინ უნდა მოახდინოს მისი შენახვა და სხვა.

აღნიშნული კანონი აუცილებელია და ამ საკითხში აუცილებელია ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის წამყვანი როლის მინიჭება.

### **მუხლი 6. შინაური ბინადარი ცხოველის მიმკედლებლის ვალდებულებები**

1. შინაური ბინადარი ცხოველის მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) მეთვალყურეობა გაუწიოს შინაური ბინადარი ცხოველის მდგომარეობას, მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება, თუ მიკედლებულ შინაურ ბინადარ ცხოველს გამოუვლინდება სხვა ცხოველისათვის ან/და ადამიანისათვის საშიში დაავადება ან ასეთი დაავადების საეჭვო ნიშნები;

ბ) უზრუნველყოს მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველისათვის ცოფის საწინააღმდეგო და კომპლექსური ვაქცინაცია;

გ) უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველის პირველადი და ყოველწლიური საკონტროლო რეგისტრაცია;

დ) ერთ კვირაზე მეტი ვადით შინაური ბინადარი ცხოველის გაუჩინარების ან ცხოველის სიკვდილის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება;

ე) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ინფორმაცია მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველის მდგომარეობაზე;

ვ) მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველის მეთვალყურეობაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება და კონკრეტულ შინაურ ბინადარ ცხოველზე მიმკედლებლის სტატუსის მოხსნამდე განაგრძოს მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველის მეთვალყურეობა;

2. შესაძლებელია შინაურ ბინადარ ცხოველს ჰყავდეს ერთზე მეტი მიმკედლებელი.

3. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის მიკედლება სკოლის, საბავშვო ბაღის, საბავშვო და სპორტული მოედნების, ხოლო, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის(თბილისური ეზო) შემთხვევაში მიკედლება დასაშვებია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა თანხმობის შემთხვევაში.

### **შენიშვნა N 39**

*პუნქტი 3 - ძალიან შემზღვევია. ცხოველის მოვლა საბავშვო ბაღის, სკოლის ტერიტორიაზე დადებით გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე, თუკი ამისათვის შექმნილია სათანადო პირობები. ასევე უპატრონო/უმეთვალყურეო ცხოველი შეიძლება იმყოფებოდეს თბილისური ეზოს პირობებში და ბინათმესაკუთრეთა წინააღმდეგობა ხშირად უსაფუძვლო და გადალახვადია. ეს კანონი არ უნდა აყენებდეს ქუჩაში მრავლად მყოფ ცხოველებსა და მათ მიმკედლებლებს, ასევე ცხოველთა დამცველებს მძიმე მდგომარეობაში, როდესაც ნებისმიერ ბინათმესაკუთრეს შეუძლია, პრეტენზია განაცხადოს. თუკი ცხოველი აცრილია, უზრუნველყოფილია მისი მეთვალყურეობა და მიკედლება, აუცილებელია, რომ ცხოველსა და მიმკედლებელს შეეძლოთ ეზოს, სხვა საზოგადოებრივი ტერიტორიის გამოყენება.*

4. მიმკედლებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების 2-ჯერ დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მიკედლების გაუქმების შესახებ და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები. მიკედლების გაუქმების შემთხვევაში, მიმკედლებელს 1 წლის ვადით ეზღუდება ახალი შინაური ბინადარი ცხოველის მიკედლება.

### **შენიშვნა N 40**

*სრულიად გაუგებარი პროცედურაა. უნდა არსებობდეს გაფრთხილების ვალდებულება 2-ჯერ დარღვევის შემთხვევაში, ასევე დადგინდეს, ხომ არ არის დარღვევა ობიექტური პირობებით ან ჯანმრთელობის დროებითი გაუარესებით გამოწვეული და სხვ. ნებისმიერ შემთხვევაში ჯერ უნდა მოხდეს გაფრთხილება, შემდეგ დაკვირვება, ხოლო გაუქმება უნდა ხდებოდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს ამისი, როგორც ადმინისტრაციული აქტის, გასაჩივრება.*

5. მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველის დაჭერის შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმკედლებელს და მიაწოდოს მას სრული ინფორმაცია განხორციელებული ან/და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

#### **შენიშვნა N 41**

დაჭერა უნდა იყოს დაუშვებელი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (მაგალითად, უბედური შემთხვევის გამო დაზიანება, ტრავმა და სხვა მსგავსი).

#### **შენიშვნა N 42**

**მე-6 მუხლში „შინაური ბინადარი ცხოველის მიმკედლებლის ვალდებულებები“ შევიდეს ცვლილებები:**

შეიცვალოს სათაური: „შინაური ცხოველის (ძაღლი, კატა) მიმკედლებლის და უფლებამოსილი ორგანოს უფება-მოვალეობები“ - დაემატოს:

**1. შინაური ცხოველის მიმკედლებელი უფლებამოსილია:**

- 1) უფლებამოსილი ორგანოსგან მოითხოვოს მისთვის შერჩეული ცხოველის (კატა, ძაღლი) მიკედლების დოკუმენტაცია;
- 2) მიკედლებული ცხოველისთვის საჭირო ვეტერინარული ან/და ტრანსპორტირების მომსახურება მიიღოს უსასყიდლოდ უფლებამოსილი ორგანოსგან.
- 3) მოითხოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიკედლებული შინაური ცხოველის მიკედლების ადგილის განსაზღვრა;
- 4) უფლებამოსილი ორგანოსგან დაუბრკოლებლად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია მიკედლებული შინაური ცხოველის შესახებ;
- 5) სურვილის შემთხვევაში, მოახდინოს მიკედლებული შინაური ცხოველის ჩუქება ან გაჩუქება, რის თაობაზეც კანონით განსაზღვრულ ვადაში უნდა აცნობოს უფლებამოსილ ორგანოს.

**2. უფლებამოსილი ორგანოს ვალდებულება მიმკედლებელთან და მიკედლებულ ცხოველთან მიმართებაში**

- 1) უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მიმკედლებელს მასზე რეგისტრირებულ მიკედლებულ შინაურ ცხოველთან დაკავშირებით გამოძახების, დაზიანების, სისასტიკის, დაღუპვის ან/და სხვა ტიპის ნებისმიერი შემთხვევისა და ინფორმაციის შესახებ, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი.

- 2) მიკედლებული ცხოველის თავშესაფარში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმკედლებელს და მიაწოდოს ინფორმაცია თავშესაფარში ცხოველის გადაყვანის მიზეზის შესახებ.
- 3) მიკედლებულ ცხოველზე აგრესიულობის, დაკბენის ან ნებისმიერი სახის ჩივილის შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს ამ ჩივილის ობიექტური საფუძველი, ასევე ის, რომ ცხოველის აგრესია, დაკბენა ან სხვა ქცევა არ იყო განპირობებული ადამიანის მხრიდან ცემით, გაღიზიანებით და სხვა მსგავსი ქმედებით. ასეთი ჩივილის შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მიმკედლებს და აცნობოს ყველა გარემოება.
- 4) უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მიკედლებულ ცხოველს ჩაუტაროს ყოველწლიურად ანტირაბიული ვაქცინაცია და ამის შესახებ მიმკედლებელს გადასცეს ოფიციალური საბუთი.
- 5) უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მიკედლებულ ცხოველს იდენტიფიცირების მიზნით დაუყენოს მიკროჩიპი და ყურსამაგრი (ან ყურსამაგრის დაყენების შეუძლებლობის შემთხვევაში, საყელური შესაბამისი საინფორმაციო ქეტონით).

### **3. მიკედლებულ ცხოველთა მიმართ აკრძალვები:**

- 1) უფლებამოსილი ორგანოს ეკრძალება მიკედლებული შინაური ცხოველის მიკედლების ტერიტორიიდან მოცილება და სხვა ტერიტორიაზე გაშვება მიმკედლებელთან წინასწარი შეთანხმებისა გარეშე.
- 2) დაუშვებელია უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან მიკედლებული შინაური ცხოველის ევთანაზია მიმკედლებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

### **მუხლი 7 . შინაურ ბინადარ ცხოველთა ვეტერინარული მომსახურება**

1. ვეტერინარული მომსახურების განმახორციელებელი ფიზიკური/იურიდიული პირი ვალდებულია ამ კანონით დადგენილი წესით გაიაროს ავტორიზაცია შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოში.

#### **შენიშვნა N 43**

კითხვა: რატომ უნდა გაიაროს ავტორიზაცია ვეტერინარული მომსახურების განმახორციელებელმა პირმა შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოში? და რომელი კანონით დადგენილი წესით (მისათითებელია მუხლი)?

2. შინაურ ბინადარ ცხოველებს ქირურგიული ოპერაციები, სამედიცინო მომსახურება ან სხვა სახის ვეტერინარული პროცედურები (მათ შორის ევთანაზია) უტარდებათ მხოლოდ ვეტერინარის მიერ და საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ გაუტკივარებით. აკრძალულია მტკივნეული პროცედურების ჩატარება მიორელაქსანტით.

#### **შენიშვნა N 44**

კითხვა: რა არის მიორელაქსანტი? სად არის ამის განმარტება? პრეპარატია? სხვა პრეპარატებით შეიძლება? რომელი პრეპარატებით?

ეს არის ამოსაღები. თუ არ ვიღებთ, მაშინ უნდა ჩაიწეროს დეტალურად ყველა ვეტერინარული პროცედურის დასახელება და ყველა პრეპარატი, რაც აბსურდია.

აღნიშნული საკითხი შედის სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციაში.

3. აკრძალულია არასამკურნალო მიზნით ან ფუნქციური დანიშნულების გარეშე შინაური ბინადარი ცხოველებისათვის ქირურგიული ოპერაციების ჩატარება, კერძოდ:

- ა) ყურების კუპირება;
- ბ) ყბის ძვლის კუპირება;
- გ) კუდის კუპირება;
- დ) ეშვების დამახიჯება ან მოცილება;
- ე) კლანჭების ოპერაციული ამოკვეთა;
- ვ) სმენის დაქვეითება;
- ზ) ხმის იოგების გადაჭრა.

#### **შენიშვნა N 45**

გაუგებარია: „ფუნქციური დანიშნულების გარეშე“. როგორ შეიძლება რაიმე ფუნქციური დანიშნულება იყოს ყბის ძვლის კუპირებაზე ან ეშვების დამახიჯებაზე? აღნიშნული საჭიროებს დეტალიზაციას და დასაბუთებას. ამოსაღებია „ფუნქციური დანიშნულების გარეშე“.

4. შინაური ბინადარი ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან ადამიანის დაკბენის/დაკაწვრის/დადორბვლის შემთხვევაში, შესაბამისი ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე სურსათის ეროვნულ სააგენტოს ან/და უფლებამოსილ ორგანოს.

#### **შენიშვნა N 46**

ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:

შინაური, ასევე გარეული ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან ადამიანის დაკბენის/დაკაწვრის/დადორბვლის შემთხვევაში, თუ ეს ფაქტი დადასტურებულია და არსებობს შესაბამისი მტკიცებულება, შესაბამისი ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

5. ვეტერინარულ დაწესებულებაში შინაური ბინადარი ცხოველის მკურნალობის და ვაქცინაციის შესახებ არსებული ინფორმაცია შეიტანება მონაცემთა ერთიან ბაზაში.

**შენიშვნა N 47**

*რა არის მონაცემთა ერთიანი ბაზა? ელექტრონული ვერსიაა? ვინ აწარმოებს და ვის ეკუთვნის ეს მონაცემთა ერთიანი ბაზა? არსებობს ეს ბაზა, თუ მომავალში უნდა შეიქმნას? რატომ არ არის განმარტებებში „მონაცემთა ერთიანი ბაზა“?*

6. ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია საშიში (ზოონოზური და სხვა) დაავადების ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ ორგანოს.

**შენიშვნა N 48**

*რატომ უნდა აცნობის ამის შესახებ ვეტერინარმა უფლებამოსილ ორგანოს?*

*ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

*ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია საშიში (ზოონოზური და სხვა) დაავადების ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს.*

*ხოლო აღნიშნული ჩანაწერი უნდა იყოს სხვა კანონში (საქართველოს კანონი ვეტერინარიის შესახებ. იხ. მუხლი 19).*

*თუ არ აცნობა, რა ხდება?*

**ზოგადი შენიშვნა N 49**

*ამ მუხლის დაწერა და შემუშავება უნდა მოხდეს ვეტერინარებთან კონსულტაციით და სურსათის ეროვნული სააგენტოს ჩართულობით!*

**მუხლი 8. კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება**

1. კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება ვალდებულია ამ კანონით დადგენილი წესით გაიაროს ავტორიზაცია შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში.

**შენიშვნა N 50**

*რატომ უნდა გაიაროს კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებამ ავტორიზაცია და რომელი (ამ კანონით დადგენილი წესით) წესით შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში ?*

2. კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე, გასცემს ცხოველის ჯიშის და გამრავლებაზე ვარგისიანობის ცნობას.

**შენიშვნა N 51**

*პუნქტი მიუღებელია შემდეგი მოსაზრების გამო:*

ვინ არის დაინტერესებული პირი? რომელი სახეობის ცხოველზე გაცემს და ვისია ეს ცხოველი? „გამრავლებაზე ვარგისიანობა“ (?) საერთოდ ამოსაღებია. რას ნიშნავს „გამრავლებაზე ვარგისიანობა“? უნდა იყოს სანაშენე კლასის სერთიფიკატი კონკრეტულ ძაღლზე ან კატაზე, თუ ცხოველი გიშიანია და აქვს ასევე წარმოშობის სერთიფიკატი. ასევე აუცილებელია სერთიფიკატის გამცემი დაწესებულება ხელმძღვანელობდეს საერთაშორისო წესებით.

3. კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) დაცული უნდა იყოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები;

#### **შენიშვნა N 52**

სად უნდა იყოს დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები: ოფისში? სველ წერტილებში თუ სად?

ბ) გამოყოფილი უნდა იყოს შესაბამისი საწვრთნელი სივრცე.

#### **შენიშვნა N 53**

რატომ ავალდებულებთ კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებას, რომ გამოიყოს საწვრთნელი სივრცე? რა წვრთნებზეა საუბარი?

მაგალითად კატა იწვრთნება? სად ნახა ამ მუხლის დამწერმა გაწვრთნილი კატა?

ასევე განმარტებისთვის:

კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება არის ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის პრეროგატივაა, ექნება თუ არა ცხოველების საწვრთნელი სივრცე. ამას ვერავინ ვერ დაავალდებულებს!

#### **ზოგადი შენიშვნა N 54**

კინოლოგიურ-ფენოლოგიურ დაწესებულებებთან დაკავშირებით უნდა ჩამოყალიბდეს მეტი დეტალი, დაზუსტდეს მათი სტატუსი, მოთხოვნები შესაბამისი სტანდარტების მიხედვით. ასევე ისინი უნდა ჩაერთონ ამ კანონის შემუშავებაში.

### **თავი III**

#### **შინაურ ბინადარ ცხოველთა გამრავლება და მათი რეალიზაცია**

#### **მუხლი 9. შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლება**

1. შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლება უნდა იყოს მიზნობრივი, გეგმაზომიერი და წინასწარ განსაზღვრული.

**შენიშვნა N 55**

*აუცილებელია განმარტება, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ცხოველების გამრავლება. ჩანაწერი კანონპროექტში გაურკვეველია და არ არის განმარტებული, თუ რა იგულისხმება გეგმაზომიერ და მიზნობრივ გამრავლებაში.*

2. ნებისმიერი პირი, რომელიც ამრავლებს შინაურ ბინადარ ცხოველს, პასუხისმგებელია მის სიცოცხლესა და ჯამრთელობაზე.

**შენიშვნა N 56**

*ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

*პირი, რომელიც ამრავლებს შინაურ ცხოველს, პასუხისმგებელია ამ ცხოველის და ნაყარის სიცოცხლესა და ჯამრთელობაზე.*

3. შინაური ბინადარი ცხოველის პოპულაციის კონტროლის მიზნით, აკრძალულია:

- ა) ნარევი (მეტისი) შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) გამრავლება, გარდა სელექციური მიზნისა;
- ბ) არარეგისტრირებული ძაღლისა და კატის გამრავლება;
- გ) გენეტიკური დაავადებების მქონე შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლება;
- დ) 18 თვემდე და 6 წლის ზემოთ ასაკის ძაღლების გამრავლება;
- ე) გარეული ცხოველების შეჯვარება შინაურ ბინადარ ცხოველებთან.

**შენიშვნა N 57**

*დაემატოს:*

- *ერთი სახეობის, მაგრამ სხვადასხვა ჯიშის ცხოველების შეჯვარება;*
- *ჭარბი აგრესიის და ფსიქიკის ძაღლის/კატის გამრავლება;*
- *იმ ჯიშის ცხოველების (ძაღლების) შეჯვარება და გამრავლება, რომლებსაც არ აქვთ კინოლოგიური დაწესებულების მიერ მინიჭებული სანაშენე კლასი და სერთიფიკატი (ამოქმედდეს კანონის ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ)*

**შესაბამისად მუხლს უნდა დაემატოს:**

- *ძაღლების და კატების გამრავლების ნებართვა უნდა გაიცეს მხოლოდ იმ ცხოველებისთვის, ვისზეც კინოლოგიურ/ფელინოლოგიურ ორგანიზაციას გაცემული*

*აქვს შესაბამისი სერტიფიკატი მენაშენე ძაღლის/კატის შესახებ. გამონაკლისს წარმოადგენს სამოსამსახურეო/მწყემსი ძაღლები.*

4. ძუ ძაღლების გამრავლება დასაშვებია წელიწადში ერთხელ.

5. დაუშვებელია 8 კვირამდე ლეკვის დედისგან მოშორება.

### **შენიშვნა N 58**

*ცხოველთა გამრავლება, გარდა საშენებისა, უნდა იყოს აკრძალული. არავითარი ნებართვა არ არის საჭირო. ჯიშიანი ცხოველების გამრავლებას სჭირდება სპეციალური ინფრასტრუქტურა, ჯიშის სიწმინდის შენარჩუნება, სანაშენედ ცხოველების შერჩევა და მათი სპეციალური მოვლა-პატრონობა. ასევე აუცილებელია ლეკვებისა და კნუტების მოვლის შესაბამისი პირობები. ამას ვერც ერთი კერძო პირი ვერ უზრუნველყოფს. სავალდებულო უნდა იყოს კერძო საკუთრებაში არსებული ცხოველების კასტრაცია/სტერილიზაცია. რაც შეეხება შერეული ჯიშის ცხოველებს, მათი გამრავლება არ შეიძლება და ამწვავებს ქვეყანაში უმეტესადაც ურეოდ დარჩენილი კომპანიონი ცხოველების პრობლემას.*

### **მუხლი 10. შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) გამრავლების ნებართვა**

1. პირი, რომელიც დაინტერესებულია შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) გამრავლებით, ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული გამრავლების ნებართვის საფუძველზე.

### **შენიშვნა N 59**

*გამრავლების ნებართვა არ შეიძლება გაცემული იყოს მუნიციპალიტეტის მიერ. ეს არის ყოვლად მიუღებელი.*

2. ჯიშიანი შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) გამრავლება დასაშვებია უფლებამოსილი ორგანოს მიერ თითოეულ ცხოველზე გაცემული ერთწლიანი ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც დაინტერესებული პირი (საშენი/ცხოველის მეპატრონე) განცხადებით მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს და წარუდგენს მას ცნობას ცხოველის ჯანმრთელობის შესახებ ვეტერინარული დაწესებულებიდან და ცნობას ცხოველის ჯიშისა და გამრავლებაზე ვარგისიანობის შესახებ კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებიდან.

3. თუ გამრავლების ნებართვას ითხოვს საშენი, უფლებამოსილი ორგანო შესაბამისი განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში ახორციელებს საშენის ადგილზე ინსპექტირებას.

3<sup>1</sup> საშენის ინსპექტირების დასრულებიდან 10 დღის ვადაში, ინსპექტირების შედეგების მიხედვით, უფლებამოსილი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემაზე ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

4. მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლის გამრავლების შემთხვევაში დაინტერესებული პირი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცნობების გარდა უფლებამოსილ ორგანოს წარუდინოს ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

5. შინაური ბინადარი ცხოველის გამრავლების ნებართვაზე დაინტერესებული პირი იხდის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოსაკრებელს.

### **მუხლის 11. საშენი**

1. საშენი ვალდებულია ამ კანონით დადგენილი წესით გაიაროს ავტორიზაცია შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში.

2. საშენი ვალდებულია:

ა) დაიცვას შინაური ბინადარი ცხოველის გამრავლებასთან დაკავშირებული შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლებისთვის გათვალისწინებული მოთხოვნები;

#### **შენიშვნა N 60**

*ვინ დაადგინა ეს მოთხოვნები? უნდა განიმარტოს, სადაა ეს მოთხოვნები და როგორ ხდება საერთოდ საშენის სერთიფიცირება და რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. ზოგადად საშენის ნორმატივები ცალკე რომ იყოს, ხოლო მის შემუშავებაში ჩაერთონ შესაბამისი დარგის სპეციალისტები, უმჯობესი იქნება.*

ბ) ნაყარი დაბადებიდან X თვის ვადაში განახორციელოს ნაყარის დაარეგისტრირება საშენის სახელზე;

#### **შენიშვნა N 61**

*კანონპროექტის ავტორმა არ იცის, რამდენ თვეში უნდა დაარეგისტრირდეს ნაყარი? საერთოდ რას ემსახურება ეს X და Y კანონპროექტში?*

გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ინფორმაცია შინაური ბინადარი ცხოველის გამრავლების შესახებ;

დ) მონიტორინგის განხორციელების მიზნით, უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლები შეუფერხებლად დაუშვას საშენის ტერიტორიაზე.

3. საშენი პასუხისმგებელია შინაური ბინადარი ცხოველის კეთილდღეობაზე.

#### **შენიშვნა N 62**

*რას ნიშნავს კეთილდღეობა? რა ხდება, თუ დაირღვა ეს პირობა? სად არის გაწერილი, რას ნიშნავს ცხოველის ზედმეტი ექსპლოატაცია სანაშენედ? ვინ ამოწმებს საშენს პერიოდულად?*

4. საშენი, რომელშიც ხდება 10-ზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველის გაჩერება დროებით ან მუდმივად, ამ კანონის 24-ე მუხლით შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრისათვის დადგენილი მოთხოვნების გარდა, დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

### **შენიშვნა N 63**

*რა შუაშია თავშესაფარი და ისევ ცხოველების არითმეტიკული რაოდენობა? ნორმატივები უნდა დადგინდეს შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით.*

ა) ლეკვებისათვის გამოყოფილი უნდა იყოს ცალკე იზოლირებული სივრცე, ხოლო 5 თვის ასაკიდან ლეკვებისთვის და ძაღლებისთვის, ასევე, გასასეირნებელი სივრცე;

### **შენიშვნა N 64**

*5 თვემდე არ ხდება ლეკვების გასეირნება? (!)*

ბ) საშენის დატოვებამდე შინაურ ბინადარ ცხოველს უნდა გაუკეთდეს ორი კომპლექსური აცრა.

### **შენიშვნა N 65**

*ცოფის აცრა არ უნდა გაუკეთდეს? საერთოდ, სანაშენესთან დაკავშირებული რეგულაციები გასავლელია კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებებსა და ვეტერინარებთან.*

### **მუხლი 12. შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლი, კატა) რეალიზაცია**

1. შინაური ბინადარი ცხოველის რეალიზატორი ვალდებულია ამ კანონით დადგენილი წესით გაიაროს ავტორიზაცია შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში.

2. შინაური ბინადარი ცხოველის რეალიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) შინაური ბინადარი ცხოველის სათანადო კვება-დაწყურვება;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველების შემოყვანისა და გაყიდვის აღრიცხვა;

გ) შინაური ბინადარი ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა;

დ) რეგულარული გასეირნება;

ე) ვეტერინარული ზედამხედველობა;

ვ) ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაცია.

3. დამატებითი მოთხოვნები შინაურ ბინადარ ცხოველთა რეალიზატორისადმი:

ა) უზრუნველყოს სარეალიზაციო ობიექტის ტერიტორიაზე ცხოველებისათვის და ადამიანებისათვის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, რეგულარულად მოახდინოს ტერიტორიის დასუფთავება და დეზინფექცია;

ბ) სარეალიზაციო ობიექტის ტერიტორიაზე არ დაუშვას არარეგისტრირებული შინაური ბინადარი ცხოველი (ძაღლი, კატა).

გ) სარეალიზაციო ობიექტის ტერიტორიაზე არ დაუშვას არავაქცინირებული ან/და საშიში (ზოონოზური და სხვა) დაავადების მქონე შინაური ბინადარი ცხოველი;

4. დაუშვებელია რეალიზატორმა მოახდინოს არარეგისტრირებული ან/და არავაქცინირებული შინაური ბინადარი ცხოველის რეალიზაცია, ასევე 8 კვირამდე ასაკის ლეკვის დედისგან დაშორება რეალიზაციის მიზნით.

5. შინაური ბინადარი ცხოველების რეალიზატორი ვალდებულია შეუფერხებლად დაუშვას სარეალიზაციო ობიექტის ტერიტორიაზე უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლები და ხელი არ შეუშალოს მონიტორინგის განხორციელებას. მოთხოვნის შემთხვევაში კი წარუდგინოს ცხოველებთან (მალი, კატა) და მათ რეალიზაციასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

#### **ზოგადი შენიშვნები N 66: მუხლი N 9, 10, 11, 12**

მუხლში უნდა ჩაიწეროს, თუ რომელი ჯიშის ძაღლების ან კატების (ან ცხენის, ან მოშინაურებული კაჭკაჭის და ა.შ) გამრავლება/მომწევაზე შეიძლება დაწესდეს შეზღუდვები და ვის აქვს ამის უფლება. ასევე აუცილებელია ჩაიწეროს, რომ ნებისმიერი ლეკვის ან კნუტის (ნაგულისხმევია ჯიშის ცხოველები) გასხვისება უნდა მოხდეს არანაკლებ 5 თვის ასაკის შემდეგ უნდა აიკრძალოს და იყოს ადმინისტრაციული სანქციები ჯიშის ლეკვისა და კნუტის 5 თვის ასაკამდე გასხვისების შემთხვევაში. ასეთი დარღვევის შემთხვევაში პირს (პატრონს) უნდა აეკრძალოს შემდგომში ცხოველის გამრავლება და ნაშიერის რეალიზაცია/გაჩუქება. მომწეებელი ვალდებულია გასასხვისებელ ცხოველს ჩაუტაროს პირველადი ყველა საჭირო ვაქცინაცია და მისი რეალიზაცია/გასხვისება მოახდინოს პროცედურების დაცვის შემდეგ, რაც დოკუმენტურად უნდა იქნეს დადასტურებული. ასევე მომწეებელი ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველის შთამომავლობისათვის შესაბამისი დოკუმენტაცია, მარკირება და კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო რეგისტრაცია. მხოლოდ ამ საკითხების კანონიერი კუთხით დარეგულირების შემთხვევაში მიღწევადია არაგეგმაზომიერი და არამიზნობრივი გამრავლება და შესაბამისად პოპულაციების კონტროლი ამ კუთხით, რაც შეუწყობს ხელს ბევრი პრობლემის მოგვარებას.

**ნებისმიერ განვითარებულ და ცივილიზირებულ ქვეყანაში ჯიშის ლეკვებისა და კნუტების გასხვისება 6 თვემდე დაუშვებელია და ისჯება კანონით(!).**

კანონპროექტში ამ რეგულაციის არსებობის შემთხვევაში გაცილებით ნაკლებ ადამიანს გაუჩნდება სურვილი ძაღლის შეჯვარების და ცხოველების არამიზნობრივად გამრავლების. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში გასაყიდი ლეკვებისა და კნუტების ფასი შესაბამისად რეალური და მაღალი იქნება, რაც თავისთავად უკვე დადებითად იმოქმედებს ნამდვილი პოტენციური მომავალი პატრონის პასუხისმგებლობაზე. თუ დღესდღეობით მოდაში შემოსული ჰასკის ერთი თვის ლეკვის საორიენტაციო საშუალო ფასი 200 ლარია, ასეთი რეგულაციის შემთხვევაში 5-6 თვის იგივე ჯიშის ლეკვის ფასი არანაკლებ 1500 ლარის იქნება. შესაბამისად ამ ლეკვს გამოუჩნდება ისეთი პატრონი, რომელიც მოუვლის და აღარ გააგდება ქუჩაში. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში ბევრს აღარ ექნება სურვილი, რომ აიღოს შესაბამისი პასუხისმგებლობა და გადაიხადოს შესაბამისი თანხა.

**ეს დადებითი მოვლენა იქნება, ვინაიდან:**

- პირს, ვისაც სურს აიყვანოს ცხოველი სამეგობროდ და არ გააჩნია საწყისი თანხა ჯიშის ცხოველის შეძენისთვის, მას აქვს შესაძლებლობა, რომ

თავშესაფრიდან აიყვანოს ცხოველი თანხის გადახდის გარეშე. ამ შემთხვევაში გაიზრდება უპატრონო ცხოველების თავშესაფრიდან აყვანის მსურველთა რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს პოპულაციის რეგულირებისთვის;

- ცხოველს გაამრავლებს მხოლოდ ის პირი, ვისაც აქვს ტექნიკური და მატერიალური შესაძლებლობა (და არა ყველა, როგორც დღეს ხდება);
- გაამრავლებს დაექვემდებარება მხოლოდ მაღალი კლასის ჯიშის ცხოველები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან და გააჩნიათ შესაბამისი სერთიფიკატი - სანაშენე კლასი;
- აღარ მოხდება თაღლითობა იმ თვალსაზრისით, როდესაც ერთი თვის მეტისეხს ჰყიდიან ჯიშის ცხოველებად, რის გამოც შემდგომში ისინი ქუჩაში იყრებიან.

ასეთი კანონის არსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ცხოველთა კეთილდღეობა! ბუნებრივია, რომ ქუჩაში ბევრად ნაკლებ ჯიშის ცხოველებს ვიხილავთ, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე მტკივნეულ და პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. მთლიანად გადასახედა. არ შეიძლება კერძო საკუთრებაში არსებული ცხოველების გამრავლება, თუ ეს არ არის საშენი.

საშენის სტანდარტები, ინსპექტირების წესები და სხვა მნიშვნელოვანი პირობები საჭიროებს დეტალურ ჩამოყალიბებას და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას.

აუცილებელია ცხოველების სელექციის, საშენის ნორმების, და რეალიზაციის (გასხვისების) საკითხები ჩამოყალიბდეს სელექციონერების, კინოლოგების, ვეტერინარების კონსულტაციიზე დაყრდნობით და მათი ჩართულობით. ეს პუნქტები მოითხოვს ცვლილებებს, დეტალიზაციას და პროფესიონალურ მიდგომას!

## თავი IV

### შინაური ბინადარი ცხოველების დაცვა სასტიკი მოპყრობისგან

#### მუხლი 13. შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვა არასათანადო და სასტიკი მოპყრობისაგან

1. დაუშვებელია შინაურ ბინადარ ცხოველთა მიმართ არასათანადო ან სასტიკი მოპყრობა, ან წამება, ასევე მსგავსი ქმედებების ნებისმიერი ხელშეწყობა.
2. შინაურ ბინადარ ცხოველთა მიმართ არასათანადო ან სასტიკ მოპყრობად, ან წამებად ითვლება:

#### შენიშვნა N 67

*წამება არის სასტიკი მოპყრობის ერთერთი ფორმა.*

ა) შინაური ბინადარი ცხოველის ცემა;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის იძულება გასცდეს ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს, რაც იწვევს შინაური ბინადარი ცხოველის ტანჯვას;

### **შენიშვნა N 68**

*ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

**ბ) შინაური ცხოველისადმი ისეთი ქმედება, რომლის შედეგადაც შინაურ ცხოველს აიძულებენ გასცდნენ ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს და რომელიც გამოიწვევს შინაური ცხოველის მენტალურ ტანჯვას, ფიზიკურ ტრავმას, დასახიჩრებას ან სიცოცხლის შეწყვეტას;**

გ) შინაურ ბინადარ ცხოველთა გაგდება ან მიტოვება;

დ) შინაური ბინადარი ცხოველის აგრესიისკენ მოწოდება და წახალისება თავისივე, სხვა ცხოველის ან/და ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საწინააღმდეგოდ, გარდა სამსახურეობრივი წვრთნის შემთხვევებისა;

ე) არასამკურნალო მიზნით ან ფუნქციური დანიშნულების გარეშე ვეტერინარული პროცედურების ჩატარება, რომელთა მიზანია შინაური ბინადარი ცხოველის გარეგნობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციების შეცვლა (ყურების, ყბის ძვლის, კუდის კუპირება, ეშვების დამახინჯება ან მოცილება, სმენის დაქვეითება და სხვა), ასევე, შინაური ბინადარი ცხოველის სხეულის ნაწილის, რბილი ქსოვილების ან/და ძვლების, სტრუქტურის შეცვლა. გამონაკლისს წარმოადგენს შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) სტერილიზაცია/კასტრაცია ამ კანონით დადგენილი წესით ან/და შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ვეტერინარის გადაწყვეტილებით განხორციელებული ვეტერინარული პროცედურები;

### **შენიშვნა N 69**

*ფუნქციური დანიშნულება ამოსაღებია. არ აქვს ყბის ძვლის კუპირებას ფუნქციური დანიშნულება.*

ვ) შინაურ ბინადარ ცხოველთან დაკავშირებული უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა;

### **შენიშვნა N 70**

*„ვ“ პუნქტი გაუგებარია!*

ზ) შინაური ბინადარი ცხოველისათვის ჭრილობის მიყენება, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ან რომელმაც გამოიწვია სხეულის რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხანგრძლივი მოშლა ან დაკარგვა;

### **შენიშვნა N 71**

*თუ არ გამოიწვია, შეიძლება და არ ჩაითვლება წამებად?*

თ) ზოოფილური აქტები შინაურ ბინადარ ცხოველებთან;

ი) შინაური ბინადარი ცხოველის გამოყენება სხვადასხვა სამეცნიერო ექსპერიმენტებისთვის და ლაბორატორიული ცდების ჩატარება მათზე, გარდა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონით“ გათვალისწინებული შემთხვევებისა;

კ) სხვა ქმედებები, რომლებიც იწვევს შინაური ბინადარი ცხოველის ტანჯვას.

### **ზოგადი შენიშვნა N 72**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლი - ცხოველებისადმი სისასტიკე მკვდარი მუხლია და მისი გამოყენება არ დაფიქსირებულა ერთეული შემთხვევების გარდა, არც არსებული კანონის მთელი სიმკაცრით არავინ დასჯილა.

*ამ ეტაპზე ცხოველის წამება ან მისდამი სასტიკი მოპყრობა მიეკუთვნება შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას, ხოლო ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლების მხრიდან ჯარიმის გამოწერის ფორმად არის აღიარებული.*

*ხშირ შემთხვევაში ცხოველისადმი სასტიკი და არასათანადო მოპყრობის ქვედა ან ზედა ზღვარი გაუგებარია და ასევე გაუგებარია თუ რომელი უწყების მიერ უნდა მოხდეს რეაგირება.*

მუხლი 259. ცხოველის წამება ან მისდამი სასტიკი მოპყრობა

1. ცხოველის წამება ან მისდამი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, – ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ორას ორმოც საათამდე, შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე, ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) მცირეწლოვნის თანდასწრებით, –

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე, შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

*ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.*

### **მუხლი 104. ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა**

*ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა, რამაც მისი ტანჯვა, სხეულის დაზიანება, მისთვის ტკივილის მიყენება გამოიწვია, როგორც ერთჯერადად, ისე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში –*

*გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით.*

### **მუხლი 239. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი**

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ შედგება ოქმი, საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოს წარმომადგენლის მიერ, ოქმი არ დგება ამ კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. (ამოღებულია - 29.09.2020, №7185).

2<sup>1</sup>. ამ კოდექსის 42<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. ამ კოდექსის 57<sup>2</sup> მუხლით, 60<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 61-ე, 95-ე, 128<sup>1</sup> და 173<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები.

4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე-51<sup>2</sup>, 51<sup>4</sup>-53<sup>2</sup>, 54-ე, 54<sup>1</sup>, 55<sup>1</sup>, 55<sup>4</sup>, 56-ე და 57<sup>1</sup> მუხლებით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58<sup>1</sup>-59-ე, 59<sup>3</sup>, მე-60, 60<sup>3</sup>, 61<sup>1</sup>, 63-ე-65-ე, 66-ე-69-ე, 69<sup>4</sup>-69<sup>6</sup>, 71-ე, 71<sup>1</sup>, 72<sup>1</sup>-77-ე, 78-ე და 79<sup>1</sup>-79<sup>5</sup> მუხლებით, 79<sup>6</sup> მუხლით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 79<sup>7</sup>, 79<sup>8</sup> და 82<sup>1</sup>-82<sup>4</sup> მუხლებით, 82<sup>5</sup> მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების ნაწილში), 84-ე-86-ე, 86<sup>2</sup>, 87<sup>1</sup>-87<sup>3</sup> და 89-ე-89<sup>3</sup> მუხლებით, 91<sup>3</sup> მუხლის მე-3 ნაწილით, 103<sup>1</sup>, 104-ე და 128<sup>2</sup>-128<sup>6</sup> მუხლებითა და 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ უნდა შევიდეს სათანადო ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლში.

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“- GSPSA-ს მიაჩნია, რომ ცხოველისადმი სისასტიკისა და არასათანადო მოპყრობის მკაცრი კანონის მისაღებად აუცილებელია იურისტებისა და ექსპერტების ჩართულობა, ასევე ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების დახმარებით და მხარდაჭერით საკანონმდებლო ინიციატივის (კანონპროექტი) მომზადება კანონის გამკაცრების და დეტალიზაციის მიზნით. ახალი კანონპროექტის (ცხოველისადმი სისასტიკე და არასათანადო მოპყრობა) თანახმად ცხოველებისადმი სისასტიკე უნდა მიეკუთვნოს მძიმე დანაშაულის კატეგორიას და თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადამ უნდა შეადგინოს 10 წელი.

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“GSPSA-ს საკანონმდებლო წინადადების თანახმად კანონში ცვლილებები და დამატებები არ უნდა იყოს ერთი მუხლი, არამედ სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრული უნდა იყოს თავი (პირობითი სათაური - „დანაშაული ცხოველთა სამყაროს წინააღმდეგ“).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები და დამატებების საკანონმდებლო წინადადება

(ახალი თავი - "დანაშაული ცხოველთა სამყაროს წინააღმდეგ")

მუხლები:

- ცხოველის განზრახ მკვლელობა
- ცხოველის განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში
- ცხოველის სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

- ცხოველის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება
- ცხოველის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით
- ცხოველზე ძალადობა
- ცხოველის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება
- ცხოველის განსაცდელში მიტოვება
- ცხოველის დაუხმარებლობა
- ცხოველის წამება
- ცხოველის ქურდობა
- ცხოველთა მიმართ ძალადობაზე რაიმე სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი მოწოდება;
- ცხოველთა ორთაბრძოლების მოწყობა
- ექსპერიმენტებისთვის ან სხვა სამეცნიერო მიზნებისათვის ხერხემლიანი ცხოველების გამოყენების წესის დარღვევა
- ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა წვრთნის მიზნით
- ცხოველების გამოყვანა/ჩვენება და ან მონაწილეობა ცირკში, შოუ პროგრამებში და სხვადასხვა წარმოდგენებში
- ცხოველის გაუმართლებელი მოკვლა - მსხვერპლშეწირვა რიტუალის აღსრულების მიზნით
- ცხოველის არასწორი ტრანსპორტირება
- მუქარა ცხოველის არასათანადო მოპყრობის მიზნით
- შესაბამისი წესის გარეშე გარეული ცხოველების ტყვეობასა და ნახევრად თავისუფალ პირობებში შენახვა, გამოყენება და გამრავლება

და სხვა მუხლები.

ასევე უნდა მომზადდეს წინადადებები სამართალდარღვევათა კოდექსში და სხვა კანონებში დამატებებისა და ცვლილებების შესახებ, რომელიც გააუმჯობესებს ცხოველთა დაცვის მექანიზმს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები და დამატებები

სამუშაო ვერსია

თავი X

- დანაშაული ცხოველთა სამყაროს წინააღმდეგ

მუხლი .....1. ცხოველის განზრახ მკვლელობა

ცხოველის განზრახ მკვლელობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, იარაღთან და ცხოველის ყოლასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

იგივე ქმედება, ჩადენილი:

- მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;
- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

- არაერთგზის;
- ცხოველის თავიდან მოშორების მიზნით;
- ცხოველისადმი სიმულვილის მოტივით;
- ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
- ჯგუფურად;
- მცირეწლოვნის თანდასწრებით;
- ხულიგნური ქვენა გრძნობით;
- შეკვეთით;
- განსაკუთრებული სისასტიკისა და წამების ფონზე;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, იარაღთან და ცხოველის ყოლასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

### **შენიშვნა:**

1. ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი არ ვრცელდება ნადირობის წესების დაცვით ცხოველის მოკვლა ან სხვა კანონით გათვალისწინებული ქმედებებზე, რის მიხედვითაც დასაშვებია ცხოველის მოკვლა.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

### მუხლი ....2. ცხოველის განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში

განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია მსხვერპლი ცხოველის მიერ დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის ქონების განადგურებამ -

ისჯება ჯარიმით, ან შინაპატიმრობით ვადით სამი თვიდან ექვს თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

### მუხლი.... 3 ცხოველის. სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

1. ცხოველის სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, – ისჯება ჯარიმით, ან შინაპატიმრობით ვადით სამი თვიდან ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი წლიდან ორ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი ორი ან მეტი ცხოველის მიმართ, – ისჯება ჯარიმით, შინაპატიმრობით ვადით სამი თვიდან ექვს თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე წლამდე.

#### **მუხლი.....4. ცხოველის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება**

1. ცხოველის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი ცხოველის სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა მისი სიცოცხლისათვის, ან და რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, ყნოსვის, ხმოვანი იოგების. კიდურების, ფრთების ან რომელიმე ორგანოს ან მათი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქოლოგიური აშლილობა, სხეულის დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და ამ დაზიანების გამო ცხოველს ეზღუდება გადაადგილება (ფრენა), საკვების მოძიების შესაძლებლობა და სიცოცხლისათვის სხვა აუცილებელი ფუნქციები -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან და ცხოველის ყოლასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ცხოველის სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, იარაღთან და ცხოველის ყოლასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

3. ცხოველის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

- ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
- სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით,
- კომპანიონი ცხოველების მიმართ

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, იარაღთან და ცხოველის ყოლასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

4. ცხოველის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

- დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი ცხოველის მიმართ;
- ხულიგნური ქვენა გრძნობით;
- ჯგუფურად

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან შვიდ წლამდე, იარაღთან და ცხოველის ყოლასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან ცხრა წლამდე, იარაღთან და ცხოველის ყოლასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

6. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

- ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
- განსაკუთრებული სისასტიკით;
- გართობის მიზნით;
- ანგარებით ან შეკვეთით;
- არაერთგზის;

- იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის \_\_\_\_-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, იარაღთან და ცხოველის ყოლასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ცხოველის სიცოცხლის მოსპობა, ჩადენილი –

- ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
- განსაკუთრებული სისასტიკით;
- ანგარებით ან შეკვეთით;
- არაერთგზის;
- იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის \_\_\_\_-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ათ წლამდე, იარაღთან და ცხოველის ყოლასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

მუხლი 5. ცხოველის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით

ცხოველის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 6. ცხოველზე ძალადობა

1. ცხოველის ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებული ცხოველის ფიზიკური ტკივილი ან/და ფსიქოლოგიური სტრესი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ჯანმრთელობის დაზიანების შედეგი, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების და ცხოველის ყოლის შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- წინასწარი შეცნობით ზრდასრულ ასაკამდე მიუღწეველი ცხოველის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, ტყვეობაში მყოფის ცხოველის მიმართ;
- საკუთრებაში მყოფი ცხოველის მიმართ;
- ჯგუფურად;
- ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
- არაერთგზის, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ცხოველის კონფისკაციით და/ან ცხოველის ყოლის შეზღუდვით ან უამისოდ.

3. ცხოველის სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებული ცხოველის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის (პირობითი) მე-4 და მე-5 მუხლით გათვალისწინებული შედეგი, – ისჯება შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან და ცხოველის ყოლის შეზღუდვით ან უამისოდ.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

- ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
- დაზარალებული ცხოველის პატრონის, მიმკედელების, მეურვის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
- დაზარალებული ცხოველის ქურდობასთან ან მის მცდელობასთან დაკავშირებით;
- შეკვეთით;
- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- არაერთგ ზის;
- არასრულწლოვნის თანდასწრებით;
- ჯგუფურად;
- სხვადასხვა სახის იარაღის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ, იარაღთან და ცხოველის ყოლასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

#### მუხლი 7. ცხოველის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება

ცხოველის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, როდესაც ცხოველს არ აქვს შესაძლებლობა თავის დასაცავად –

**იგივე ქმედება ჩადენილი:**

- ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
- უსუსური და უმწეო ცხოველ(ებ)ის მიმართ;
- დაზარალებული ცხოველის პატრონის, მიმკედელების, მეურვის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
- შეკვეთით;
- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- არაერთგ ზის;
- არასრულწლოვნის თანდასწრებით;

- *ჩვეულებრივად;*

ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მუხლი 8. ცხოველის განსაცდელში მიტოვება

4. დაუხმარებლად იმ ცხოველის მიტოვება, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვერ შეძლო თავის დაღწევა საშიშ მდგომარეობიდან, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ორას ორმოც საათამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

5. საკუთრებაში მყოფი კომპანიონი (ან ფერმერული) ცხოველის უკაცრიელ, ან უცხო ადგილზე მიტოვება, მისი გაგდების ან თავიდან მოშორების მიზნით, ან კომპანიონი ცხოველის შთამომავლობის (ლეკვები, კნუტები და ა.შ) გადაყრა

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი წლიდან ორ წლამდე ცხოველის ყოლის შეზღუდვით ან უამისოდ.

6. საკუთრებაში არსებული კომპანიონი ცხოველზე უარის თქმა და თავშესაფარში ჩაბარება, როდესაც არ არსებობს ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობა და ცხოველის ჩაბარება ხდება მისი თავიდან მოშორების, დაბერების, მობეზრების ან სხვა არაობიექტური მიზეზის გამო, რომლის შედეგად ხდება ცხოველის განცდა, ისჯება:

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორი წლიდან სამ წლამდე ცხოველის ყოლის შეზღუდვით ან უამისოდ.

**შენიშვნა:** ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობებია შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული ცხოველის პატრონის ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღება, ცხოველის პატრონის საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, ხანგრძლივი პერიოდით ქვეყნის ფარგლებს გარეთ იძულებითი გამგზავრება, ცხოველისგან ცხოველის პატრონის ხანგრძლივი პერიოდით იძულებითი მოცილება, ცხოველის ფსიქიკური მოშლილობა, როდესაც სპეციალისტის ჩარევა უკვე შეუძლებელია.

მუხლი 9. ცხოველის დაუხმარებლობა

დაავადებული, ტრავმირებული, დატყვევებული და სხვა სახის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ცხოველისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, აგრეთვე დახმარების საჭიროების შესახებ სათანადო დაწესებულებისათვის ან პირისათვის შეუტყობინებლობა, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

## **მუხლი 10. ცხოველის წამება**

1. წამება, ესე იგი ცხოველისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ტანჯვას –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ, ცხოველის ყოლის შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;
- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- არაერთგზის;
- ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
- დამნაშავეს, ან სხვის მფლობელობაში არსებული კომპანიონი ცხოველის მიმართ;
- ჯგუფურად;
- ხულიგნური ქვენა გრძნობით;
- დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ცხოველის, ზრდასრულ ასაკს მიუღწევადი ცხოველის, დატყვევებული ან სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე სხვადასხვა ფორმით დამოკიდებული ცხოველის მიმართ;
- შეკვეთით;
- სამედიცინო მანიპულაციის, მედიკამენტის ან სპეციალური ინსტრუმენტის (ხელსაწყო) გამოყენებით;
- ანგარებით;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების და ცხოველთა ყოლის შეზღუდვით ან უამისოდ.

3 იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებული ცხოველის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –

- ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
- რიტუალური ან მსხვერპლშეწირვის მიზნით;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით და ცხოველის ყოლის სამუდამო აკრძალვით.

**შენიშვნა:** ცხოველის წამების ფორმებს მიეკუთვნება:

- ცხოველის მუდმივი დაბმა მოკლე საბელზე ჯაჭვით, ან დატყვევება სათავსში, ან სხვა სახის დახურულ სივრცეში დაწყურვების და ამ ცხოველისათვის აუცილებელი რაციონით გათვალისწინებული საკვების მიუწოდებლობით ან მის გარეშე;
- ცხოველისადმი მუდმივად და ძალდატანებით იმ ქმედებების იძულება, რაც აღემატება მის შესაძლებლობებს;
- მაღალი სიმაღლიდან ცხოველის გადმოგდება ან ამის მცდელობა;
- ცოცხლად დამარხვა ან ამის მცდელობა;
- დასახიჩრება, დაზიანება სხვადასხვა ბასრი ან სხვა იარაღის გამოყენებით;
- ტომარაში მოთავსება და გადაგდება;
- წყალში დახრჩობა მძიმე საგნის ჩამოკიდებით, კიდურების გაკოჭვით ან ტომარაში დატყვევებით, როდესაც ცხოველს აღარ აქვს გადარჩენის საშუალება;
- ცეცხლში დაწვა, ნივთიერების დასხმა (მდულარე წყლის დასხმა, კუპრის დასხმა და სხვ.) და ცეცხლის მოკიდება;
- ცხოველის დახრჩობა ყელზე ან სხეულის სხვა ნაწილებზე ჩამოცმული ყულფით, ავტოსაშუალებაზე ცხოველის გამობმა და თრევა მისი დაზიანების ან მოკვლის მიზნით.
- ისეთი მექანიკური დაზიანებების მიყენება, რაც იწვევს ძლიერ ტკივილს.

## 11. ცხოველის ქურდობა

1. პირად საკუთრებაში რეგისტრირებული, ან მიკედლებული კომპანიონი/შინაური ცხოველის ქურდობა ამ ცხოველის მისაკუთრების, რეალიზაციის, სხვა პირზე ჩუქების, პატრონისთვის ან მეურვე პირისთვის ჩამოშორების, გამოძალვის ან სხვა ნებისმიერი მიზნით -

ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე ამავე სახეობის ცხოველის ყოლის აკრძალვით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

- არაერთგზის;
- კერძო საკუთრებაში უკანონო შეღწევით;
- ორი, ან ორზე მეტი ცხოველის მიმართ;
- ვინც იყო ნასამართლები აღნიშნული დანაშაულისათვის;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე ამავე სახეობის ცხოველის ყოლის აკრძალვით.

**12. ცხოველთა მიმართ ძალადობაზე რაიმე სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი მოწოდება;**

1. ცხოველთა მიმართ ძალადობაზე რაიმე სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი მოწოდება, პროპაგანდა, აგიტაცია და პოპულარიზაცია-

ისჯება ჯარიმით, ან შინაპატიმრობით ვადით სამი თვიდან ექვს თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

**13. ცხოველთა ორთაბრძოლების მოწყობა**

1. ცხოველთა ორთაბრძოლების ორგანიზება, ჩატარება და პროპაგანდა, ან ასეთის მცდელობა, ასევე ინფორმაციის გავრცელება ცხოველთა ორთაბრძოლების გამართვის შესახებ,

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე ამავე სახეობის კომპანიონი ცხოველის ყოლის შეზღუდვით ან უამისოდ

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

2. ცხოველთა ორთაბრძოლებში მონაწილეობა მებრძოლი ცხოველით, ან მის გარეშე, როგორც ბრძოლის მონაწილე ან ასეთის მცდელობა -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე კომპანიონი ცხოველის ყოლის სამუდამო აკრძალვით;

3. ცხოველთა ორთაბრძოლაზე დაშვების მიზნით შეგნებულად ფულის აღება, ასევე, პირის მიერ თავის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების გამოიყენება ორთაბრძოლების მოსაწყობად ან სხვისთვის ასეთის ნების დართვა, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

5. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:
- ჯგუფურად;
  - არაერთგზის;
  - არასრულწლოვნის თანდასწრებით;

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე და კომპანიონი ცხოველის ყოლის სამუდამო აკრძალვით.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

6. ცხოველთა გაწვრთნა ორთაბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად, აგრესიის განვითარება და დაგეშვა სხვა ცხოველის მიმართ, და ამ მიზნით ცხოველების მიმართ სხვადასხვა სტიმულატორებისა და დამაზიანებელი სუბსტანციების გამოყენება, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლიდან ორ წლამდე ცხოველის ყოლის სამუდამო აკრძალვით.

7. აგრესიული ჯიშის ძაღლების გაწვრთნა ორთაბრძოლებისათვის სხვა არააგრესიული ჯიშის ძაღლებზე ვარჯიშის მიზნით, როდესაც სხვა ცხოველი დაზიანდება, ან მიღებული იქნა სხვა მძიმე შედეგები -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ამავე სახეობის კომპანიონი ცხოველის ყოლის სამუდამო აკრძალვით.

**მუხლი 14. ექსპერიმენტებისათვის ან სხვა სამეცნიერო მიზნებისათვის ხერხემლიანი ცხოველების გამოყენების წესის დარღვევა**

(განსახილველია - <http://galas.org.ge/docsge.html> )

1. ხერხემლიან ცხოველებზე ისეთი ექსპერიმენტებისათვის ან სხვა სამეცნიერო მიზნებისათვის, რომლებიც იწვევს ცხოველის ჯანმრთელობის დაზიანებას, ან ფიზიკურ, ან ფსიქოლოგიურ ტანჯვას, ასევე არასამკურნალო და ჩვენების მიზნით ქირურგიული ოპერაციების ჩატარება -

ისჯება, ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- რამაც ცხოველის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია;
- უპატრონო, მიუსაფარი შინაური ცხოველების მიმართ;
- ჯგუფურად;
- ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
- არაერთგ ზის,
- შეკვეთით;
- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- სხვადასხვა სახის იარაღის გამოყენებით,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ, იარაღთან დაკავშირებული და ცხოველის ყოლის შეზღუდვით ან უამისოდ.

**შენიშვნა:** ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან / და ჯარიმით .

### **მუხლი 15. ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა წვრთნის მიზნით**

1. პირის მიერ შინაური (კომპანიონი, ფერმერული, სამეურნეო დანიშნულების) ცხოველის უდიერად მოპყრობა გაწვრთნის მიზნით, ცემა ან ისეთი წვრთნის მეთოდის გამოყენება, რომელიც ავნებს მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, განსაკუთრებით ისეთი მეთოდ(ებ)ის გამოყენება, რომელიც ეწინააღმდეგება მის ბუნებრივ თვისებებსა და თავისებურებებს, და აყენებს ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ტრავმას, ტკივილსა თუ ტანჯვას, ასევე ისეთი ქმედება, რომლის შედეგადაც ცხოველს აიძულებენ გასცდნენ ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს და რომელიც გამოიწვევს ცხოველის მენტალურ ტანჯვას, ფიზიკურ ტრავმას ან დასახიჩრებას -

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ამავე სახეობის ცხოველის ყოლის შეზღუდვით ორიდან ხუთ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
  - ჯგუფურად;
  - ფეხმძიმე ცხოველის მიმართ;
  - არასრულწლოვნის თანდასწრებით;
  - გარეული ცხოველ (ებ)ის მიმართ;
  - ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
  - არაერთგ ზის;
  - შეკვეთით;
  - სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
  - სხვადასხვა სახის იარაღის გამოყენებით,

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, ამავე სახეობის ცხოველის ყოლის შეზღუდვით ორიდან ხუთ წლამდე ან უამისოდ, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

**შენიშვნა:** ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვ იაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით.

**მუხლი 16. ცხოველების გამოყვანა/ჩვენება და ან მონაწილეობა ცირკში, შოუ პროგრამებში და სხვადასხვა წარმოდგენებში**

1. გარეული ცხოველის ან ფრინველის გამოყვანა/ჩვენება ან მათი მონაწილეობა საცირკო ან საგანგებო წარმოდგენებში ან/და სხვა გასართობ შოუ პროგრამებში, სატელევიზიო გადაცემებში, გართობის, დემონსტრირების, ჩვენების მიზნით, სტადიონებზე, ქუჩებში და ნებისმიერ სხვა სივრცეში, შეგნებულად ფულის აღება, ფოტო ვიდეო გადაღება ცხოველთან ერთად, ასევე ამ მიზნით ცხოველების რეალიზაცია/შეძენა ან ასეთის მცდელობა, ამ მიზნით ტრანსპორტირება, მათი ტყვეობა ან ნახევრად ტყვეობა და ამ მიზნით წვრთნა, -

ისჯება ჯარიმით, შინაპატიმრობით ვადით ერთი წლიდან ორ წლამდე, ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი წლიდან სამ წლამდე, ცხოველის კონფისკაციითა და ცხოველის ყოლის აკრძალვით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ჯგუფურად;
- ფეხმძიმე ცხოველის მიმართ;
- არასრულწლოვნის თანდასწრებით;
- ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
- არაერთგზის;
- შეკვეთით;
- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- სხვადასხვა სახის იარაღის გამოყენებით

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, ცხოველის კონფისკაციითა და ცხოველის ყოლის აკრძალვით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

**შენიშვნა:** ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით.

*(სასურველია იმ შინაური ცხოველების იმ სახეობის ჩამონათვალი, რომლის დაშვებაც შეიძლება)*

*(განმარტება:*

*ცირკი:*

*მთავარი მიზეზი აკრძალვის არის სისასტიკე ცხოველების მიმართ.*

*ექსპერტები ამბობენ, რომ ის წვრთნის მეთოდები, რომელსაც იყენებენ ცირკში, არის ყოველთვის სასტიკი.*

*აგრეთვე ცხოველებს ამყოფებენ გაუსაძლისი მდგომარეობაში.*

*ხდება ცხოველების სისტემატიური ტრანსპორტირება.*

*გარდა ამისა, სისასტიკის მთავარ თეზისი მდგომარეობს ცხოველების არაბუნებრივ მდგომარეობაში: ბუნებას არ დაუწესებია ასეთი რამ, რომ დათვი უნდა გადაადგილდებოდეს ველოსიპედით და ამისი იძულება არის სისასტიკე და დამცირება.*

*საერთოდ ყველა ცხოველის დატყვევება არის არასწორი, ისინი უნდა იყვნენ ბუნებრივ არეალში და არა გისოსებში.*

*ძირითადი მიზეზი, თუ რატომ უნდა იყოს აკრძალული ცხოველების მონაწილეობა ცირკში:*

- 1). ველური ცხოველებისათვის შეუსაბამო პირობები*
- 2). გაწვრთნის სასტიკი მეთოდები*
- 3). საფრთხეს უქმნის მაყურებელს*
- 4). ცუდი გავლენა ბავშვთა ფსიქიკაზე*
- 5). მონადირეთა სისასტიკე ცხოველების მიწოდებაში ცირკებისთვის*
- 6). საშინელი სიბერე*

**მუხლი 17. ცხოველის გაუმართლებელი მოკვლა - მსხვერპლშეწირვა რიტუალის აღსრულების მიზნით**

*მსხვერპლშეწირვა, ანუ ცხოველის მოკვლა რიტუალის აღსრულების მიზნით, ან ასეთის მცდელობა,*

*ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ცხოველის ყოლის შეზღუდვით ან უამისოდ.*

*იგივე ქმედება, ჩადენილი:*

- ჯგუფურად;*

- განსაკუთრებული სისასტიკით და წამებით;
- კომპანიონი ან გარეული ცხოველის მიმართ;
- არასრულწლოვნის თანდასწრებით;
- ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
- არაერთგ ზის;
- სხვადასხვა სახის იარაღის გამოყენებით;
- ვინც იყო ნასამართლები აღნიშნული დანაშაულისათვის;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდი წლიდან ათ წლამდე ცხოველის ყოლის სამუდამო აკრძალვით.

**შენიშვნა:** მსხვერპლშეწირვა რიტუალური ქმედებაა, რომლითაც ზეადამიანურ არსებებს ძღვენს სთავაზობენ. მსხვერპლშეწირვით ადამიანი ცდილობს, ზეადამიანურ ძალებთან და არსებებთან ურთიერთობის დამყარებას იმ მიზნით ცხოველის მსხვერპლშეწირვის სისხლიანი ქმედებით.

### **მუხლი 18. ცხოველის არასწორი ტრანსპორტირება**

1. ცხოველის ტრანსპორტირებისას პასუხისმგებელი პირის მიერ ცხოველის არასწორი ტრანსპორტირება, რამაც გამოიწვია ცხოველის ჯანმრთელობის დაზიანება, ფიზიკური ტკივილი და/ან ფსიქიკური ტანჯვა, -

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ცხოველის სიცოცხლის მოსპობა, -

ისჯება, ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი წლიდან ორ წლამდე;

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;
- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- არაერთგ ზის;
- ცხოველისადმი სიძულვილის მოტივით;
- ორი ან მეტი ცხოველის მიმართ;
- ჯგუფურად;
- შეკვეთით;
- კომპანიონი და ფერმერული ცხოველის მიმართ;
- უსუსური, ტრავმირებული და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ცხოველის მიმართ

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი წლიდან სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით.

შენიშვნა: არასწორი ტრანსპორტირებად ითვლება

- კომპანიონი და ფერმერული ცხოველების მოთავსება ავტომობილის ღია და დახურული საბარგულიში, ან ტრანსპორტის ისეთ განყოფილებაში, სადაც არ არის განათება, ვენტილაცია და ტემპერატურული რეჟიმი;
- ცხოველის ტრანსპორტირება კიდურების გაკოჭვით, ტომარაში ან ყუთში მოთავსებით, როდესაც ცხოველს სრულიად ეზღუდება მოძრაობა;
- ავტოსაშუალებებზე მიბმულ მდგომარეობაში;
- ფერმერული ჩლიქოსანი ცხოველების გადაყვანა არასპეცტრანსპორტით.

### 19. მუქარა ცხოველის არასათანადო მოპყრობის მიზნით

1. ნებისმიერი ცხოველის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების, ცხოველის საბინადრო პირობების გაუარესების, გაგდების, გადამალვის მუქარით, როდესაც ცხოველის პატრონს, მეურვეს, მზრუნველს ან ნებისმიერ პირს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ამ ცხოველის კეთილდღეობა, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ და შესაბამისი სახეობის ცხოველის ყოლის აკრძალვით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ჯგუფურად;
- არაერთგზის;
- დამნაშავეისათვის წინასწარი ორსული ცხოველის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, ან ზრდასრულ ასაკს მიულწეველი ან დაბერებული ან დაავადებული ცხოველის მიმართ, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ და ამავე სახეობის ცხოველის ყოლის აკრძალვით.

**მუხლი 20. შესაბამისი წესის გარეშე გარეული ცხოველების ტყვეობასა და ნახევრად თავისუფალ პირობებში შენახვა, გამოყენება და გამრავლება (სამართალდარღვევათა კოდექსი 103)**

1. შესაბამისი წესის გარეშე გარეული ცხოველების მოპოვება მათი ტყვეობის ან ნახევრადტყვეობის, ან სხვა მიზნით, ისჯება -

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ და შესაბამისი სახეობის ცხოველის ყოლის აკრძალვით.

2. იგივე ქმედება

დამატება: კომპანიონი ცხოველების საკვებად გამოყენების, პრეპარატებისა, ქიმიური საშუალებების დამზადების, პარფიუმერის წარმოებისათვის, მათი ბეწვის, ტყავის ან სხეულის სხვა ნაწილების მოპოვების და გადამუსავების მიზნით მოშენება და მათი მოკვლა:

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ და საკუთრებაში არსებული შესაბამისი სახეობის ცხოველის ყოლის აკრძალვით.

დამატება: სექსუალური კავშირი ცხოველის მიმართ (ზოოფილია)

1. ცხოველთან ნებისმიერი ხასიათის სექსუალური კავშირის დამყარება საკუთარი სხეულის ნაწილის ან სხვა საგნის გამოყენებით, ჩადენილი ცხოველზე ძალადობით ან მისი უმწეო მდგომარეობაში ჩაყენებით - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ცხოველის ყოლის შეზღუდვით ან უამისოდ.

და სხვა მუხლები.

თუ არ გამკაცრდა და დეტალურად არ განიმარტა კანონი ცხოველთა სასტიკ მოპყრობაზე, თუ შემდგომში არ მოხდა აღსრულება ამ კანონის, ჩვენ გვექნება იგივე მდგომარეობა და შედეგი იქნება ნული.

3. სასტიკ მოპყრობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირის ჩარევა და მცდელობა აღკვეთოს საფრთხე ან მოსალოდნელი ზიანი, როდესაც აშკარა და გარდაუვალია შინაური ბინადარი ცხოველის თავდასხმა ადამიანზე. ჩარევა უნდა განხორციელდეს პროპორციული ძალის და საშუალებების გამოყენებით, რაც მოცემულ შემთხვევაში გონივრული და აუცილებელია საფრთხის ან ზიანის ასაცილებლად. აღნიშნული არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან

ფიზიკურ პირს, რომელმაც მოახდინა საფრთხის პროვოცირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

#### **მუხლი 14. შინაურ ბინადარ ცხოველთა ორთაბრძოლები**

1. დაუშვებელია შინაურ ბინადარ ცხოველთა ორთაბრძოლების ორგანიზება, ჩატარება, პროპაგანდა და ამ მიზნით:

ა) ეკონომიკური სარგებლის მიღება შინაურ ბინადარ ცხოველთა ორთაბრძოლაზე დასაშვებად;

ბ) ინფორმაციის გავრცელება შინაურ ბინადარ ცხოველთა ორთაბრძოლების გამართვის შესახებ;

გ) საკუთარი ან სხვისი შინაური ბინადარი ცხოველით შინაურ ბინადარ ცხოველთა ორთაბრძოლებში მონაწილეობა;

დ) შინაური ბინადარი ცხოველის წვრთნა და მომზადება შინაურ ბინადარ ცხოველთა ორთაბრძოლაში მონაწილეობისათვის;

ე) უძრავი ქონების გამოყენება ან გადაცემა სხვა პირისთვის შინაურ ბინადარ ცხოველთა ორთაბრძოლების მოსაწყობად.

ვ) შინაურ ბინადარ ცხოველთა ორთაბრძოლის ვიდეო და ფოტო გამოსახულებების გადაღება, შენახვა ან/და გავრცელება.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

#### **შენიშვნა N 73**

სხვადასხვა ქვეყნებში ცხოველთა ორთაბრძოლებზე და მებრძოლი ჯიშის ძაღლებზე ცალკე კანონი და რეგულაციები არსებობს.

#### **მუხლი 15. მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლები**

1. ამ კანონით განსაზღვრული მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლების ყოლა, გამრავლება, დასაშვებია ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლის ყოლა/გამრავლება დასაშვებია 25 წლის ასაკიდან, ნასამართლობის, დანაშაულისთვის მსჯავრდების, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ცნობებისა და კინოლოგიური დაწესებულებიდან მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლის მართვის თაობაზე შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე. ასეთი კურსის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 2 თვეზე ნაკლები.

3. დაინტერესებული პირი ვალდებულია მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლის რეგისტრაციისას უფლებამოსილ ორგანოს წარუდგინოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

4. მომეტებული რისკის მქონე ჯიშის რეგისტრაციას ახორციელებს მხოლოდ უფლებამოსილი ორგანო ამ მუხლით დადგენილი წესით.

5. აკრძალულია მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლების საბრძოლო მიზნებისთვის წვრთნა, გარდა სახელმწიფო ორგანოებისათვის განკუთვნილი ფუნქციური დანიშნულების მქონე ძაღლებისა.

**შენიშვნა N 74 (მე-5 პუნქტთან მიმართებაში)**

*რას ნიშნავს საბრძოლო მიზნებისთვის წვრთნა? უნდა იყოს განმარტებული. საბრძოლო მიზნებს ემსახურება ძაღლის მომზადება (წვრთნა) ნაღმების აღმოჩენისთვის, ადამიანების გადარჩენისთვის და სხვა.*

*მომეტებული რისკის მქონე ძაღლების ყოლის უფლება, მათი წვრთნა დაცვის მიზნით და დამნაშავეს დაკავებისთვის, უნდა მიეცეს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკუთარი ტერიტორიის, ქონების და პერსონალის დაცვის მიზნით. ამის აკრძალვა არ შეიძლება.*

**შენიშვნა N 75**

*რომელია მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლი? კანონპროექტში (დანართი 2) ჩამონათვალი არ არის პროფესიონალურად გაწერილი. საიდან არის ეს ნუსხა? ვინ ჩამოწერა და რომელი სახელმძღვანელოთი ისარგებლა? მომეტებული რისკის მქონე ძაღლების ნუსხა უნდა იყოს აღიარებული საერთაშორისო კინოლოგიური ორგანიზაციის მიერ.*

*ასევე, თუ შემოდის შეზღუდვები, რა ხდება არსებულ პატრონებსა და მათ ცხოველებთან დაკავშირებით? ვინ დაუფინანსებს კანონით განსაზღვრულ პროცედურებს ან რა ვადა მიეცემათ მათ?*

*ეს მუხლი მოითხოვს რედაქციას პროფესიონალი კინოლოგების კონსულტაციის საფუძველზე.*

**მუხლი 16. შინაურ ბინადარ ცხოველთა გამოყენება ღონისძიებებში**

შინაური ბინადარი ცხოველების გამოყენება მასობრივ ღონისძიებებში (სანახაობა, სპორტული, გასართობი ან სხვა ღონისძიება) დასაშვებია შინაური ბინადარი ცხოველების და ადამიანების უსაფრთხოებისათვის ამ კანონით დადგენილი წესების დაცვით.

**შენიშვნა N 76**

*სიტყვა „გამოყენება“ შეიცვალოს „მონაწილეობით“, და ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

შინაური ცხოველების მონაწილეობა მასობრივ ღონისძიებებში (სანახაობა, სპორტული, შოუ გამოფენები, გასართობი ან სხვა ღონისძიება) დასაშვებია შინაური ცხოველების და ადამიანების უსაფრთხოებისათვის ამ კანონით დადგენილი წესების დაცვით.

ასევე დაემატოს:

ღონისძიების ორგანიზატორი ვალდებულია ღონისძიების თარიღამდე გამოაქვეყნოს ცხოველების მონაწილეობის დასაშვებობა და პირობები (წესები).

## **მუხლი 17. შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი) გასეირნება**

1. ძაღლის გასეირნება საზოგადოებრივ ადგილებში დაიშვება მხოლოდ უსაფრთხოებისათვის გათვალისწინებული წესითა და შესაბამისი ტექნიკური საშუალებების (მოკლე საბელი ან ალიკაპი და საბელი) გამოყენებით, გარდა ამ კანონით განსაზღვრული დეკორატიული ჯიშის ძაღლებისა. ხოლო, სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში ძაღლის გასეირნება დასაშვებია, მხოლოდ ალიკაპის გამოყენებით.

### **შენიშვნა N 77**

აუცილებელია საერთაშორისო ჰუმანური პრაქტიკის გათვალისწინება. ამ მუხლით გამოდის, რომ ქალაქში ძაღლმა სულ უნდა ისეირნოს მოკლე საბელით ან საბელითა და ალიკაპით. ეს არის დაუშვებელი. ძაღლს სჭირდება სათამაშოდ და სარბენად სივრცე, რომელიც არ არის საკმარისი ოდენობით მოწყობილი. მით უფრო სავალალო მდგომარეობაა რეგიონებში. რეგიონებში და სოფლებში პრაქტიკულად კერძო მფლობელობაში მყოფი ძაღლები თავისუფლად დასეირნობენ პატრონის გარეშე ტერიტორიის გარეთ წლების მანძილზე და როგორ უნდა მოხდეს ამის აკრძალვა? პრაქტიკულად ეს შეუძლებელია, ვინაიდან ბევრ მფლობელს არ აქვს შემოსაზღვრული თავისი ნაკვეთი ისე, რომ ძაღლი ვერ გავიდეს, ასევე ცხოველები წლების მანძილზე მიჩვეულები არიან ტერიტორიის გარეთ გასვლას და სეირნობას.

აბსოლუტურად მიუღებელია ჩანაწერი: „ხოლო, სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში ძაღლის გასეირნება დასაშვებია, მხოლოდ ალიკაპის გამოყენებით.“ თუ არის „სპეციალურად გამოყოფილი ადგილი“ (საჭიროა განმარტება), სადაც ცხოველის გასეირნება არის შესაძლებელი, აქვე იგულისხმება მათი აქტივობის უზრუნველყოფა (თამაში, სირბილი, და ა.შ), და ვის და როგორ წარმოუდგენია, რომ ალიკაპგაკეთებული ძაღლები ამას შეძლებენ? ეს არის არაპროფესიონალური ჩანაწერი.

2. დაუშვებელია არადეკორატიული ჯიშის ძაღლის მიზარება 16 წლის ასაკამდე პირისთვის, ხოლო მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლის მიზარება იმ პირისთვის, ვინც ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს არ შეესაბამება;

### **შენიშვნა N 78**

ჩანაწერი არაპროფესიონალურია. ძაღლები არიან როგორც ჯიშინები, ასევე მეტისები (არაჯიშინები). მეტისები ყველაზე თვინიერები და ადამიანთან ურთიერთობაში ყველაზე მეგობრულები არიან. მეტისები მრავლად ჰყავს მოსახლეობას. ამ ჩანაწერის მიხედვით მეტისების მიბარებაც თურმე არ შეიძლება, ვინაიდან ისინი არიან „არადეკორატიულები“.

3. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია ცხოველის გასეირნებისას თან იქონიოს ცხოველის ვეტერინარული პასპორტი.

### **შენიშვნა N 79**

გაუგებარია, რატომ ვავალდებულებთ პატრონს, იქონიოს ვეტ. პასპორტი. უფრო მისაღები და მოსახერხებელი არ არის, რომ ძაღლის სარეგისტრაციო მოწმობა და ვეტერინარული პასპორტი ფოტო ჰქონდეს მობილურ მოწყობილობაში?

4. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის შეყვანა სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებში, საავადმყოფოებში, საბავშვო და სპორტულ მოედნებზე, ასევე, იმ კვების ობიექტებში, საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ტერიტორიებზე, სადაც არის შესაბამისი აკრძალვის ნიშანი.

### **შენიშვნა N 80**

ნებისმიერი აკრძალვა საჭიროებს დასაბუთებას. მაგალითად, ავსტრიაში, გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში ჩვეულებრივად დაიშვებიან ცხოველები სუპერმარკეტებში, კვების ობიექტებში და სხვ. თვითნებულად აკრძალვის შემოღება არ უნდა იყოს შესაძლებელი და ამას უნდა სჭირდებოდეს გარკვეული დასაბუთება.

5. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დამატებით განსაზღვროს ადგილები, სადაც არ დაიშვება ძაღლის ყოფნა და ცხოველის გასეირნებასთან დაკავშირებით დაადგინოს გარკვეული ტიპის შეზღუდვები დღე-ღამის კონკრეტული მონაკვეთის მიხედვით.

### **შენიშვნა N 81**

რას ემსახურება ეს მუხლი? თუ მუნიციპალიტეტს აქვს უფლება, შესაბამისად უნდა იყოს ვალდებულება და არსებობდეს ბალანსი ადგილებისა, სადაც დაიშვება ცხოველის გასეირნება. ასევე ნებისმიერ აკრძალვას სჭირდება დასაბუთება.

## **მუხლი 18. შინაურ ბინადარ ცხოველთან (ძაღლი, კატა) ერთად მგზავრობა**

შინაურ ბინადარ ცხოველთან (ძაღლი, კატა) ერთად მგზავრობა მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო), საბაგირო გადაყვანისას, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას M2 და M3 კატეგორიის ავტობუსით და საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო და რკინიგზით მგზავრთა გადაყვანისას დასაშვებია, ერთდროულად მოკლე საბელის და ალიკაპის გამოყენებით ან სპეციალური გადაყვანის (კონტეინერის) მეშვეობით.

## შენიშვნა N 82

არ სწერია საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით რა ხდება.

კატას არ უკეთდება საბელი და ალიკაპი!

ასევე უნდა ჩაიწეროს ძაღლის რომელი ასაკის ზემოთ არის საჭირო საბელის და ალიკაპის გამოყენება. ლეკვებს (3-4 თვემდე) ვერ გაუკეთებ ალიკაპს.

## **მუხლი 19. შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლი, კატა) ტრანსპორტირება**

შინაური ბინადარ ცხოველთა ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ცხოველისათვის უსაფრთხო გზით.

## შენიშვნა N 83

**ჩაიწეროს შემდეგი ფორმულირებით:**

### **1. სპეციალური სამსახურების მიერ ცხოველების ტრანსპორტირების პირობები**

ა) უპატრონო შინაური ცხოველების თავშესაფარში ან ვეტერინარული მომსახურების ჩატარების მიზნით სპეციალური სამსახურების მიერ ცხოველთა ტრანსპორტირებისას აუცილებელია, რომ ცხოველის გადაყვანის განმახორციელებელმა ორგანომ უზრუნველყოს ცხოველის უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები და მინიმუმადე დაიყვანოს სტრესის ან ტანჯვის გამომწვევი ფაქტორები.

ბ) აუცილებელია მაქსიმალურად ზედმიწევნით იყოს დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

გ) სატრანსპორტო საშუალებები კონტეინერი და ყველანაირი გადამზიდი მოწყობილობა ისე უნდა იყოს აგებული, რომ გადაყვანისას არ მოხდეს ცხოველის დაზიანება და ტრავმირება.

დ) სატრანსპორტო საშუალებები ან კონტეინერები უნდა იყოს აგებული ისე, რომ ცხოველს გააჩნდეს საჭირო ზომის ადგილი და იმყოფებოდეს ბუნებრივ პოზიციაში.

ე) უპატრონო შინაური ცხოველების გადამყვან სპეც ტრანსპორტში უნდა იყოს სავენტილაციო სისტემა, კონდიციონერა, გათბობა და შესაბამისი განათება.

ვ) აუცილებელია, რომ სპეც ტრანსპორტში ვოლიერები ან კონტეინერები ისე იყოს მოწყობილი, რომ ცხოველები იყვნენ ერთმანეთისგან მაქსიმალურად იზოლირებულად, რომ მოხდეს დაავადებების გადადების მაქსიმალური პრევენცია.

ზ) ცხოველს ვოლიერში თუ კონტეინერში უნდა ჰქონდეს რბილი ქვეშაგები, ასევე წყლის ჯამი, თუ ტრანსპორტირების ხანგრძლივობა ორ საათზე მეტი გაგრძელდება.

თ) ცხოველს ვოლიერში თუ კონტეინერში უნდა შეეძლოს ბუნებრივ პოზიციაში თავისუფლად ყოფნა.

- ი) აუცილებელია, რომ ცხოველთა გადაყვან ან/და თანმხლებ პირებს ჰქონდეთ გავლილი სპეციალური ტრენინგები და ცხოველების გადაზიდვისა და ტრანსპორტირებაზე ნებართვა უნდა მიიღოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან;
- კ) სატრანსპორტო საშუალებაზე აღნიშნული უნდა იყოს ცხოველთა არსებობის დამადასტურებელი ნიშანი
- ლ) სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას მაქსიმალურად დარეგულირებული უნდა იყოს სიჩქარის მატება, შენელება და დამუხრუჭება, რომ ნაკლებად დაისტრესოს ცხოველი.
- მ) დაუშვებელია შინაური ცხოველების ტრანსპორტირება უყურადღებოდ. ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელმა პირმა ყოველ ორ საათში ერთხელ უნდა გააჩეროს ავტოტრანსპორტი და დაათვალიეროს ცხოველები. თუ ცხოველს აქვს სტრესული მდგომარეობა, უნდა გამოიყვანოს, გაასეირნოს ან აუცილებლობის შემთხვევაში ადგილზე უნდა გაუწიოს პირველადი სასწრაფო ვეტერინარული დახმარება და დაამშვიდოს ცხოველი.
- ნ) თუ ორგანიზაციამ ან პირმა, დაარღვია აღნიშნული წესები, რის შედეგადაც ცხოველმა მიიღო ტრავმა, ამ ორგანიზაციას, ან პირს ეკრძალება მომავალში ცხოველთა ტრანსპორტირება და უუქმდებათ ნებართვა.
- ო) ტრავმირებული ცხოველების გადაყვანა უნდა მოხდეს სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს.

## **2. პირად მფლობელობაში არსებული შინაური ცხოველების ტრანსპორტირება**

- ა) ცხოველის ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს მეთვალყურის გარეშე.
- ბ) სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას მაქსიმალურად დარეგულირებული უნდა იყოს სიჩქარის მატება, შენელება და დამუხრუჭება, რომ ნაკლებად დაისტრესოს ცხოველი.
- გ) ცხოველს ტრანსპორტირებისას უნდა შეეძლოს ბუნებრივ პოზიციაში ყოფნა.
- დ) დაუშვებელია და იკრძალება ცხოველის ტრანსპორტირება სრულიად დახურული, განათების, ტემპერატურისა და ვენტილაციის რეჟიმის დაუცველად ან ღია საბარგულით, ავტომანქანაზე ღვედით გამობმულ, გაკოჭილ, ან ტომარაში ჩადებულ მდგომარეობაში, და ისეთი საშუალებებით, რომელიც ცხოველში იწვევს სტრესს, ტკივილს, ტანჯვას ან და ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რაც ჩაითვლება ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობად, ან სისასტიკედ და დასჯადია ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ან სისხლის სამართლის კოდექსით.

## **მუხლი 20. შინაურ ბინადარ ცხოველთა ევთანაზია**

1. შინაურ ბინადარ ცხოველთა ევთანაზია დასაშვებია მხოლოდ ჰუმანური მეთოდებით, მათთვის ფიზიკური ტკივილისა და ტანჯვის მიყენების გარეშე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებით, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებითა და ისეთი პრეპარატების გამოყენებით, რაც შინაურ ბინადარ ცხოველს მიაყენებს შეძლებისდაგვარად მცირე ფიზიკურ ტკივილს, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

2. ევთანაზია დასაშვებია ვეტერინარის დასკვნის საფუძველზე, რომელიც მიღებულია კლინიკური კვლევებით ან შესაბამის პირობებში დაკვირვებით და რომლითაც დადგენილია:

ა) შინაური ბინადარი ცხოველის არაკორექტირებადი აგრესიული ქცევა, რომელიც არ იძლევა სხვა ცხოველებთან ან/და ადამიანთან მისი თანაარსებობის საშუალებას, მათ შორის, იდიოპათიური აგრესია (უცაბედი სიბრაზის სინდრომი) და დაკბენა, რომელიც არ არის პროვოცირებული ცხოველისადმი აგრესიით ან არასათანადო მოპყრობით;

### **შენიშვნა N 84**

#### **განმარტება:**

საქართველოში ცხოველთა ყოფასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს შორის ყველაზე რთულად გადასაწყვეტი საკითხი არის ადამიანების გაუცნობიერებელი დამოკიდებულება ცხოველებთან, ძირითადად ძაღლებთან. ცხოველებისადმი არასათანადო და სასტიკი მოპყრობის ფონზე ძაღლების დიდ რაოდენობას გააჩნია უნდობლობა ადამიანის მიმართ და თავდაცვის ინსტიქტით ისინი ძირითადად ყეფით იცავენ თავს. ყველა ეს ცხოველი მოსახლეობის დიდი რაოდენობის მიერ „მონათლულია“ აგრესიულ ძაღლებად. დღემდე არსებული არასწორი პრაქტიკით მუნიციპალური სამსახურის (ასევე კომერციული კერძო ორგანიზაციების) ძაღლმჭერი ეკიპაჟების მხრიდან ხორციელდება ე.წ. აგრესიული ძაღლების დაჭერა და გადაყვანა თავშესაფარში. უმეტეს შემთხვევაში მუნიციპალურ და კერძო კომერციული ორგანიზაციების თავშესაფრებში ხდება არასწორი მიდგომა ე.წ. აგრესიულ ცხოველებთან და იწერება დასკვნა მათი „აგრესიულობის“ შესახებ, ან საერთოდ არ იწერება დასკვნა და ცხოველი ნადგურდება. არ არსებობს აგრესიულ ცხოველთან ურთიერთობის და ტრენინგის ელემენტარული პრაქტიკა და მეთოდიკა.

განსაკუთრებით კერძო მფლობელობაში არსებული ძაღლების „აგრესიულობის“ შესახებ დიდი პრობლემები აქვთ თვითონ პატრონებს. ამ შემთხვევაში კი მიზეზი არის საკუთარი ძაღლის მიმართ არასწორი დამოკიდებულება, ცემა, მუდმივი დაბმა და სხვა არასწორი ქმედებები. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში ცხოველი იჩაგრება და ხდება მის მიერ ადეკვატური რეაგირება, რაც გამოიხატება გაღიზიანებაში პატრონის მიმართ, ან ოჯახის წევრის მიმართ. ხშირია ფაქტები, როდესაც ძაღლი თავის პატრონსაც კბენს და თავის გადარჩენას ცდილობს. ასევე ხშირია ფაქტები, როდესაც პატრონი მსგავსი ქმედებების გამო კლავს ან ასახიჩრებს თავის ცხოველს, ატყობინებს შესაბამის სამსახურს კერძო მფლობელობაში არსებული ცხოველის აგრესიულობაზე და ითხოვს მის მოშორებას ან ევთანაზიას. უმეტეს შემთხვევაში, კი ქუჩაში აგდებს.

კანონპროექტის აღნიშნულია, შინაური ცხოველის არაკორექტირებადი აგრესიული ქცევა, რომელიც არ იძლევა სხვა ცხოველებთან ან/და ადამიანთან მისი თანაარსებობის საშუალებას,

მათ შორის, იდიოპათიური აგრესია (უცაბედი სიბრაზის სინდრომი) და დაკბენა, რომელიც არ არის პროვოცირებული ცხოველისადმი აგრესიით ან არასათანადო მოპყრობით;

ცხოველის აგრესიულობის დადგენისთვის აუცილებელია კინოლოგიური ორგანიზაციის, ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის და შესაბამისი სხვა სპეციალისტების მიერ შემუშავდეს მეთოდოლოგია და მომზადდეს შესაბამისი სპეციალისტები (კინოლოგი-ზოოფსიქოლოგი). ასევე ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რომ იყოს სპეციალიზებული ძალების თავშესაფარი შესაბამისი პირობებით, სადაც მოხდება აგრესიული ცხოველების გადაყვანა, ხოლო პროფესიონალის მხრიდან (კინოლოგი-ზოოფსიქოლოგი) მათთან მუშაობა, ტრენინგები და მათი მოწესრიგების შემდეგ გაჩუქება.

ე.წ. „აგრესიულ ძაღლთან“ საჭიროა ნდობის მოპოვება. ამ სამუშაოს ჩატარება არ შეუძლია ყველა კინოლოგს, ვეტერინარს ან სხვას. ადამიანს უნდა გააჩნდეს ცხოველთან უხილავი კონტაქტის დამყარების ბუნებრივი თვისება და ამავე დროს პრაქტიკა და გამოცდილება სხვადასხვა ცხოველთან მუშაობის, არ უნდა ეშინოდეს აგრესიული ცხოველების, შეეძლოს ნდობის მოპოვება და საერთო ენის გამონახვა ცხოველთან. ფსიქიკადაზიანებულ და ადამიანის მიმართ უნდობლობის სენით შეპყრობილ ცხოველებთან მუშაობა მათი ფსიქიკის გამოსწორების მიზნით მოიცავს გარკვეულ პერიოდს, რომელიც არ არის სტანდარტული. ასეთ ცხოველებთან მუშაობა შესაბამის პირობებში დაახლოებით 5 დღიდან 6 თვემდე იძლევა შესაბამის შედეგს. პრაქტიკულად ყველა ცხოველის ფსიქიკის გამოსწორება შეიძლება შესაბამისი ტრენინგებით, თუ ცხოველი არ არის გენეტიკურად გაუწონასწორებელი და დარღვეული ფსიქიკის.

ამავე დროს ძაღლების გარკვეული ჯიშები არის აგრესიული ბუნების, რაც კონკრეტულად ამ ჯიშისთვის არის დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ კონკრეტულად სტაფი, ბულტერიერი, გერმანული ნაგაზი, ან კავკასიური ნაგაზი უნდა მოვკლათ, ვინაიდან ეს ჯიშები ითვლებიან აგრესიულ ჯიშებად, რაც აბსოლუტურად მიუღებელია.

ამავე დროს, დამცავი ხასიათის, ან მყეფარე ძაღლი არ ნიშნავს აგრესიულს!

**აღნიშნული საკითხების კანონპროექტში გაუთვალისწინებლობა მოიტანს მუნიციპალურ თავშესაფრებში ძაღლების მასიურ მოკვდინებას (ამ შემთხვევაში მკვლელობას) აგრესიულობის დაბრალების საბაზით (!).**

**შესაბამისად კანონპროექტში ცხოველების აგრესიულობაზე ჩანაწერები არის არასრული და არაპროფესიონალური. მიმართულია ცხოველების „აგრესიულობის“ საბაზით მონათვლისკენ, რაც შედეგად მოიტანს მუნიციპალური თავშესაფრის მხრიდან ცხოველების მასიურ მკვლელობას. ეს ყოველივე რასაკვირველია დაუშვებელია!.**

**მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონის მე-3 მუხლში არის ჩანაწერი: „ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დადგენისთვის აუცილებელია დასკვნა კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებიდან.“, აღნიშნული არ შეცვლის გარემოებას, თუ კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულების წარმომადგენელი არ**

იქნება დამოუკიდებელი ექსპერტი (სპეციალისტი). ასევე აუცილებელია, რომ ამ ცხოველის შემდგომი ბედის განსაზღვრაში მონაწილეობა მიიღოს ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

კანონპროექტში მითითებული უნდა იყოს კონკრეტულად მეთოდთა და შესაბამისი რეგულაციები ცხოველის აგრესიულობის დადგენისა და შემდგომი პროცედურების შესახებ! (ან მეთოდთა უნდა შემუშავდეს სხვა ორგანიზაციის მიერ და ის იყოს სახელმძღვანელო).

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის დამბლა, პარეზი და სხვა განუკურნებელი დაავადება;

### **შენიშვნა N 85**

პარეზის შემთხვევაში ან დამბლის დროს რატომ დაიშვება ევთანაზია? პარეზი შეიძლება იყოს დროებითი. განუკურნებელი დაავადება უნდა აყენებდეს გაუმართლებელ/გაუსაძლის ტანჯვას ცხოველს და მის მომვლელს, სხვა შემთხვევაში არ უნდა იყოს დაშვებული ევთანაზია. მისი მიზანი უნდა იყოს უკურნებელი სენით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქება, რაც არ ხერხდება სხვაგვარად.

გ) ცხოველისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიში დაავადება;

### **შენიშვნა N 86**

საშიში და გადამდები.

დ) შინაური ბინადარი ცხოველის ცოფით დაინფიცირების შემთხვევა;

### **შენიშვნა N 87**

იგივეა, რაც გ) პუნქტი.

ე) შინაური ბინადარი ცხოველის III – IV სტადიის ონკოლოგიური დაავადებები;

### **შენიშვნა N 88**

ესეც იგივეა, რაც ბ) პუნქტი - განუკურნებელი დაავადება, რომელიც აყენებს გაუმართლებელ ტანჯვას ცხოველს და ამის შემსუბუქება ვერ ხერხდება ვეტერინარული მკურნალობით.

ვ) შინაური ბინადარი ცხოველის ძლიერი ტრავმები ან/და დაზიანებებები, რომლებიც სიცოცხლესთან შეუთავსებელია;

ზ) შინაური ბინადარი ცხოველის შეუქცევადი დაუძლურება;

### **შენიშვნა N 89**

ესეც მიუღებელია. დაუძლურება როგორ შეიძლება იყოს ევთანაზიის საფუძველი? რა განიხილება დაუძლურებად? ასაკოვანი ძალღი დაუძლურებულია ახალგაზრდასთან შედარებით, შეიძლება აწუხებდეს სახსრები და უჭირდეს გადაადგილება. ეს ევთანაზიის საფუძველია???

თ) სიცოცხლესთან შეუთავსებელი თანდაყოლილი ნაკლი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დადგენისთვის აუცილებელია დასკვნა კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებიდან.

4. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველების ევთანაზია არაჰუმანური მეთოდებით.

5. ევთანაზიის პროცედურის დასრულების შემდეგ, ვეტერინარი უნდა დარწმუნდეს, რომ შინაური ბინადარი ცხოველი მკვდარია, რის შემდგომაც დასაშვებია შინაური ბინადარი ცხოველის ლემის განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია შინაური ბინადარი ცხოველის პათანატომიური გამოკვლევა.

### **შენიშვნა N 90**

*ზოგადი შენიშვნა მუხლთან:*

*ევთანაზია საჭიროებს ბევრად უფრო დეტალურ გაწერას, საერთაშორისო აპრობირებული პრაქტიკის შესწავლას, შესაბამისი პროცედურის ისე გაწერას, რომ დაზღვეული იყოს ევთანაზიის ბოროტად გამოყენების რისკები.*

## **თავი V**

### **უმეტვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციის მართვა, კონტროლი და შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრები**

#### **მუხლი 21. უმეტვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა**

1. უმეტვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა დასაშვებია მხოლოდ ჰუმანური მეთოდებით. მემუქური შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა დასაშვებია მხოლოდ ნაყართან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვერ ხერხდება მიმდებარე ტერიტორიაზე ნაყარის პოვნა, ან/და როდესაც შინაური ბინადარი ცხოველი ექვემდებარება დაუყოვნებლივ გადაყვანას შესაბამის დაწესებულებაში (ტრავმის ან სხვა აუცილებელ შემთხვევაში) და ნაყარის მოძებნა შეაფერხებს ოპერატიულ მოქმედებას.

### **შენიშვნა N 91**

*უნდა მოხდეს განმარტება, თუ რას ნიშნავს „ან სხვა აუცილებელ შემთხვევაში“.*

*გარდა ამისა, თუ ვერ მოხერხდა დამჭერი პირების მიერ ნაყარის მოძებნა და დედა ძაღლი/კატა დაჭერილი იქნა, დამჭერი ორგანიზაცია ვალდებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ აცნობოს ფაქტი სამართალდამცავ ორგანოებს და ადგილობრივ ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებს და ერთობლივად დაუყოვნებლივ განახლდეს ნაყარის ძებნის სამუშაოები. აღნიშნული რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში დამჭერი პირების მიმართ გამოყენებული იქნას შესაბამისი სანქციები.*

დაუშვებელი უნდა იყოს მეტუბური ცხოველის დაჭერა (არა აქვს მნიშვნელობა, ნაყარის პოვნა ხერხდება თუ ვერა, ვინაიდან ნაყარს ცხოველი, როგორც წესი, მაღავს). მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს ეს შესაძლებელი და ამასთანავე გატარდეს ნაყარის მოძებნის ყველა საჭირო ღონისძიება (მათ შორის, ირგვლივ ტერიტორიაზე მყოფი პირების გამოკითხვა, დათვალიერება და სხვ. საჭირო საქმიანობა შესაბამისი ოქმის შედგენით).

დასაზუსტებელია, საერთოდ დაჭერა რა დროს ხდება და რა მიზნით. პროცედურა გასაწერია დეტალურად.

დეტალურად არის გასაწერი, რა შემთხვევაში ხდება მუნიციპალურ თავშესაფარში და რა ვადით ცხოველის გადაყვანა. სრულიად გაუგებარია, დაკაწვრა/დადორბლვა და ამის გამო ცხოველის დაჭერა. ასევე ნებისმიერი ტიპის აგრესია ვერ იქნება დაჭერის საფუძველი.

2. საჭიროების შემთხვევაში, შინაური ბინადარი ცხოველის მდგომარეობიდან გამომდინარე, უმეტესადაა ურთიერთ შინაური ბინადარი ცხოველი შესაძლებელია გადაყვანილ იქნას საოჯახო ტიპის დროებით თავშესაფარში, რომელიც წერილობით აიღებს პასუხისმგებლობას შინაური ბინადარი ცხოველის მოვლა-პატრონობაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

### **შენიშვნა N 92**

როგორ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საოჯახო ტიპის დროებით თავშესაფარის წარმომადგენელმა ცხოველის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე? მაშინ ცხოველის ჩამბარებელმა პირმა უნდა მოახდინოს ცხოველის ვეტერინარული გამოკვლევა და შესაბამისი ვეტერინარული კლინიკის დასკვნის საფუძველზე გადასცეს ცხოველი მიმღებ თავშესაფარს. საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარის წარმომადგენელმა შეიძლება აიღოს პასუხისმგებლობა ცხოველის მოვლა-პატრონობაზე და ვეტერინარულ უზრუნველყოფაზე. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ვალდებულია ხარჯები აუნაზღაუროს საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარს.

ასევე დასაშვებია, რომ ცხოველი ჩაბარდეს კერძო (არაკომერციული ორგანიზაცია ან ფიზიკური პირი) თავშესაფარში.

3. შინაური ბინადარი ცხოველისაგან ადამიანის ან/და ცხოველისათვის მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებისა და შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის მიზნით, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია დაიჭიროს უმეტესადაა ურთიერთ შინაური ბინადარი ცხოველი (მალი, კატა) და მოახდინოს მისი კასტრაცია/სტერილიზაცია და ვაქცინაცია იმ შემთხვევებში, როდესაც:

ა) ხორციელდება შინაური ბინადარი ცხოველის გადაყვანა შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში;

ბ) სახეზეა ადამიანის ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელი, განსაკუთრებულად საშიში დაავადებების საეჭვოდ გამოხატული ნიშნები;

გ) სახეზეა შინაური ბინადარი ცხოველი, რომელმაც დაკბინა/დაკაწრა/დადორბლა ადამიანი ან ცხოველი ან გამოავლინა აგრესია.

### **შენიშვნა N 93**

„ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტების ნაცვლად ჩაიწეროს პუნქტები შემდეგი რედაქციით:

- ა) ხორციელდება შინაური ცხოველის გადაყვანა თავშესაფარში პოპულაციის მართვის მიზნით;
- ბ) სახეზეა ადამიანისა ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელი და მომეტებული აგრესიის აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე შინაური ცხოველები;
- გ) სახეზეა ადამიანის ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისათვის საფრთხის მატარებელი, განსაკუთრებულად საშიში დაავადებების აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე შინაური ცხოველები;
- დ) სახეზეა უმეტესადაც შინაური ცხოველები, რომლებმაც მოახდინეს ადამიანის ან ცხოველის დაკბენა/დაკაწრა; დაკვირვებისა და საკარანტინე ვოლიერში განთავსების მიზნით, შემდგომი პროცედურების გატარებამდე;
- ე) სახეზეა სავარაუდოდ დაკარგული ან უპატრონოდ/მეტევალურობის გარეშე მიტოვებული შინაური ცხოველები, რომელთა გარეგანი მახასიათებლები ან/და იდენტიფიკაციის ვიზუალური ნიშნები ან/და ქცევითი თავისებურებები მიუთითებენ, რომ შინაურ ცხოველს შესაძლოა ჰყავს პატრონი;
- ვ) ცხოველი ტრავმირებულია.

**მუხლი 22. უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების (მალი, კატა) პოპულაციის მართვა და კონტროლი**

### **შენიშვნა N 94**

**თავიდანვე დაემატოს:**

- 1) შინაური ცხოველების პოპულაციის მართვის და კონტროლის. ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება, შესაბამისი პროგრამების, გეგმის, ყოველწლიური ანგარიშის, კოორდინაციის და ამ კანონით განსაზღვრული სხვა მიზნების უზრუნველყოფა ცენტრალიზებული მარეგულირებელი ორგანოს - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება;
- 2) შინაური ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:
  - ქვეყნის მასშტაბით შინაურ ცხოველთა მონიტორინგი;
  - კოორდინაცია მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებს (უფლებამოსილი ორგანოები) შორის;
  - საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება;
  - მომავალი გეგმებისა და ღონისძიებების ორგანიზება;
  - ყოველწლიური ანგარიშები რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ჩართულობით;

- არასამთავრობო ორგანიზაციების და სპეციალისტებისგან შესაბამისი სარეკომენდაციო საბჭოს შექმნა და საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- თავშესაფრების მონიტორინგი;
- და სხვა

**განმარტება:** შინაური ცხოველების პოპულაციების მართვისთვის საჭიროა სამინისტროს სახით ცენტრალიზებული რგოლის შექმნა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით დააწესებს კონტროლს, შეიმუშავებს შესაბამის პროგრამებს, გამოაქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს შინაური ცხოველების პოპულაციის მართვისთვის, მათ შორის უპატრონო ცხოველების რაოდენობის შემცირების თუ მათების სტატისტიკას.

აღნიშნული საკითხების მართვა უნდა იყოს გარემოს დაცვის სამინისტროს პრეროგატივა, რომელშიც ასევე შესაძლებელია იყოს ჩართული სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები/კანონპროექტში. ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს და შესაბამის ცენტრალიზებულ რგოლს/ორგანოს ექნება მჭიდრო თანამშრომლობა როგორც დარგის სპეციალისტებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სამინისტრომ ყოველწლიურად უნდა გაუწიოს კონტროლი მუნიციპალურ უფლებამოსილ ორგანოებს, თავშესაფრებს, იზრუნოს საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაზე, კორექტირებაზე და საბოლოოდ სრულყოფილი კანონის მიღებაზე.

აუცილებელია ცენტრალიზებული რგოლი სამინისტროს სახით, რომლის კომპეტენციაში და ვალდებულებაში შევა: მონიტორინგი, კოორდინაცია, მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პოპულაციების მართვისკენ მიმართული პროგრამების შემუშავება, ყოველწლიური ანგარიშის მომზადება, ვეტერინარული საკითხების კონტროლი და სხვა.

წინააღმდეგ შემთხვევაში კანონპროექტის ეს მუხლი ვერ იმუშავებს საჭიროებისამებრ და ვერ მოაგვარებს ყველზე მთავარ პრობლემას, როგორცაა პოპულაციების მართვა.

1. უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვის ძირითადი და პრიორიტეტული მეთოდია შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლების შემცირების უზრუნველყოფა სტერილიზაცია/კასტრაციის გზით.

2. უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია თანმიმდევრობით მოახდინოს:

- ა) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების ჰუმანური მეთოდებით დაჭერა და იზოლაცია;
- ბ) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობის (კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევით) და ქცევითი თავისებურებების (დაკვირვების შესაბამის პირობებში და სპეციალური მეთოდიკით) დადგენა;

### **შენიშვნა N 95**

*სპეციალური მეთოდის არის შესამუშავებელი სპეციალისტების და პროფესიონალების მიერ ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების ჩართულობით. ეს მეთოდის არ არსებობს.*

გ) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების (მალი/კატა) სტერილიზაცია/კასტრაცია, თუ შინაური ბინადარი ცხოველების (მალი/კატა) ჯანმრთელობის მდგომარეობა აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა;

დ) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;

ე) მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ შემთხვევაში, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების:

ე.ა) დეჰელმინტიზაცია;

ე.ბ) კომპლექსური ვაქცინაცია;

### **შენიშვნა N 96**

*დაემატოს:*

*ცოფზე ვაქცინაცია*

*ცხოველის მოწესრიგება-დასუფთავება-გრუმინგი*

ვ) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მიკედლება, ან ბინადრობის გარემოში დაბრუნება.

### **შენიშვნა N 97**

შევიდეს რედაქცია პუნქტში:

უპატრონო შინაური ცხოველების გაჩუქება, მიკედლება, ან ბინადრობის გარემოში დაბრუნება.

3. უფლებამოსილი ორგანო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიმართავს შესაბამის ღონისძიებას ფიზიკურად ჯანმრთელი და არააგრესიული უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველის სხვა კატეგორიაში გადასაყვანად, კერძოდ მათთვის ახალი მეპატრონის ან მიმკედლებლის მოსაძიებლად.

### **შენიშვნა N 98**

*დაემატოს:*

*ამ მიზნით უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია ითანამშრომლოს ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ პირებთან.*

4. შინაური ბინადარი ცხოველის ბუნებრივ გარემოში დაბრუნების შემთხვევაში, დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის გაშვება ავტოსატრანსპორტო ზონაში, დაუსახლებელ ადგილებში და ამ კანონით განსაზღვრულ იმ ტერიტორიებზე სადაც მიკედლება დაუშვებელია.

### **შენიშვნა N 99**

დაემატოს:

*აუცილებელია ცხოველი დაბრუნებულ იქნას იმ სივრცეში საიდანაც აიყვანეს, ამას ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტები და პლუს ცხოველის ტერიტორიული ასპექტები.*

### **ზოგადი შენიშვნა N 100**

*საჭიროა დეტალური პროცედურის გაწერა, რა ვადით ხდება ცხოველის დაჭერა, იზოლაცია. რა პირობებში უნდა იყოს ცხოველი, რომ მის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალურ თავშესაფარს და, თუ არ არის იქ სათანადო პირობები, არ უნდა მოხდეს ცხოველის დაჭერა. ასევე ცხოველზე დაკვირვება უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოს, არამედ დაინტერესებულ მხარის მიერ, საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იქნენ შესაბამისი სპეციალისტები.*

*ასევე აუცილებელია პოპულაციის მართვა-კონტროლის ნაწილში დაემატოს უპატრონო ცხოველების აყვანის პოპულარიზაცია, სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა, მუნიციპალური თავშესაფრის მნახველებისათვის კომფორტულად ხელმისაწვდომობა, მოხალისედ მუშაობის წახალისება და სხვ.*

*ამ ნაწილში საჭიროა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და რეკომენდაციების გათვალისწინება.*

## **მუხლი 23. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრები**

### **შენიშვნა N 101**

**„შინაურ ცხოველთა თავშესაფრები“ მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს და დამატებებს.**

*ამ მუხლში საერთოდ არ არის განმარტებული თუ რა შემთხვევებში იქმნება თავშესაფარი და ვის მიერ (ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.), ანუ ჩანაწერი არის ზოგადი და არავითარი რეგულაციები არ არსებობს თავშესაფრის დაარსების პროცესთან დაკავშირებით. თავშესაფრის გახსნა და შემდგომი ფუნქციონირება ძალიან საყურადღებო და საპასუხისმგებლო საკითხია, ვინაიდან ზუსტად თავშესაფრებმა უნდა იტვირთონ ცხოველთა პოპულაციის რეგულირების საკითხების, დაავადებების კონტროლის, ცხოველთა ფსიქოლოგიური სტაბილურობის და ცხოველთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. ნებისმიერმა არასწორმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ძალიან მძიმე*

შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ჩამოყალიბებული და სწორად განსაზღვრული წესები (რეგულაციები) თავშესაფრების გახსნასთან დაკავშირებით.

ამავე დროს ამ მუხლში არ არის განმარტება, თუ რა ტიპის თავშესაფრის არსებობაა დასაშვები და ვისთვის. თავშესაფრები შეიძლება იყოს განსხვავებული ტიპის, მისი ფუნქციისა და მისი შესრულების მიხედვით. თავშესაფრები შეიძლება იყოს:

თავშესაფარი - ძაღლებისთვის ან კატებისთვის:

1. სტერილიზაცია/კასტრაციის პროგრამისთვის - ცხოველთა ჰოსპიტალი
2. მიტოვებული და დაკარგული ცხოველებისთვის
3. ტრავმირებული და ხეივანი ცხოველებისთვის
4. დედა ძაღლებისთვის და კატებისთვის, ლეკვებისთვის და კნუტებისთვის
5. ინფექციური დაავადებების მატარებელი ცხოველებისთვის
6. ხანდაზმული ცხოველებისთვის - მუდმივი სახის
7. აგრესიული ცხოველების ფსიქოლოგიური მოწესრიგებისთვის
8. ან შერეული თავშესაფრები.

ნებისმიერ თავშესაფარს სჭირდება პროფესიონალური კადრები, რისი დეფიციტიც საქართველოში არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე დაუშვებელია, რომ ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს მიეცეს თავშესაფრის გახსნისა და ფუნქციონირების უფლება.

განვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყნებში თავშესაფრებს მართავს ცხოველთა დაცვის არაკომერციული ორგანიზაციები, რომელსაც აკონტროლებს ქვეყნის შესაბამისი უწყება ძირითადად სოფლის მეურნეობის, ან გარემოს დაცვის სამინისტრო. ამ კანონპროექტის თანახმად თავშესაფრები იქმნება, როგორც კერძო, ასევე მუნიციპალური.

1. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციის მართვის და კანონმდებლობით განსაზღვრული თანმდევი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია დამოუკიდებლად ან კოორდინირებულად სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად, შექმნას შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი.

2. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრის შექმნა უძლია ასევე, ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

### **შენიშვნა N 102 1-ლ და მე-2 პუნქტთან**

თავშესაფრის შექმნასთან (დაარსებასთან) დაკავშირებით ეს მოკლე განმარტება არის მიუღებელი, ვინაიდან:

1. არ შეიძლება ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს მიეცეს უფლება თავშესაფრის გახსნის. უნდა იყოს ძალიან მკაცრი რეგულაციები თავშესაფრის გახსნის (დაფუძნების) მსურველთათვის. ამავე დროს ფიზიკურ პირს (ასევე საოჯახო თავშესაფრის ინიციატორს)

თავშესაფრის გახსნისთვის იმ შემთხვევაში უნდა მიეცეს უფლება, თუ რომელიმე აღიარებული ცხოველთა დაცვის არაკომერციული იურიდიული პირის მიერ მიეცემა რეკომენდაცია და იგივე ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია იტვირთავს პასუხისმგებლობას.

2. შინაურ ცხოველთა თავშესაფრის დაფუძნების, გახსნის და ფუნქციონირების ნებართვა უნდა გასცეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულმა სამსახურმა ან იურიდიულმა პირმა;
3. მუნიციპალური თავშესაფრების შექმნა დასაშვებია 2025 წლამდე. ამ თარიღის შემდეგ კანონით შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ არაკომერციული კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირისთვის თავშესაფრის შექმნის და ფუნქციონირების ნებართვის გაცემა. 2025 წლამდე არსებული მუნიციპალური თავშესაფრები მართვის უფლებით უნდა გადაეცეს კერძო სამართლის არაკომერციულ იურიდიულ პირებს სამინისტროს შესაბამისი გადაწყვეტილების თანახმად. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო უნდა აკონტროლებდეს თავშესაფრის საქმიანობას, პროგრამების სწორ წარმართვას.

**განმარტება:** ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ცხოველთა თავშესაფრები არის კერძო სამართლის იურიდიული პირების (ასევე ფიზიკური პირების) დაქვემდებარებაში. პრაქტიკულად არ არსებობს მუნიციპალური თავშესაფრები. ცხოველთა პოპულაციის კონტროლი ეხება ქვეყნის უწყებს, სამინისტროს. მუნიციპალიტეტებში არსებობს შესაბამისი სამსახური (უფლებამოსილი ორგანო), რომელიც თავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კონტროლს უწევს ცხოველთა პოპულაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასეთი სტრუქტურის არსებობის შემთხვევაში გაცილებით კარგი შედეგებია მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის ოპტიმიზაციასთან. ამ სტრუქტურის არსებობის შემთხვევაში ვლელბულობთ:

- ცხოველთა მიმართ ჰუმანურ დამოკიდებულებას;
- მიუსაფარი ცხოველების რაოდენობრივ ოპტიმიზაციას ჰუმანური მეთოდებით;
- ბიუჯეტიდან სუბსიდირების შემცირებას საერთაშორისო თანხების ჩანაცვლებით და არამიზნობრივ ხარჯვას;
- უცხოელი პატრნიორების ნდობის მოპოვებას;

3. შინაური ბინადარი ცხოველი (ძაღლი, კატა) თავშესაფარში გადაყვანისთანავე უნდა შემოწმდეს ვეტერინარის მიერ და ჩაუტარდეს ვეტერინარულ/ლაბორატორიული გამოკვლევა 24 საათის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრის შესაბამისი თანამშრომლის გადაწყვეტილებით, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანისთანავე, შინაური ბინადარი ცხოველი შესაძლოა განთავსდეს კარანტინში. სავალდებულოა შინაური ბინადარი ცხოველის კარანტინში ან სხვა ცხოველებისგან იზოლირებულად მოთავსება, მის მიერ სხვა ცხოველის ან ადამიანის დაკბენა/დადორბვლის/დაკაწვრის შემთხვევაში. კარანტინში/იზოლაციაში შინაური ბინადარი ცხოველის დაყოვნების ვადა შეადგენს მინიმუმ 10 დღეს. დამატებითი საჭიროების შემთხვევაში, ვეტერინარი იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ვადის გაგრძელების თაობაზე.

**შენიშვნა N 103**

მე-3 პუნქტის ტექსტი შესაცვლელია. 24 საათის მაგივრად უნდა ჩაიწეროს 72 საათი, ვინაიდან ვეტერინარულ ლაბორატორიები შაბათ-კვირას და უქმე დღეებში არ მუშაობს. უნდა მოხდეს ცხოველზე დაკვირვება ვეტერინარის მიერ, შემოწმდეს ფეკალის კონსისტენცია და ტემპერატურა, უნდა მოწესრიგდეს ცხოველი ფსიქოლოგიურად, რისთვისაც 24 საათი არ არის საკმარისი. ამ ვადას წყვეტს ვეტერინარი ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.

4. შინაური ბინადარი ცხოველის (მალი, კატა) თავშესაფარში მოთავსების შემდეგ ხდება მისი იდენტიფიცირება. ასევე, დგინდება შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის ვინაობა და მის მიერ შენახვის ხარჯების ანაზღაურების შემდეგ, უბრუნდება შინაური ბინადარი ცხოველი.

#### **შენიშვნა N 104**

მე-3 პუნქტის ტექსტი შესაცვლელია. უნდა ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:

„თავშესაფარებში შინაური ცხოველების მოთავსების შემდეგ დგინდება ცხოველი იდენტიფიცირებულია თუ არა. თუ ცხოველი იდენტიფიცირებულია, დგინდება შინაური ცხოველის პატრონის ვინაობა. პატრონის დადგენის შემთხვევაში მას დაუყოვნებლივ ჩაბარდება ცხოველი და დაეკისრება ცხოველის თავშესაფარში შემოყვანისა და შენახვის ხარჯების ანაზღაურება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით. იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა აშკარად პატრონიანი (დაკარგული, ან გამოგდებული) ცხოველი, მაგრამ არ არის იდენტიფიცირებული ან ბაზაში არ იძებნება, თავშესაფრის ვებ-გვერდზე დაუყოვნებლივ ქვეყნდება ინფორმაცია ცხოველის შესახებ და ამ მეთოდით ხდება პატრონის მოძიება. მოძიების ვადა შეადგენს 10 კალენდარულ დღეს. ამ პერიოდის გავლის შემდეგ, თუ პატრონი ვერ მოიძებნა, ცხოველს ენიჭება გამოგდებული (მიტოვებული) ცხოველის სტატუსი, რის შემდეგ გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

5. თუ შინაური ბინადარი ცხოველის (მალი, კატა) სტერილიზაციის/კასტრაციის, ვაქცინაციის და სარეაბილიტაციო პერიოდის გასვლის შემდგომ ვერ დადგინდა შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე, ან შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების გამო უარს აცხადებს შინაური ბინადარი ცხოველის მიღებაზე, შინაური ბინადარი ცხოველი შეიძლება გაჩუქდეს ან გატარდეს ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. ასევე, დაშვებულია მათი გაშვება პირვანდელი ბინადრობის არეალში.

#### **შენიშვნა N 105**

მე-5 პუნქტის ტექსტი შესაცვლელია. ბოლო წინადადება უნდა შეიცვალოს და ჩაიწეროს: ცხოველი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს პირვანდელი ბინადრობის არეალში. თუ პირვანდელი ბინადრობის არეალში ცხოველის დაბრუნება სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო შეუძლებელია, ან მისი სიცოცხლის რისკთან არის დაკავშირებული, ასეთ შემთხვევაში

დაშვებულია სხვა ტერიტორიაზე გაშვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელთან უშუალო შეთანხმებით.

6. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია აწარმოოს შინაურ ბინადარ ცხოველთა (მალი, კატა) აღრიცხვა და უზრუნველყოს სტატისტიკური მონაცემების უფლებამოსილ ორგანოში წარდგენა ყოველთვიურად ან მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ.

### **შენიშვნა N 106**

*კანონს დანართის სახით უნდა დაერთოს თავშესაფრის სტატისტიკური მონაცემების შესაბამისი ფორმა*

7. იმ შემთხვევაში, თუ შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში აღინიშნება ცხოველისათვის ან ადამიანისთვის საშიში დაავადების გავრცელების საფრთხე, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია ითანამშრომლოს შესაბამის ორგანოებთან და უზრუნველყოს სადებიზინფექციო ღონისძიებების ჩატარება. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში ცოფის ვირუსის დადგენის შემთხვევაში ტარდება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განსაზღვრული, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.

8. შინაური ბინადარი ცხოველების თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრებისათვის ამ კანონის 24-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

### **შენიშვნა N 107**

*დაემატოს!*

*მუხლი 9.*

*სამინისტრო ვალდებულია თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ცხოველთა მუნიციპალური და კერძო თავშესაფრების (თავშესაფრის ვებ-გვერდები, საკონაქტო ინფორმაცია) ნუსხა.*

*შინაურ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია ჰქონდეს ვებ-გვერდი, სადაც ყოველთვიურად მომდევნო თვის 15 რიცხვამდე უნდა გამოაქვეყნოს თავშესაფარში ცხოველთა ბრუნვის სტატისტიკური მონაცემები, ხოლო დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებას ექვემდებარება ინფორმაცია შემოყვანილ ცხოველებზე და ყველა ის ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია თავშესაფარში ცხოველებთან და მომსახურებასთან. ასევე თავშესაფრის გვერდზე სავალდებულოა ქვეყნდებოდეს თავშესაფარში მიღებული სავარაუდოდ დაკარგულ/მიტოვებულ და გასაჩუქებელ ცხოველებზე სრული ინფორმაცია და ფოტო-*

ვიდეო მასალა (აუცილებელია კანონს თან ახლდეს თავშესაფარში ცხოველთა ბრუნვის სტატისტიკური მონაცემების ფორმა).

**მუხლი 24.** შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრის, საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფრის და სასტუმროს მოწყობის სტანდარტები

**შენიშვნა N 108**

*შეიცვალოს მუხლის სათაური შემდეგი რედაქციით:*

**„შინაურ ცხოველთა (ძაღვი, კატა) თავშესაფრების მოწყობისთვის და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მოთხოვნები“**

(სიტყვა „სტანდარტი“ არ შეესაბამება)

რაც შეეხება ცხოველების სასტუმროს, არ შეიძლება გავაიგივოთ თავშესაფრის სტანდარტებთან. სასტუმრო შესაძლებელია იყოს ჩვეულებრივ კერძო სახლში, ყოველგვარი ვოლიერების, ლაბორატორიული და ვეტერინარული სივრცის გარეშე.

ცხოველების სასტუმროზე და საშენზე უნდა იყოს განსხვავებული მოთხოვნები. განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საშენი.

1. საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი და შინაურ ბინადარ ცხოველთა სასტუმრო ვალდებულნი არიან გაიარონ ავტორიზაცია შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში.

**შენიშვნა N 109**

*ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი და შინაურ ცხოველთა სასტუმრო ვალდებულნი არიან გაიარონ ავტორიზაცია სამინისტროს შესაბამის სამსახურში და შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში.

2. საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი და შინაურ ბინადარ ცხოველთა სასტუმრო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

**შენიშვნა N 110**

*ამ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ასევე შინაური ცხოველების თავშესაფარი და საშენი.*

ა) დაცული უნდა იყოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები;

ბ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შინაური ბინადარი ცხოველისთვის აუცილებელი მინიმალური პირობები - სათანადო კვება-დაწყურვება, სისუფთავე, დათბუნება, განათება.

**შენიშვნა N 111**

*დაემატოს: გასეირნება, მოვლა-დასუფთავება, საჩრდილობლის არსებობა,*

გ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა აუცილებელი პირობები.

3. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარს უნდა გააჩნდეს შინაურ ბინადარ ცხოველთა:

ა) ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს ბეწვის, ნაცხის, ფეკალიის და სხვა ორგანული გამონაყოფების და სისხლის კვლევას, ან ლაბორატორიული გამოკვლევის უზრუნველყოფის ქმედითი შესაძლებლობა ან ჰქონდეს დადებული ხელშეკრულება ვეტერინარულ დაწესებულებასთან, რომელიც უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული პროცედურების განხორციელებას;

ბ) ვეტერინარული სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარის დანიშნულებით განსაზღვრული აუცილებელი ვეტერინარული ოპერაციების ჩატარებას. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია ითანამშრომლოს ვეტერინარულ დაწესებულებასთან;

გ) საკარანტინო სივრცე ან ვოლიერები, რომელიც უზრუნველყოფს შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში ახლადშემოყვანილი შინაური ბინადარი ცხოველის იზოლაციას სხვა შინაური ბინადარი ცხოველებისგან, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად შინაური ბინადარი ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენამდე, ან დაავადებული შინაური ბინადარი ცხოველის განკურნებამდე, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრიდან გაყვანამდე, ევთანაზიამდე;

დ) გასასეირნებლად საკმარისი სივრცე;

ე) განთავსების სივრცე ან/და ვოლიერი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

### **შენიშვნა N 112**

*დაემატოს: სივრცეში შესაძლებელია ცხოველთა ჯგუფური ცხოვრება. სივრცე შესაძლებელია იყოს ღია, ნახევრად ღია ან დახურული. ცხოველთა განთავსების სივრცეები შესაძლებელია აღჭურვილი იყოს ვოლიერებით, ცხოველების სახლებით ან მოსასვენებელი და საძილე ადგილებით;*

ე.ა) ძაღლის განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს ცხოველს გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების საშუალებას. ძაღლების განთავსების ვოლიერის ფართი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 3 კვადრატულ მეტრს, სიმაღლე - მინიმუმ 150 სანტიმეტრს;

### **შენიშვნა N 113**

*პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

*ძაღლის განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს შინაურ ცხოველს გადაადგილების, საკვების მიღების შესაძლებლობას. ვოლიერის გვერდების სიგრძე არ უნდა იყოს 2,5 მ-ზე ნაკლები, თითო ვოლიერში დასაშვებია 2 ძაღლის განთავსება, თუ ისინი ეგუებიან ერთმანეთს და თან საკვების მიღების დროს არ ხდება ერთმანეთის მიმართ აგრესია. თუ ვოლიერიდან დღის მანძილზე არ ხდება მინიმუმ 3-ჯერ ცხოველის გამოყვანა-*

გასეირნება და თითო გასეირნების მინიმუმ 40 წუთიანი პერიოდით, ასეთ შემთხვევაში ვოლიერს უნდა გააჩნდეს მომიჯნავე დამატებითი შემოსაზღვრული ფართი (დაახლოებით მინიმუმ 15-20 კვ.მ) ცხოველის სურვილის შემთხვევაში დამოუკიდებლად გასეირნების და საკვების გადამუშავების აუცილებლობისთვის;

მნიშვნელოვანია თუ ცხოველი რამდენ ხანს (რა პერიოდით) არის ვოლიერში განთავსებული. სხვადასხვა ჯიშის, სხვადასხვა ზომის და სხვადასხვა ფსიქიკის ძაღლს სჭირდება შესაბამისი დროებითი საბინადრო პირობები.

ე.ბ) კატების განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს შინაურ ბინადარ ცხოველს მინიმალური გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების საშუალებას;

### **შენიშვნა N 114**

რას ნიშნავს მინიმალური გადაადგილება? ასეთი მდგომარეობა კატისთვის ეს არის ცხოველის წვალება (არასათანადო მოპყრობა). მინიმალურის მაგივრად უნდა ჩაიწეროს „თავისუფალი გადაადგილება“.

ე. გ) ვოლიერი არ უნდა იყოს ოთხმხრივად დახურული და შინაურ ბინადარ ცხოველს არ უნდა ეზღუდებოდეს თავისუფალი სივრცის ხედვის საშუალება.

### **შენიშვნა N 115**

შინაური ცხოველების თავშესაფრის სტანდარტები არ არის სწორად ჩაწერილი. მთლიანად ეს მუხლი მოითხოვს პროფესიონალების, სპეციალისტების და ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების მხრიდან მინიმალური მოთხოვნების შემუშავებას.

დღევანდელი მდგომარეობით ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში ცხოველთა თავშესაფრის ფუნქციონირებისთვის და თავშესაფარში ცხოველთა მოვლა-პატრონობისთვის ხელმძღვანელობენ *The Association of shelter Veterinarians* (თავშესაფრის ვეტერინართა ასოციაცია - ა.შ.შ)-ის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოთი:

სახელმძღვანელო ცხოველთა თავშესაფრის სტანდარტების და თავშესაფარში ცხოველების მოვლა-პატრონობის შესახებ - *Guidelines for Standards of Care in Animal Shelters*

***The Association of shelter Veterinarians*** - <https://www.sheltervet.org>

***Guidelines for Standards of Care in Animal Shelters*** - <https://www.sheltervet.org/assets/docs/shelter-standards-oct2011-wforward.pdf>

კანონპროექტის შემუსავებისთვის აუცილებელია ამ დოკუმენტის (საერთაშორისო სტანდარტების) გაცნობა და მის საფუძველზე თავშესაფრის მოთხოვნების შემუშავება!

ავტორიზაციის გავლა მუნიციპალურ ორგანოში არ არის საკმარისი. უფლებამოსილი, თანაც სახელმწიფო ორგანო ამ შემთხვევაში ხდება ერთადერთი ორგანო, რაც არასწორია. შეიძლება, თავშესაფარს ჰქონდეს საერთაშორისო სერთიფიკატი ან მონაწილეობდეს საერთაშორისო

პროგრამაში. გარდა ამისა, საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭიროა სტანდარტების შემუშავება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და შემდეგ ამის ეტაპობრივი განხორციელება.

4. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი განთავსებული უნდა იყოს იზოლირებულად, საცხოვრებელი სახლებიდან მოშორებით (მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი მანძილით) და უნდა იყოს შემოსაზღვრული, ხოლო საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფრისა და შინაურ ბინადარ ცხოველთა სასტუმროს განთავსება შესაძლებელია მომიჯნავე ობიექტის/კორპუსის ტიპის დასახლებაში ყველა მეზობლის /ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობის საფუძველზე.

### **შენიშვნა N 116**

გაუგებარია რას ნიშნავს „სახლებიდან მოშორებით“. შესაბამისად ვილაც ჩათვლის, რომ 5 მეტრი არის მოშორებით, ან შორიახლოს, ან ახლოს. ასეთი ჩანაწერი დაუშვებელია. ან მუნიციპალიტეტმა რის საფუძველზე უნდა დაადგინოს მანძილი? რაც შეეხება საოჯახო ტიპის თავშესაფრის (ასევე სასტუმროს) განთავსებას მომიჯნავე ობიექტების/კორპუსის ტიპის დასახლებაში ყველა მეზობლის /ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობის საფუძველზე, ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან მეზობლებში ყოველთვის გამოჩნდება პირი, რომელიც წინააღმდეგი იქნება ასეთი ობიექტის ფუნქციონირებაზე. პრაქტიკულად ამ ჩანაწერის მიხედვით საოჯახო ტიპის თავშესაფრების დაარსება ძალიან შეზღუდულია, რაც არ იქნება მართებული.

უნდა დაემატოს ამ პუნქტს შემდეგი განმარტება: „

**„აღნიშნული წესი არ ეხება ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედ ცხოველთა თავშესაფრებს (მათ შორის საოჯახო თავშესაფრებს), რომლის დაშორების მანძილი საცხოვრებელი სახლებიდან არის ახლოს ან მომიჯნავედ და არ საჭიროებს მომიჯნავე ობიექტისა და მეზობლების თანხმობას. ამ კანონის ამოქმედებისთანავე მუნიციპალიტეტს ეკრძალება თავშესაფრის სიახლოვეს ან მომიჯნავედ გასცეს საცხოვრებელი სახლის (ან სხვა სახის ობიექტის) მშენებლობის ნებართვა.“**

5. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) სტერილიზაცია/კასტრაცია, თუკი ამ ცხოველს არ გამოუჩნდა მეპატრონე.

## შენიშვნა N 117

დაემატოს მუხლი: თავშესაფრის ვალდებულებები

1. შინაურ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია აწარმოოს შინაურ ცხოველთა აღრიცხვა და უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოში უსასყიდლოდ, ყოველთვიურად ან დაუყოვნებლივ მოთხოვნის შემთხვევაში, თავშესაფარში შინაურ ცხოველთა ბრუნვის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების წარდგენა.
2. შინაურ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია უზრუნველყოს უკლებლივ ყველა შინაური ცხოველის სტერილიზაცია, თუკი ამ შინაურ ცხოველს არ გამოუჩნდა პატრონი, ხოლო კერძო და შინაურ ცხოველთა საოჯახო ტიპის თავშესაფრები უფლებამოსილნი არიან, ისარგებლონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაურ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის წესით და მომსახურებით.
3. თავშესაფარი ვალდებულია ცხოველის გაჩუქების ან მიკვდლების შემთხვევაში მოახდინოს ცხოველის იდენტიფიცირება და მომავალ პატრონზე/მიმკვდლებელზე გასცეს ვეტერინარული სერტიფიკატი (ვეტერინარული პასპორტი), სადაც ჩაწერილი იქნება ამ ცხოველზე თავშესაფარში ჩატარებული ვეტერინარული მანიპულაციები. კერძო მფლობელმა უნდა გადაიხადოს ვეტერინარული პასპორტის საფასური დადგენილი წესით, ხოლო მიმკვდლებელს დოკუმენტი ეძლევა უფასოდ.
4. და სხვა. აუცილებელია ამ საკითხების შემუშავება.

## თავი VI

**შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია**

**მუხლი 25. შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სავალდებულო მოთხოვნები**

1. შინაური ბინადარი ცხოველების მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად იქმნება იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომლის შექმნის მიზანია:

### შენიშვნა N 118

*ვინ ქმნის მონაცემთა ერთიან ბაზას?*

ა) შინაური ბინადარი ცხოველების რაოდენობის დადგენა, თითოეულ მათგანზე ინფორმაციის მოძიება და აღრიცხვა, მათი მეპატრონეებისა და მიმკვდლებლების დადგენა/რეგისტრაცია;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველებისგან ადამიანებზე გადამდები, განსაკუთრებით საშიში დაავადებების გავრცელების პრევენცია;

გ) მეპატრონის მიერ შინაური ბინადარი ცხოველის მიტოვების პრევენცია;

დ) დაკარგული შინაური ბინადარი ცხოველების მოძებნა, მათი იდენტიფიცირება და მეპატრონისთვის დაბრუნება.

2. შინაური ბინადარი ცხოველები ექვემდებარებიან იდენტიფიკაციას, სავალდებულო პირველად და საკონტროლო რეგისტრაციას.

3. მარეგისტრირებელი ორგანო უზრუნველყოფს შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაციას და მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციას.

4. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანილი უპატრონო არაიდენტიფიცირებული შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

5. მეპატრონემ შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაციისა და პირველადი რეგისტრაციისათვის მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართოს ცხოველის დაბადებიდან ან ფაქტობრივი პატრონობის დაწყებიდან 1 თვის ვადაში.

6. მომეტებული რისკის მქონე ძაღლის ჯიშის რეგისტრაცია ხორციელდება ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

7. სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, მათ შორის შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის შეცვლის შემთხვევაში, შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს მარეგისტრირებელი ორგანოს ინფორმირება, ასეთი ფაქტების დადგომიდან 10 დღის ვადაში. ხოლო, ახალი მეპატრონე ვალდებულია შინაური ბინადარი ცხოველზე ფაქტობრივი პატრონობის დაწყებიდან 1 თვის ვადაში სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებისთვის მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

8. ცხოველის საკუთრებაში რეგისტრაცია ხორციელდება მეპატრონის იურიდიულ ან ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე.

9. შინაური ბინადარი ცხოველის ევთანაზიის განმახორციელებელმა პირმა ევთანაზიის ფაქტის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს შინაურ ბინადარ ცხოველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში შეტანის მიზნით.

10. შინაური ბინადარი ცხოველის დაკარგვის შემთხვევაში, შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე/მიმკვდლებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს უფლებამოსილ ორგანოს დაკარგვის ფაქტის შესახებ.

11. შინაური ბინადარი ცხოველების პირველადი რეგისტრაცია ხორციელდება შინაურ ბინადარ ცხოველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში და დასტურდება შინაური ბინადარი ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობით.

12. საიდენტიფიკაციო საშუალების დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირი მიმართავს მარეგისტრირებელ ორგანოს შინაური ბინადარი ცხოველის განმეორებითი იდენტიფიკაციისათვის.

## თავი VII

### პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის

#### მუხლი 26. კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები

1. პასუხისმგებლობა ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

## თავი VIII

### გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

#### მუხლი 27. გარდამავალი დებულებანი

1. 202- წლის 1 ..... მუნიციპალიტეტებმა განსაზღვრონ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას.

2. 202- წლის 1 ..... უფლებამოსილმა ორგანომ უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება, უფლებამოსილი ორგანოს ამ კანონით გათვალისწინებული ფუნქციების და ამოცანების შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

3. 202- წლის 1 ..... სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს შინაური ბინადარი ცხოველების სარეგისტრაციო მოწმობის ფორმა, პირველადი/საკონტროლო რეგისტრაციის, მიკროჩიპზე დასატანი ინფორმაციის და შინაურ ბინადარ ცხოველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში შეყვანის წესი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. 202- წლის 1 ..... უფლებამოსილმა ორგანომ შეიმუშაოს ამ კანონით დადგენილი...დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის დოკუმენტის ფორმა.

5. 202- წლის 1 ..... უფლებამოსილმა ორგანომ შეიმუშაოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ამ კანონით განსაზღვრულ პრინციპებთან და სტანდარტებთან.

6. ფიზიკურ პირს, რომელსაც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე საკუთრებაში/მფლობელობაში ჰყავს ერთდროულად X-ზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველი (ძაღლი, კატა), ხოლო

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში Y-ზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველი (ძაღლი, კატა) არ ვრცელდება ამ კანონის მე-5 მუხლის მე-10 პუნქტის მოქმედება.

### **შენიშვნა N 119**

*რა დააშავა იურიდიულმა პირმა? უნდა იყოს ჩაწერილი „ფიზიკურ/იურიდიულ პირს...“*

*ეს პუნქტი მთლიანად ამოსაღებია, ვინაიდან დაუშვებელია შინაურ ცხოველთა ყოლაზე მათემატიკური ანგარიში.*

7. ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში მეპატრონე ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია მოახდინოს შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია ამ კანონით დადგენილი წესით.

8. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) ვაქცინაციას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო.

### **შენიშვნა N 120**

2 წლის შემდეგ რა ხდება?

9. ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის ვადაში შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი, საშენი, კინოლოგიურ/ფელინოლოგიური დაწესებულება, შინაურ ბინადარ ცხოველთა სასტუმრო და რეალიზატორი ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში.

**მუხლი 28. „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლა**

„შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდეს 202- წლის 1 ...

### ***დანართი 1***

#### **დეკორატიული ჯიშის ძაღლების ჩამონათვალი**

1. ბიშონ ფრიზე
2. მალტეზი
3. ბიშონ ჰავანესე
4. კოტონ დე ტულეარ
5. მცირე ლომისებრი ძაღლი
6. პუდელი
7. ბელგიური გრიფონი
8. ბრიუსელური გრიფონი
9. მცირე ბრაბანტული გრიფონი
10. ჩინური ქოჩორა ძაღლი

11. ლჰასა აჰსო
12. ტიბეტური სჰანიელი
13. ტიბეტური ტერიერი
14. კავალერ კინგ ჩარლზ სჰანიელი
15. კინგ ჩარლზ სჰანიელი
16. პეკინესი
17. იაპონური ხინი
18. პაგა (მოჰსი)
19. ფრანგული ბულდოგი
20. ბოსტონ ტერიერი
21. ჩიხუახუა
22. კონტინენტური ტოი სჰანიელი (ჰაპილონო და ფალენი)
23. კრომფორლანდერი
24. 6 კგ-მდე მეტისი (ნარევი ჯიშის) ძაღლები

## **დანართი 2**

### **მომეტებული რისკის ჯგუფის ძაღლების ჩამონათვალი**

1. ამერიკული პიტ ბულ ტერიერი ტოსა ინუ;
2. ფილა ბრაზილიერი;
3. ბულტერიერი;
4. ამერიკული სტაფორდშირის ტერიერი;
5. არგენტინული დოგი;
6. ტოსა ინუ;
7. ამერიკული ბულდოგი;
8. კანგალი;
9. კანე კორსო;
10. დობერმანი;
11. კავკასიური ნაგაზი;
12. შუაზიური ნაგაზი;
13. აღმოსავლეთ ევროპული ნაგაზი;
14. ბერძნული ნაგაზი;
15. კრაშის ნაგაზი;
16. გერმანული ნაგაზი;
17. რუმინული ნაგაზი;
18. მასტიფები;
19. ბორდოული დოგი;

20. კანარის დოგი;
21. როტვეილერი;
22. რიზენშნაუცერი;
23. ლეონბერგერი;
24. მარემა;
25. მოსკოვური საყარაულო;
26. კა-დე-ბო (მალიორკის მასტიფი);
27. სტაფორდშირ ბულ ტერიერი;
28. ბანდოგი;
29. გულდონგი;
30. მგლის ჰიბრიდები